



საქართველოს  
სახალხო დამცველი

# პრევენციის ეროვნული მექანიზმი

მდგომარეობა შინაგან საქმეთა  
სამინისტროს დაქვემდებარებაში  
არსებულ ორგანოებში

2015 წელი



[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)



ევროკავშირი



გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.  
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებებზე სრულად არის  
პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

შესავალი .....5

1. ზოგადი მიმოხილვა .....7

2. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა .....12

3. არასათანადო მოპყრობისგან დასვინს ძირითადი გარანტიები.....44

3.1. დაკავებულის ინფორმირება უფლებების შესახებ .....44

3.2. ოჯახის ინფორმირება დაკავების შესახებ, ადვოკატისა და ექიმის ხელმისაწვდომობა .....46

4. პროცედურული გარანტიები .....59

4.1. აუდიო- ვიდეო ჩანაწერები .....59

4.2. დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოება .....64

4.3. საჩივრები.....71

4.4. ინსპექცია და მონიტორინგი.....76

5. დროებითი მოთავსების იზოლაცორებში არსებული მდგომარეობა .81



## შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ პოლიციის სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს. 2015 წლის განმავლობაში მონიტორინგი ჩატარდა 59 პოლიციის სამმართველოში და 31 დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც გასაუბრება შედგა 54 დაკავებულთან.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მონიტორინგის მიმდინარეობისას სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად დაიშვებოდნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ვიზიტის ფარგლებში ყველა სამმართველოსა და იზოლატორის თანამშრომლები კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სრულად თანამშრომლობდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან და ხელს უწყობდნენ მათ მონიტორინგის სრულყოფილ განხორციელებაში.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს პოლიციის სამმართველოებში წარმოებული დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნები და საპყრობილეში (დროებითი მოთავსების იზოლატორში) გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალები, ვიზუალურად დაათვალიერეს პოლიციის სამმართველოების შენობების ასევე, გაესაუბრნენ სამმართველოს თანამშრომლებს. დროებითი მოთავსების იზოლატორში მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს იზოლატორის ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ იზოლატორის თანამშრომლებს, დაკავებულ პირებს, შეამოწმეს დაკავებულ პირთა საქმის მასალები. საქმის მასალებში არსებული საჭირო ინფორმაციის სისტემატიზებული ამოღების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფი იყენებდა სპეციალურად შემუშავებულ ანკეტას.

ანგარიშის მომზადების პროცესში დამუშავდა ვიზიტების დროს მოპოვებული მონაცემები. აღსანიშნავია, რომ პირველად განხორციელდა წინასწარ შემუშავებული ანკეტის მეშვეობით ამოღებული ინფორმაციის თვისებრივი ანალიზი სტატისტიკური პროგრამის (SPSS) გამოყენებით. სულ დამუშავდა 740 ანკეტა. მონიტორინგის ჯგუფის წევრები გაეცნენ დროებითი მოთავსების იზოლატორში მონიტორინგის დროისთვის არსებულ ყველა საქმის მასალას. ჯგუფის წევრების მიერ ანკეტა ივსებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის მასალიდან ირკვეოდა დაკავებული პირის სხეულზე ახალი დაზიანების (გარდა ნაწიბურისა და უმნიშვნელო დაზიანებებისა) არსებობა. ასევე აღსანიშნავია, რომ სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლების მიერ სხეულის დაზიანების დოკუმენტირების პრაქტიკის შეფასების მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე, მოიპოვა სხეულის დაზიანებებით ბრალდებულთა შესახლების შემთხვევების შესახებ ჩანაწერები და შეადარა ისინი დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებულ ჩანაწერებს.

ანგარიშის მომზადების პროცესში ასევე გამოყენებულია 2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს მთავარი პროკურორისთვის გაგზავნილი 11 წინადადება, რომელიც შეეხება პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებულ პირებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებს. ანგარიშში ასევე მოცემულია არასათანადო მოპყრობის იმ სავარაუდო შემთხვევების ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა გამოავლინეს ვიზიტების მიმდინარეობისას. ანგარიშის მომზადების პროცესში ასევე განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი მონაცემების ანალიზი, ასევე საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების სამაგიდე კვლევა.

განხორციელებული მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება, ასევე წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის რისკების შემცირების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

# 1. ზოგადი მიმოხილვა

2014 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირებულია დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფ პირთა რაოდენობა. ამასთან, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით სხეულის დაზიანების 916 შემთხვევით ნაკლები დაფიქსირდა. შემცირებულია ასევე პოლიციის მიმართ პრეტენზიით მიმართვის შემთხვევები (30 შემთხვევით ნაკლები). მიუხედავად ამისა, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გაუარესებულია.

2015 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა პოლიციის თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაგზავნილი სახალხო დამცველის წინადადებების რაოდენობა. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკებს ასევე ადასტურებს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ 2015 წელს მწვავედ დგას პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის საკითხი და შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ უმეტეს შემთხვევებში, განმცხადებელთა ახსნა-განმარტებებში იკვეთება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისთვის პოლიციის თანამშრომელთა წინასწარი, მიზანმიმართული მზადება და მისი განხორციელება, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, რაც წამების დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ზოგიერთი განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებების ლოკალიზაცია და ხასიათი, ასევე ის ფაქტი, რომ მიღებული დაზიანებების გამო აუცილებელი გახდა რამდენიმე მათგანის სამოქალაქო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ, რიგ შემთხვევებში, დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებაამდე დაკავებულ პირებს ღამის გატარება პოლიციის სამმართველოში მოუწიათ. იზოლატორში შესახლებაამდე დაკავებული პირების პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა, შესწავლილ შემთხვევებში, 5 საათიდან 23 საათამდე მერყეობს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, დაკავების ოქმში მითითებული დაკავების ფაქტობრივი დრო არ ემთხვევა განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის დასახელებულ დროს.

შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის მიერ 2015 წელს საქართველოს მთავარი პროკურორისთვის გაგზავნილი 11 წინადადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის საფუძველზე და ეს მაშინ, როცა სახალხო დამცველის წინადადებებში მითითებული გარემოებები შეიცავს წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებს.

ცალკეულ შემთხვევებში პრობლემური იყო პოლიციის მიერ დაკავებული პირების ისეთი სამართლებრივი დაცვის გარანტიების უგულვებელყოფა, როგორცაა უფლებების განმარტება, ოჯახთან და ადვოკატთან დაკავშირება. ასევე, განსაკუთრებით საყურადღებოა საანგარიშო პერიოდში, როგორც ეს დაკავების ოქმებშია მითითებული, პოლიციის მიმართ მოქალაქეების აგრესიის გამოვლენის ტენდენცია, რა დროსაც პოლიციის თანამშრომელთა არასაკმარისი კვალიფიკაციის პირობებში, მაღალია მათი მხრიდან ძალის გამოყენების და შესაბამისად ძალის გადამეტების ალბათობაც.

წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკებს შეიცავს პოლიციის მიერ პირთა გამოხატული და თავისუფალი თანხმობის გარეშე ჩატარებული ე.წ. „გასაუბრების“ პრაქტიკა პოლიციის ავტომანქანაში ან სამმართველოში/განყოფილებაში, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს საპროცესო უფლებების განმარტების გარეშე, თვითნებურ დაკავებას. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყველა დაკავებული პირისათვის პროცესუალური უფლებების დაუყოვნებლივ განმარტებას. ამასთან, დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფ ყველა პირს მკაფიოდ და მისთვის გასაგებად უნდა განემარტოს არა მხოლოდ პროცესუალური უფლებები, არამედ ყველა ის უფლება და მოვალეობა, რითაც პირს შეუძლია ისარგებლოს უშუალოდ იზოლატორში ყოფნისას. მათ შორის, ყველა დაკავებულს საკანში გასაცნობად გადაეცეს, ან მისთვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი გახდეს უფლება-მოვალეობების ჩამონათვალის ასლი. დაკავებული პირისათვის უფლებების გაცნობა განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც პოლიციის სამმართველოში პირთა შემოყვანის დრო წინ უსწრებს მათი ფაქტობრივი დაკავების დროს, რაც ბაძებს ეჭვს, რომ ამ პირთა მიმართ ხდება ფაქტობრივი თავისუფლების აღკვეთა და ამ დროს, დიდი ალბათობით მათ არ უხსნიან თავის უფლებებს.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს იმ გარემოებას, რომ არც პოლიციის სამმართველოში და არც დროებითი მოთავსების იზოლატორებში არ წარმოებს რეესტრი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რამდენმა პირმა მოითხოვა ოჯახის ინფორმირების ან ადვოკატის მოთხოვნის უფლებით სარგებლობა და რამდენმა ისარგებლა ამ უფლებებით.

სახალხო დამცველი დადებითად აღნიშნავს ადვოკატის ხელმისაწვდომობის მხრივ ზოგადად არსებულ მდგომარეობას და დაკავების ადგილებში ადვოკატთან კონფიდენციალურად გასაუბრების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს მონიტორინგის დროს დაფიქსირებულ რიგ შემთხვევებს, როცა დაკავებულის მიერ ადვოკატის ხელმისაწვდომობისა თუ სხვა პროცესუალური უფლებით სარგებლობის მოთხოვნის გამო პოლიციის მხრიდან სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ადვოკატის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პრობლემურია ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები ფინანსური სახსრების არარსებობის თუ სხვა მიზეზის გამო თითქმის არასდროს არ სარგებლობენ ადვოკატის დახმარებით. ამავე დროს, არსებული საკანონმდებლო ბაზა ვერ უზრუნველყოფს უფასო იურიდიული დახმარებით მოსარგებლე დაკავებული პირებისათვის სამართალწარმოების პირველივე ეტაპიდან ადვოკატის მომსახურებას. ეს



საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში, სადაც უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის პრობლემურობასთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების უფასო სამართლებრივი დახმარების პროგრამებიც ნაკლებად ხელმისაწვდომია.

სახალხო დამცველი მიესალმება სასწრაფო დახმარების ექიმის მიერ დაკავებულ იურიდიულ პირისათვის ჩატარებულ სამედიცინო შემოწმების პრაქტიკას, როგორც ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, რეგიონებში არსებული დროებითი მოთავსების იზოლაციურებში, რიგ შემთხვევებში, პრობლემურია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის იზოლაციურში დროულად გამოცხადება, დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაზიანებების არასრულყოფილი აღწერა და დოკუმენტირება. არსებით გამოწვევას წარმოადგენს აგრეთვე სამედიცინო შემოწმება კონფიდენციალურად, არასამედიცინო პერსონალის დასწრების გარეშე.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ იზოლაციურებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაქირავებული სამედიცინო პერსონალის განთავსება ერთი მხრივ უზრუნველყოფს სწრაფ და დროულ პირველადი სამედიცინო მომსახურების განწვევას, მაგრამ მეორე მხრივ ამ პერსონალის მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის ხარისხი საეჭვოა, რამაც შესაძლოა სამომავლოდ დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირებას შეუშალოს ხელი.

2015 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა პოლიციის სამმართველოების უმეტესობაში შიდა პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის არარსებობა, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამხრე ვიდეოკამერებით და მანქანის ვიდეო რეგისტრატორებით აღიჭურვონ არა მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, არამედ დეტექტივ-გამომძიებლები და უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებიც. ასევე, აუცილებელია, პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ჰქონდეს დაუბრკოლებელი წვდომა იზოლაციურებში და პოლიციის სამმართველოებში არსებულ ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემებზე.

2015 წლის განმავლობაში განხორციელებული არაერთი მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ კვლავ ხარვეზებით ივსება დაკავებისა და გარეგნული დათვალეობის ოქმები, პოლიციის სამმართველოებში არსებული ჟურნალები და სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაცია. გარდა ამისა, ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმა არასრულყოფილია.

განხორციელებული ვიზიტების დროს, დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის განყოფილებებსა და სამმართველოებში არ წარმოებს შესულ პირთა აღრიცხვის სპეციალური ჟურნალები. მაგალითად, მონმის სახით პირის პოლიციის სამმართველოში/განყოფილებაში გამოცხადების შემთხვევაში არ ხდება მისი შენობაში შესვლის ფაქტის დაფიქსირება ერთიანი ფორმის ჟურნალში. მნიშვნელოვანია, რომ დეტალურად აღირიცხებოდეს პოლიციის განყოფილებასა და სამმართველოებში შესულ მოქალაქეთა შესვლის თარიღი (დროის მითითებით), მისვლის მიზანი და შენობის დატოვების თარიღი და დრო.

იზოლატორის თანამშრომლები დაკავებულ პირებს აცნობენ ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ, რომელიც ასევე, მოიცავს საჩივრით მიმართვის უფლებას ინფორმაციას, თუმცა აღსანიშნავია, რომ არ არის განერილი შესაბამისი პროცედურა, რომელიც დროებითი მოთავსების იზოლატორებში მყოფი პირების მიერ კონფიდენციალური საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

იზოლატორში მოთავსებული პირების არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს ადმინისტრაციის მიერ დაკავებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის პროცედურა. აღსანიშნავია, რომ დაკავებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ პროკურორს შეტყობინება იზოლატორის უფროსის შეხედულებისამებრ და ამ პროცედურის მარეგულირებელი კონკრეტული წესი დადგენილი არ არის და გაურკვეველია, კონკრეტულად რა შემთხვევაში ეგზავნება შეტყობინება პროკურორს. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პროკურატურის მიერ სათანადოდ არ ხდება დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან გაგზავნილი დაკავებული პირების პრეტენზიების შესწავლა და გამოძიების ჩატარება.

უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ უალრესად მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმის შექმნა, რომლის მანდატიც იქნება სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებულ პირთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტების ეფექტიანი გამოძიება.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის შემოწმების პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის საკითხის სათანადო შესწავლას. შემოწმებისას ყურადღება მახვილდება იზოლატორების საქმიანობის უფრო ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მხარეზე და არა დაკავებული პირების მიმართ პოლიციის მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების ხარისხზე და ამ მხრივ, მათი უფლებების დაცვის მდგომარეობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებული პირების საყოფაცხოვრებო პირობები შეესაბამებოდეს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოს რეგიონებში არსებული დროებითი მოთავსების იზოლატორებში კვლავ პრობლემად რჩება საკნებში ცენტრალური გათბობის, ბუნებრივი განათების და ვენტილაციის, სანიტარული კვანძის სრული იზოლირებისა და ტექნიკური გამართვის საკითხები.

სახალხო დამცველი მიესალმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 90 დღიდან შემცირდა 15 დღემდე, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროებით მოთავსების იზოლატორებში ამჟამად არსებული მდგომარეობა შეუთავსებელია ადმინისტრაციული პატიმრობა მისჯილი პირების მოსათავსებლად.

დროებითი ყოფნის იზოლაციებში მყოფ პირთა სადღეღამისო კვების ნორმების შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრის მიუხედავად, რეგიონებში არსებულ იზოლაციებში დაკავებული პირებისათვის არ არის გათვალისწინებული საკვები სპეციალური კვებითი საჭიროებების მქონე პირთათვის. იზოლაციებში განთავსებულ პირებს მიეწოდებათ მხოლოდ დაკონსერვებული საკვები, რისი ყოველდღიური მიღებაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს პირის ჯამრთელობაზე. არის შემთხვევები, როდესაც იზოლაციის თანამშრომლები იძულებულნი ხდებიან საკუთარი სახსრებით უყიდონ პური დაკავებულებს. დაკავებულები ძირითადად იკვებებიან ამანათით შემოსული საკვებით. იზოლაციებში შეიძლება ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირი 15 დღემდე ვადით იმყოფებოდეს. ხანგრძლივად დაკავებული პირისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათანადო კვება და საცხოვრებელი პირობები.

## 2. ნამება და სხვა არასათანადო მოპყრობა

არავინ არ უნდა დაექვემდებაროს ნამებას,<sup>1</sup> არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.<sup>2</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებაა დაცული პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა.“<sup>3</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, ფიზიკური ძალის გამოყენება თავისუფლების შეზღუდვის შემდეგ, რომელიც არ არის აუცილებელი, ამცირებს ადამიანურ ღირსებას და წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლით აღიარებული უფლების დარღვევას.<sup>4</sup> უფრო მეტიც, სასამართლოს შეფასებით, როდესაც სადაო შემთხვევები, მთლიანად ან ნაწილობრივ, წარმოადგენს შესაბამის ორგანოთა ექსკლუზიური ინფორმირებულობის სფეროს, როგორც ეს თავისუფლება შეზღუდული პირების შემთხვევაშია, ჩნდება ძლიერი ეჭვები მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით და, რასაკვირველია, მტკიცების ტვირთი ეკისრება შესაბამის ორგანოებს, რათა მათ წარმოადგინონ დამაჯერებელი განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.<sup>5</sup>

მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის იმ პირთა საქმეებში, რომლებიც დაზიანებას იღებენ დაკავების პროცესში. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს, რომ დაკავების დროს ძალის გამოყენების პროცესი არ მიმდინარეობდა გადაჭარბებული სიმკაცრით<sup>6</sup>. ამასთან, პირის დაკავებისას პოლიციელებმა უნდა გამოიყენონ მინიმალური ძალა, რათა დაკავებულს არ მიაყენონ ფიზიკური

1 ნამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „კონვენციის მიზნებისათვის განსაზღვრება „ნამება“ ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს და ზნეობრივ, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ან ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი ნაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშობება მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათგან გამონეული.

2 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 3.

3 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის N29 ზოგადი კომენტარი, CCPR/C/21/Rev.1/Add.11 (2001), 2001 წლის 31 აგვისტო, პარ. 13ა, ხელმისაწვდომია გაეროს ოფიციალურ ენებზე, შემდეგ მისამართზე: <[http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CCPR%2fC%2f21%2fRev.1%2fAdd.11&Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CCPR%2fC%2f21%2fRev.1%2fAdd.11&Lang=en)> [ბოლოს ნანახია 29.03.2016]

4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (Labita v. Italy, N26772/95), პარ. 120.

5 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey, N21986/93), პარ. 100.

6 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე რეჰბოკი სლოვენის წინააღმდეგ (Rehbock v. Slovenia, N29462/95), პარ. 72

ზიანი. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციელი უფლებამოსილია პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.<sup>7</sup> იძულების ღონისძიების სახე და ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთანავე, იძულების ღონისძიების გამოყენებისას პოლიციელი უნდა შეეცადოს, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი იყოს.<sup>8</sup>

სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესწავლის დროს საგულისხმოა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული საქმე საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი დარღვევა დაადგინა შსს წყალტუბოს პოლიციის თანამშრომლების მიერ მომჩივნის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამო და პროცედურული დარღვევა პროკურატურის მხრიდან ეფექტიანი გამოძიების არჩატარების გამო.<sup>9</sup>

2014 წელს პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ გამოძიების დაწყების თაობაზე, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს მთავარ პროკურორს 7 წინადადება გაეგზავნა, ხოლო 2015 წელს – 11 წინადადება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ძირითად ტენდენციად გამოიკვეთა პოლიციელების მიერ დაკავებისას ძალის გადამეტების პრაქტიკა, რაზეც მათ შორის, საუბარია სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში. ხოლო, 2015 წელს იკვეთება უკვე დაკავებული პირების მიმართ პოლიციის თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობის ტენდენცია. აღნიშნული და სხვა ქვემოთ განხილული საკითხები ცხადყოფს, რომ 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს პოლიციის მხრიდან დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის მხრივ მდგომარეობა გაუარესებულია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი იქნა სტატისტიკური ინფორმაცია. დროებითი მითავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობა, იზოლატორში შესახლებებისას დაკავებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების სტატისტიკა და პოლიციის მიმართ პრეტენზიის შემთხვევების ოდენობა წლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

7 საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, მუხლი 31, პუნქტი 1.

8 საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, მუხლი 31, პუნქტი 4.

9 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე დვალისვილი საქართველოს წინააღმდეგ (Dvalishvili v. Georgia N19634/07).

N	მონაცემები წლების მიხედვით	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
1	შესახლებულ პირთა რაოდენობა	16553	17087	16416
2	დაზიანებით შესახლებული პირები	7095	6908	5992
3	პრეტენზია პოლიციის მიმართ	111	198	168

სხეულის დაზიანების შემთხვევათა რაოდენობა 2015 წელს	5992
დაკავებამდე	5635
დაკავებისას	243
დაკავების შემდეგ	52
დაკავებამდე - დაკავებისას	47
დაკავებამდე - დაკავების შემდეგ	10
დაკავებისას - დაკავების შემდეგ	4
დაკავებამდე - დაკავებისას - დაკავების შემდეგ	1

პრეტენზია პოლიციის მიმართ 2015 წელს	რაოდენობა
დაკავებამდე	8
დაკავებისას	90
დაკავების შემდეგ	34
დაკავებამდე-დაკავებისას	23
დაკავებამდე-დაკავების შემდეგ	8
დაკავებისას-დაკავების შემდეგ	4
დაკავებამდე-დაკავებისას-დაკავების შემდეგ	1
	<b>სულ: 168</b>

ზემოთ მოცემული ცხრილების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2014 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირებულია დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირთა რაოდენობა. ამასთან, 2014 წელთან შედარებით 2015 წელს სხეულის დაზიანების 916 შემთხვევით ნაკლები დაფიქსირდა. შემცირებულია ასევე პოლიციის მიმართ პრეტენზიის შემთხვევები (30 შემთხვევით ნაკლები). მიუხედავად ამისა, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ქვემოთ განხილული, სავარაუდო შემთხვევების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გაუარესებულია.

წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკებს ასევე ადასტურებს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის შედეგებიც ქვემოთ იქნება მიმოხილული.

2015 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა პოლიციის თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაგზავნილი სახალხო დამცველის წინადადებების რაოდენობა.<sup>10</sup> ამ წინადადებებში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები ქვემოთ მოკლედ იქნება მიმოხილული.

	სამართალდამცველის სავარაუდო ქმედება	დაზიანებები	სხვა საყურადღებო გარემოებები
<b>შემთხვევა N1<sup>11</sup></b>			
ა.ჯ.	<p>1. დაკავებისას უმოწყალოდ სცემეს.</p> <p>2. შსს ზესტაფონის პოლიციის მთავარ სამმართველოში, ჩვენების მოპოვების მიზნით 8 თანამშრომელი 3 საათის განმავლობაში სცემდა აღიარებითი.</p> <p>3. ზესტაფონის საავადმყოფოში, რენტგენის ოთახში უცხო პირმა სცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაცენა.</p>	<p>1. <b>რწმუნებულთან გასაუბრების დროს:</b> შუბლზე ფუფხით დაფარული ჭრილობა, ცხვირზე ნახეთქი ჭრილობა, ორივე ხელის იდაყვზე ფუფხით დაფარული ესკორაციები, ზურგის ქვედა ნაწილში მთელ არეზე სილურჯეები და ჭრილობები, მარცხენა თვალზე სილურჯე.</p> <p>2. <b>დმი:</b> ზურგზე, შუბლზე, ორივე მხარზე, ორივე ხელის იდაყვზე და მჯეებზე, ორივე ფეხის მუხლებზე და წვივებზე მრავლობითი ნაკანრები და ესკორაციები, სახის არეში და ორივე თვალბუდეზე სისხლნაჟღენთი.</p> <p>3. <b>ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში</b> დაუდგინდა ცხვირის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა</p>	<p>1. მრავლობითი დაზიანებების გამო დროებითი მოთავსების იზოლაცორმა უარი განაცხადა ა.ჯ.-ს მიღებაზე, რის შემდეგაც გადაიყვანეს ზესტაფონის საავადმყოფოში</p> <p>2. ა.ჯ.-ს მონათხრობი შემთხვევა მასთან ერთად დაკავებული სხვა პირების მონათხრობს. დაკავების შემდეგ მას ამ პირებთან კომუნიკაციის საშუალება არ ჰქონდა.</p>

10 2014 წელს გაიგზავნა 7 წინადადება, ხოლო 2015 წელს - 11 წინადადება.

11 საქართველოს მთავარი პროკურატურის, 2016 წლის 12 იანვრის 13/1869 წერილის თანახმად, 2015 წლის 29 ოქტომბერს, ზესტაფონის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 052291015801 საქმეზე, შსს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს მუშაკების მიერ ა.ჯ., ბ.ჯ., ს.ჯ.-სა და მ.ვ.-ს სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობის გზით გადაამეტების ფაქტზე, სს კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ დაწყებული არ არის, გამოძიება გრძელდება..

<p><b>ს.ჯ.</b></p>	<p>1. დაკავების შემდეგ ნააქცია ასფალტზე ოცზე მეტმა პოლიციელმა და ცემა უმოწყალოდ, რის გამოც გახდა ცუდად, მაგრამ პოლიციელები ცემას აგრძელებდნენ.</p> <p>2. შსს ზესტაფონის პოლიციის მთავარი სამმართველოში, სადაც ერთ-ერთ ოთახში სამ საათზე მეტი დროის მანძილზე ფიზიკურ ძალადობას ახორციელებდნენ გაშლილი ხელებით და ფეხებით.</p>	<p><b>1. დმი:</b> მარცხენა ლოყაზე სისხლნაჟღენთი, მარცხენა იდაყვზე ფუფხი, ზურგზე სინითლე.</p>	
<p><b>ბ.ჯ.</b></p>	<p>1. დაკავებისას სცემეს დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში.</p> <p>2. ცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა გაგრძელდა შსს ზესტაფონის პოლიციის მთავარ სამმართველოში.</p>	<p><b>დმი:</b> შუბლზე, მარჯვენა საფეთქლის არეში სილურჯე, მარჯვენა მხარზე ნაკანრები, ორივე მუხლზე სინითლე.</p>	
<p><b>მ.ვ.</b></p>	<p>1. შსს ზესტაფონის პოლიციის მთავარ სამმართველოში აიძულებდნენ მიეცა ჩვენება ა.ჯ.-ს, ბ.ჯ.-ს და ს.ჯ.-ს წინააღმდეგ.</p> <p>2. ჩვენებაზე უარის მიცემის გამო სცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.</p>	<p><b>1. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის<sup>12</sup></b> თანახმად, 07 ოქტომბერს ჩატარებული გამოკვლევებით, პაციენტს დაუდგინდა ქალა ტვინის დაზარალებული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია.</p>	<p>1. მ.ვ. აღწერს დაკავების ადგილზე ა.ჯ.-ს, ბ.ჯ.-ს და ს.ჯ.-ს ცემის ფაქტს, რაც ამ უკანასკნელთა მონაყოლს ემთხვევა.</p> <p>2. მ.ვ.-ს დაკავების შესაბამისი დოკუმენტაცია პოლიციის თანამშრომლებს არ შეუდგენიათ.</p> <p>3. მ.ვ. რამდენიმე საათის შემდეგ გაუშვეს პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობიდან.</p>

12 ფორმა-100.



**შემთხვევა N2<sup>13</sup>**

<p><b>ბ.რ.</b></p>	<p>1. ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში, თვალებზე ჩამოაფარეს ქუდი და წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით, ტყეში.</p> <p>2. კითხვები დაუსვეს იარაღთან დაკავშირებით და სცემეს.</p> <p>3. აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, ხელბორკილებით მიაბეს ხეზე და ცემეს ასეთ მდგომარეობაში მყოფი, შემდგომ ასევე თოკის გამოყენებით ჩამოკიდეს ფეხებით დაახლოებით 10-15 წუთით.</p> <p>4. ბაღდათის რაიონულ სამმართველოში, პოლიციის თანამშრომლები დაკითხვის პროცესში სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.</p>	<p><b>1. დმი:</b> ექსკორიაციები მარჯვენა ყურზე და მუცლის მარჯვენა მხარეს, ასევე მცირე ზომის ჭრილობა ზედა ტუჩზე შიდა მხარეს.</p>	<p>1. ბ.რ.-ს მტკიცებით, მისი დაკავება მოხდა 2014 წლის 20 ნოემბერს დაახლოებით 12:00 საათზე, ხოლო ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით დაკავება განხორციელდა 2014 წლის 21 ნოემბერს 04:15 საათზე.</p> <p>2. დაკავებულის მტკიცებით, ის დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა დაახლოებით 22 საათი და 30 წუთი.</p> <p>3. დაკავების შესახებ დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ბ.რ. დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე პოლიციელების კონტროლის ქვეშ 6 საათი და 15 წუთი იმყოფებოდა.</p>
--------------------	---	---	--

**შემთხვევა N3<sup>14</sup>**

<p><b>გ.ძ.</b></p>	<p>1. დაკავებისას არ განუმარტეს უფლებები.</p> <p>2. დაკავებისას სცემეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.</p> <p>3. სცემეს პოლიციის ავტომანქანაში.</p>	<p><b>1. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა:</b> ცხვირის ზურგზე შუა მესამედში ჭრილობა ზომით 0,6*0,2 სმ - კიდეებში და კედლებში მუქი მონითალო ფერის სისხლჩაქცევები. მარცხენა სხივ-მაჯის სახსრის წინა ზედაპირზე ნაჭდევი ზომით</p>	<p>1. შესწავლილ დოკუმენტებში არ არის მითითება დაკავებულის მიერ პოლიციის წარმომადგენლების მიმართ ფიზიკური წინააღმდეგობის განხილვის შესახებ.</p>
--------------------	---	--	--

- 13 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 6 აპრილის 13/20964 ნერილის თანახმად, 2015 წლის 26 მარტს დასავლეთის საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N088260315801 საქმეზე, ბ.რ.-ს მიმართა სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სს კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.
- 14 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 7 სექტემბრის, 13/56648 ნერილის თანახმად, 2015 წლის 7 სექტემბერს, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N088070915801 საქმეზე, შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა მიერ გ.ძ.-ს ბრალდებულის სახით დაკავებისას ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

	<p>4. შსს ისანი-სამგორის ერთ-ერთ განყოფილებაში, განყოფილებიდან დაახლოებით 50 მეტრში, სადაც არ იყო ვიდეოთვალი კვლავ სცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიაყენეს ყაჩაღობის ფაქტის აღიარების მიზნით.</p> <p>5. შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში მიყვანის შემდეგ, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით პოლიციის თანამშრომლები სცემდნენ ფეხებით, ხელებით, იარაღის ტარით, ხელბორკილებით და ბოთლით. რამდენიმეჯერ თავი მიატყმევინეს კედელზე. ის ცემის შედეგად რამდენიმეჯერ გაითიშა. მთელი ღამის მანძილზე დაბმული იყო სკამზე, პოლიციის თანამშრომლები დროგამოშვებით სცემდნენ.</p>	<p>0,5*0,3 სმ, გულმკერდის უკანა ზედაპირზე მარჯვნივ ქვედა მესამედში ნაჭდევი ზომით 3,5*0,2 სმ.</p> <p><b>2. N2 პენიტენციური დაწესებულება:</b> ორთავე წვივის წინა ზედაპირზე ზედა მესამედში აღენიშნებოდა ფუფხით დაფარული დაჟეჟილი ჭრილობა არასწორი კიდეებით, მარჯვენა ყურის ბიბილოზე მოლურჯო ფერის სისხლნაჟღენთი, ცხვირის ძვიდზე ერთი სმ სიგრძის დაჟეჟილი ჭრილობა ფუფხით დაფარული, ორივე თვალბუდეზე მოლურჯო ფერის სისხლნაჟღენთი.</p>	<p>2. დაკავების ოქმში აღნიშნულია, რომ დაკავების დროს დაკავებულს რაიმე სახის დაზიანება არ აღენიშნებოდა.</p> <p>3. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შესამონმებლის განმარტებით, პოლიციის თანამშრომლებს მისთვის დაზიანებები არ მიუყენებიათ, თუმცა გ.დ. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან განმარტავს, რომ მას სამართალწარმოების პირველ ეტაპზე არ ჰყავდა ადვოკატი და იმყოფებოდა დაუცველ მდგომარეობაში.</p> <p>4. გ.დ. თბილისში, 15:35 საათზე დააკავეს, დაახლოებით 21:00 საათზე შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში მიიყვანეს, სადაც მთელი ღამე გაატარა.</p>
<b>შემთხვევა N4<sup>15</sup></b>			
<p><b>გ.გ.</b></p>	<p>1. პოლიციის ავტომანქანაში პოლიციის თანამშრომლები სცემდნენ სახის არეში და აიძულებდნენ დანაშაულის აღიარებას.</p>	<p><b>1. დმი:</b> ზურგის არეში ნაკანრი ჭრილობები, თავის არეში მცირე ზომის ჰემატომები, ქვედა კიდურები ოდნავ შეშუპებული, სახის არეში სინითლე, შეშუპება და დაჟეჟილობები.</p>	<p>1. დაკავების შესახებ დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ გ.გ. დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა</p>

15 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 4 დეკემბრის, 13/75164 წერილის თანახმად, ამავე წლის 3 დეკემბერს, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 074031215803 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ, დაკავებულების- გ.გ.-ს, გ.კ.-ს, რ.ტ.-ს და ბ.მ.-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

	<p>2. შსს ქობულეთის პოლიციის მთავარ სამმართველოში მიყვანის შემდეგ, დანაშაულის აღიარების მიზნით, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში სცემდნენ, ძალის გამოყენებით სვამდნენ იატაკზე, ხდინდენ შარვალს და ემუქრებოდნენ გაუპატიურებით (აღნიშნული განმეორდა 5-6-ჯერ). ასევე აიძულებდნენ გაეკეთებინა ბუქნები და დასცინოდნენ, აფურთხებდნენ.</p>		<p>დაახლოებით 14 საათის განმავლობაში.</p> <p>2. სასწრაფო დახმარების ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე, დაკავებული გადაიყვანეს ქობულეთის რეგიონულ საავადმყოფოში.</p>
<p><b>გ.კ.</b></p>	<p>1. პოლიციის თანამშრომლებმა ქუჩაში ხელბორკილდადებული სცემეს.</p> <p>2. ცემა გაგრძელდა პოლიციის ავტომანქანაში. სთხოვდნენ დანაშაულის აღიარებას. თბილისიდან ქობულეთამდე მგზავრობის მანძილზე, პერიოდულად სცემდნენ და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.</p> <p>3. შსს ქობულეთის მთავარ სამმართველოში, აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით, რამდენიმე საათის მანძილზე პოლიციელები ახორციელებდა მის მიმართ ფიზიკურ ძალადობას, სცემდნენ ხელებით, ფეხებით, წყლით სავსე პლასტმასის ბოთლებით, ემუქრებოდნენ ძმისთვის ნარკოტიკულ საშუალების</p>	<p><b>1. სამმართველოში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნის თანახმად,</b> დაკავებულს სხეულზე რაიმე დაზიანება არ აღენიშნებოდა.</p> <p><b>2. დმი:</b> თავის არეში მცირე ზომის ჰემატომები, ორივე თვალისა და ცხვირის მიდამოში დაჟეჟილობები ოდნავ შეშუპებით, ორივე ყური შეშუპებული, მკრთალი სილურჯით.</p> <p><b>3. საავადმყოფოში გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია:</b> პაციენტს აღენიშნებოდა თავის არეში დეფორმაცია, ტკივილი და ჰემატომა, ხერხემლის არეში დეფორმაცია და ტკივილი. მიენიჭა კოდი S 27, თავისა და ხერხემლის ტრამეული დაზიანება.</p>	<p>1. გ.კ. დაკავებიდან დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანამდე პოლიციის კონტროლის ქვეშ იყოფებოდა 20 საათი და 40 წუთი.</p> <p>3. სასწრაფო დახმარების ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე, გ.კ. 13:04 სთ-ზე გადაიყვანეს ქ. ქობულეთის რეგიონულ საავადმყოფოში.</p>

	ჩადებას. გ.კ. იძულებული იყო ელიარებინა ქმედება, რაც მას არ ჩაუდენია.		
<b>რ.ტ.</b>	<p>1. შსს ქობულეთის პოლიციის მთავარ სამმართველოში სცემეს, ერთ-ერთმა თანამშრომელმა დააგდო იატაკზე, აფურთხებდა და ფეხსაცმელს ინმენდდა მის სახეზე, სხვა თანამშრომლებმა გამოიტანეს ყინულიანი ბოთლი, რომელიც ურტყეს თავში, ფეხებზე. ძალის გამოყენებით გახადეს შარვალი და ემუქრებოდნენ გაუპატიურებით, ასევე, ოჯახის წევრებისთვის ნარკოტიკული საშუალების ჩადებით. დაკავებულს ხუთი საათის მანძილზე აიძულებდნენ ელიარებია ყაჩაღობის ფაქტი. თანამშრომლებმა დაამტვრიეს ოთახში არსებული კომპიუტერი, ერთ-ერთ თანამშრომელს შემოახიეს ფორმა და დაემუქრნენ, რომ აღნიშნული ქმედებების გამო გაუშვებდნენ ციხეში.</p>	<p>1. პოლიციის მთავარ სამმართველოში მიყვანის დროს დაკავებულს სხეულზე რაიმე დაზიანება არ აღინიშნებოდა.</p> <p><b>2. დმი:</b> ორივე მხარზე, ზურგის არეში მცირე ზომის სისხლნაჟღენთები, თავის მარჯვენა თხემის არეში კოპი.</p>	<p>1. რ.ტ. ითხოვდა ადვოკატთან ან ოჯახის წევრებთან დაკავშირებას, რაზედაც ცინიკურად პასუხობდნენ და იატაკზე დაგდებულს ცემდნენ ფეხებით.</p> <p>2. დაკავების შესახებ დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ რ.ტ. დაკავებიდან დროებითი მოთავსების იზოლაციონში გადაყვანამდე პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა 5 საათი და 40 წუთი.</p> <p>3. რ.ტ.-ს განმარტებით, მისი ფაქტობრივი დაკავება განხორციელდა სარფის გამშვებ პუნქტში 2015 წლის 27 ოქტომბერს 20:26 სთ-ზე, მაშინ როდესაც საქმის მასალებში საერთოდ არ ფიქსირდება სარფის ტერიტორია. უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის 27 ოქტომბრის პატაკის თანახმად, რ.ტ. იმყოფებოდა სარფის გამშვებ პუნქტში და აპირებდა საქართველოდან გასვლას, რასაც ენინააღმდეგება თანამშრომლების ჩვენებები, თითქოს რ.ტ. ღამის საათებში თავად გამოცხადდა პოლიციის სამმართველოში.</p> <p>4. რ.ტ.-ს ადგილსამყოფელის შესახებ მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეიტყო ოჯახმა და ადვოკატმა.</p>

<p><b>ბ.მ.</b></p>	<p>1. შსს ქობულეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში, დანაშაულის აღიარების მოთხოვნით ბ.მ.-ს პოლიციის თანამშრომლები სცემდნენ ხელებით, ფეხებით, გაყინული წყლით სავსე ბოთლით, ნაქცეულს ფეხსაცმელებს აწმენდდნენ. დაკავებულს 2-3 საათის მანძილზე აიძულებდნენ ყაჩაღობის ფაქტის აღიარებას.</p>	<p><b>1. დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნი:</b> დაკავებულს შუბლის არეში აღენიშნებოდა ნაჭდევი, თვალთან ნაკანრები, შუბლის ზემოთ თავზე დაზიანება, ორივე ყურის ქვემოთ კისერთან ნაჭდევი, ზურგზე მცირე ზომის ნაჭდევი.</p> <p><b>2. დმი:</b> მრავლობითი დაჟეჟილობები სხეულის სხვადასხვა ნაწილებში, კერძოდ, ზურგისა და თირკმლების საპროექციო არეში, ორივე თვალის ბუდეების ქვემოთ შემუშება და სახეზე დაჟეჟილობა, ასევე შუბლის არეში დახურული ტრამვა, თავის არეში მცირე ზომის ჰემატომა.</p>	<p>1. სახალხო დამცველის რწმუნებულები ბ.მ.-ს ქობულეთის რეგიონულ საავადმყოფოში გაესაუბრნენ</p> <p>2. დმი-ში რამდენიმეჯერ იქნა გამოძახებული სასწრაფო დახმარება, პაციენტი გადაყვანილი იყო ქ. ქობულეთის რეგიონულ საავადმყოფოში.</p> <p>3. დაკავების შესახებ დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ბ.მ. დაკავებიდან დმი-ში გადაყვანამდე პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა 5 საათი და 30 წუთი.</p>
<p><b>შემთხვევა N5<sup>16</sup></b></p>			
<p><b>დ.ფ.</b></p>	<p>1. მეგობრის საცხოვრებელ სახლში, დაახლოებით 05:00 საათზე, შემოიჭრნენ პოლიციის თანამშრომლები, წააქციეს და ნაქცეულ მდგომარეობაში მყოფი, ხელბორკილდადებული სასტიკად სცემეს.</p> <p>1. წალენჯიხის რაიონული სამმართველოს ჯვრის პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე დ.ფ.-მ ოჯახის წევრებთან დაკავშირება და ადვოკატი მოითხოვა, რაზეც უარი განუცხადეს. ამის შემდეგ ხელბორკილდადებული სცემეს.</p>	<p><b>დმი:</b> შუბლზე აღენიშნებოდა ნახეთქი ჭრილობა და შესიება, ორივე მხარზე სინითლე, მარჯვენა მუხლზე და წელის არეში გვერდებზე სინითლე.</p> <p><b>N2 პენიტენციური დაწესებულება:</b> ფუფხით დაფარული ნაკანრი ჭრილობა შუბლის არეში, ასევე მოლურჯო ფერის სისხლნაჟღენთი ლავინის არეში, მოლურჯო ფერის სისხლნაჟღენთი მარჯვენა მხრის არეში, მოლურჯო ფერის სისხლნაჟღენთი საზარდულის არეში ორივე მხარეს, ფუფხით დაფარული დაჟეჟილი ჭრილობა მარჯვენა მუხლის სახსრის არეში.</p>	<p>1. დაკავებულის განმარტებით, დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა დაახლოებით 12 საათი.</p>

16 საქართველოს მთავარი პროკურატურის, 2015 წლის 6 აპრილის, 13/20965 წერილის თანახმად, 2015 წლის 24 მარტს, ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაინყო გამოძიება სისხლის სამართლის N053240315801 საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წალენჯიხის რაიონული სამმართველოს პოლიციის თანამშრომლების მიერ დ.ფ.-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

**შემთხვევა N6<sup>17</sup>**

<p><b>დ.ბ.</b></p>	<p>1. პოლიციის ავტო-მანქანაში ერთ-ერთმა პოლიციელმა დაარტყა სახის არეში.</p> <p>2. ადმინისტრაციული წესით დაკავებულ დ.ბ.-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-8 განყოფილებაში პოლიციელებმა სცემეს.</p>	<p><b>1. დმი:</b> ქვედა ტუჩზე ნახეთქი ჭრილობა, ზედა ტუჩი შესიებული, ნაკანრები ცხვირისა და მარჯვენა წვივის არეში, მარცხენა თვალებუდის შენითლება და სისხლნაჟღენთები ყელის არეში.</p> <p><b>2. დაკავებული პირის პირველადი სამედიცინო დახმარების ცნობის მიხედვით,</b> დ.ბ. უჩივის ტკივილს წელის არეში, რასაც უკავშირებს ტრავმას. დაუდგინდა დიაგნოზი: პოსტტრამაული სინდრომი.</p> <p><b>3. შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ ცნობა:</b> გაუკეთდა ოპერაცია – ლაპატოროტომია, სპლენექტომია, მუცლის ღრუს დრენირება. დიაგნოზი: მუცლის ღრუს დახურული ტრავმა, ელენთის რუპტურა, ჰემოპერიტონიუმი.</p>	
--------------------	--	---	--

**შემთხვევა N7<sup>18</sup>**

<p><b>ვ.ბ.</b></p>	<p>1. შპს ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში</p> <p>განყოფილების უფროსმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ფიზიკურ ძალადობას ასევე ადგილი ჰქონდა სამმართველოს</p>	<p><b>1. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან გასაუბრების დროს</b> აღენიშნებოდა შუბლზე მცირე ზომის ნაკანრები და ჰიპერემიული უბანი, ორივე ზედა კიდურზე ექსკორიაციები, მარცხენა ქვედა კიდურზე მონითალო ფერის ექსკორიაცია, რომელიც ფუფხით იყო დაფარული.</p>	
--------------------	---	--	--

17 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 24 დეკემბრის N13/79977 წერილის თანახმად, 2015 წლის 24 დეკემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N074241215802 საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-8 განყოფილების თანამშრომლების მიერ, მოქალაქე დ.ბ.-ს მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმე გამოსაძიებლად გადაეცა ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს.

18 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 17 აგვისტოს N13/52251 წერილის თანახმად, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N004060815801 საქმეზე, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ვ.ბ.-ს მიმართ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

	<p>უფროსის მოადგილის მხრიდან.</p> <p>2. ვ.ბ.-ს განმარტებით, ამის შემდეგ გადაიყვანეს ერთ-ერთ განყოფილებაში, სადაც ერთ-ერთმა თანამშრომელი აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ახორციელებდა მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას - ემუქრებოდა ლიკვიდაციით, ცოლის და დის გაუპატიურებით. პოლიციის სხვა თანამშრომლებმაც მიაცენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.</p>		
<b>შემთხვევა N8<sup>19</sup></b>			
<b>ზ.ბ.</b>	<p>1. ზ.ბ. განმარტებით, ის საუბრობდა ორ პიროვნებასთან, რა დროსაც დაეჯახა პიკაპის ტიპის ავტომანქანა. ავტომანქანა-დან გადმოვიდნენ შსს ქუთაისის პოლიციის მე-4 განყოფილების თანამშრომლები და დაუწყეს ცემა.</p> <p>2. მისი ცემა განაგრძეს ასევე ავტომანქანაში ჩასმის დროს.</p>	<p><b>1. დმი:</b> მარჯვენა თვალბუდეზე ჰემატომა, ზედა ტუჩზე ნახეთქი ჭრილობა, მარცხენა მუხლზე მცირე ზომის ექსკორაცია.</p>	<p>1. ზ.ბ. სამედიცინო ჩივილების საფუძველზე გადაიყვანეს იმერეთის რეგიონალურ კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა შესაბამისი გამოკვლევა.</p>
<b>გ.ბ.</b>	<p>1. ქუთაისის პოლიციის N4 განყოფილების თანამშრომლებმა სცემეს დაკავებისას და დაკავების შემდეგ პოლიციის ამავე განყოფილებაში მიყვანის შემდეგ. აყენებდნენ ასევე სიტყვიერ შეურაცხყოფას.</p>	<p><b>დმი:</b> ორივე გვერდის არეში, მარჯვენა ხელის მაჯაზე და მკლავზე აღენიშნებოდა შიპერემიული უბნები, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ექსკორაცია.</p>	<p>1. დაკავებული უჩიოდა თავის ტკივილს და ლებინებას. სასწრაფო დახმარების ექიმების გადანყვებით, გადაიყვანეს იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში.</p>

19 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 16 ოქტომბრის N13/64779 წერილის თანახმად, ამავე წლის 30 მარტს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N041300315801 საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის პოლიციის სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეღების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ დაწყებული არ არის. საქმეზე გამოძიება გრძელდება.

<b>გ.ბ.</b>	1. პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს დაკავების დროს	<b>1. დმი:</b> დაზიანება არ აღენიშნებოდა	
<b>შემთხვევა N9<sup>20</sup></b>			
<b>ლ.ჯ.</b>	<p>1. დაკავებისას ერთ-ერთმა პოლიციელმა ორჯერ დაარტყა ხელი სახის არეში, რის შედეგადაც გაუსკდა ტუჩი და ცხვირიდან წამოუვიდა სისხლი.</p> <p>2. შსს ქობულეთის პოლიციის მთავარ სამმართველოში, პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.</p> <p>3. ნარკოლოგიური შემონმების დროს ვერ ჩააბარა საკვლევი მასალა (შარდი), რის შემდეგაც ფეხშიშველი ატარეს ცივ მეტლახზე, სადაც ასხამდნენ ცივ წყალს. ამის შემდეგ გაიყვანეს ეზოში, სადაც სიცივეში გააჩერეს რამდენიმე წუთი, ასევე მოსთხოვეს ბუქნების გაკეთება.</p> <p>3. პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სახეში დაარტყა ხელი, მუცელში ფეხი, ასევე, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა ცემაში მოკვლით, თუ არ აღიარებდა დანაშაულს და არ გაივლიდა ნარკოლოგიურ შემონმებას.</p>	<b>1. დმი:</b> შუბლის არეში მცირე ზომის ჰემატომა, ტუჩის არეში ესკორაცია.	1. დაკავების შესახებ დოკუმენტაციის თანახმად, დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე დაკავებული პოლიციის კონტროლის ქვეშ იყო დაახლოებით 15 საათის განმავლობაში.

20 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 6 ოქტომბრის 13/62690 წერილის თანახმად, 2015 წლის 6 ოქტომბერს აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 170061015801 საქმეზე, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ლ.ჯ.-ს დაკავებისას სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე.



**შემთხვევა N10<sup>21</sup>**

<p><b>ო.რ.</b></p>	<p>1. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს N4 პოლიციის განყოფილების თანამშრომლების მიერ ო.რ.-ს მიმართ დაკავების შემდეგ, ავტომანქანაში განხორციელდა ფიზიკური ძალადობა.</p>	<p><b>1. დმი:</b> მარცხენა თვალბუდის არე მცირედ შეშუპებული, მარჯვნივ ზურგზე და ფერდქვეშ არეში ექსკორიაცია.</p>	
--------------------	--	--	--

**შემთხვევა N11<sup>22</sup>**

<p><b>შ.ა.</b></p>	<p>1. მრავალჯერადი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა განხორციელდა როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში (ორთაჭალა), ისე N8 პენიტენციურ დაწესებულებაში და სასამართლოდან N7 დაწესებულებაში გადაყვანის დროს.</p>	<p><b>1. N8 დაწესებულებაში შესახლებისას:</b> შუბლზე, მარჯვნივ მცირე ზომის მონიტალო ფერის ექსკორიაცია, ორივე ხელის მტევანზე, ფალანგებზე მცირე ზომის მოყავისფრო ფერის ექსკორიაციები. ორივე წვივის მიდამოში სხვადასხვა მონიტალო ფერის ექსკორიაციები. მარცხენა თვალბუდის მიდამოში შიგნითა ზედაპირზე მოლურჯო-მოყვითალო ფერის სისხლნაყლენთები. ორივე სხვიმაჯის მიდამოში მონიტალო ფერის ნაჭდევეები. მარცხენა მხრის შუა მესამედში დაახლოებით 2,5 სმ. დიამეტრის მოყვითალო-მოლურჯო ფერის სისხლნაყლენთი.</p>	
--------------------	---	---	--

21 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 4 ნოემბრის N13/68604 წერილის თანახმად, 2015 წლის 20 ოქტომბერს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N002201015801 საქმეზე ო.რ.-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მიმდინარეობს გამოძიება.

22 საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში 2015 წლის 15 აპრილს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N074150415801 საქმეზე, შ.ა.-ს დაკავების შემდეგ მოხელეების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით. სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები.

		<p><b>2. N7 დანესებულებაში შესახლებისას:</b> ორივე ყვრიმალის მიდამოში მონიტალო ფერის დაჟეჟილობა; კისრისა და ზურგის მიდამოში, ხერხემლის გასწვრივ - მონიტალო ექსკორიაციები; გულ-მკერდის ნაწილის ხერხემლის არეში - სისხლნაჟღენთი; გულ-მკერდის მიდამოში მარჯვნივ - ლატერალურად - სისხლნაჟღენთი; ორივე მუხლის დაჟეჟილობა; მარცხენა მტევნის არათითზე ფრჩხილის დაზიანება; მარჯვნივ მტევნის ფალანგებზე - ნახეთქი ჭრილობები.</p>	
--	--	---	--

ზემოთ მოცემული 11 შემთხვევის ანალიზის შედეგად იკვეთება გარკვეული, საყურადღებო ტენდენციები. კერძოდ, უმეტეს შემთხვევაში, განმცხადებელთა განმარტებით, ფიზიკურ ძალადობას და სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი ჰქონდა, როგორც დაკავებისას, ასევე პოლიციის სამმართველოს შენობაში და რიგ შემთხვევებში, პოლიციის ავტომანქანაში. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ზემოთ აღწერილ შემთხვევებში რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდება.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ზოგიერთი განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებების ლოკალიზაცია და ხასიათი, ასევე ის ფაქტი, რომ მიღებული დაზიანებების გამო აუცილებელი გახდა რამდენიმე მათგანის სამოქალაქო სტაციონარულ სამკურნალო დანესებულებაში გადაყვანა. ამავდროულად განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ, რიგ შემთხვევებში, დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე დაკავებულ პირებს ღამის გატარება პოლიციის სამმართველოში მოუწიათ. ზემოთ განხილულ შემთხვევებში, იზოლატორში შესახლებამდე დაკავებული პირების პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა 5 საათიდან 23 საათამდე მერყეობს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, დაკავების ოქმში მითითებული დაკავების ფაქტობრივი დრო არ ემთხვევა განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის დასახელებულ დროს.

ქვემოთ, ცხრილში მოცემულია სპეციალური პრევენციული ჯგუფის პროაქტიული მონიტორინგის დროს, დოკუმენტაციის შემოწმებითა და პოლიციის თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლენილი რამდენიმე საყურადღებო შემთხვევა.

	სამართალ- დამცავების სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედება	დაზიანებები	საყურადღებო გარემოებები
გ.ა. <sup>23</sup>	ქობულეთის პოლიციის რაიონული სამმართველოს თანამშრომლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის გარეშე	<p><b>1. სამმართველოში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნი:</b> მარჯვენა ხელზე აღენიშნებოდა დაზიანება და ჰქონდა შეხვეული.</p> <p><b>2. დმი:</b> მარჯვენა მხრის სახსრის ზემო მიდამოში აღენიშნება ცეცხლნასროლი ჭრილობა.</p> <p><b>3. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის ჩანაწერი:</b> მარჯვენა მხრის ქვემო მესამედში აღენიშნება ცეცხლნასროლი ჭრილობა. ესაჭიროება ქირურგის კონსულტაცია.</p>	<p>1. გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებულია, რომ სსკ მე-19 და 177-ე მუხლების საფუძველზე დაკავებულ გ.ა.-ს პოლიციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.</p> <p>2. მიუხედავად ამისა, შეტყობინება დაზიანების შესახებ გაეგზავნა პროკურორს.</p> <p>3. იზოლაციიდან დაკავებული გადაყვანილი იყო სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში და იზოლაციორში დაუბრუნებლად გათავისუფლდა დაკავებიდან. საბოლოოდ გ.ა.-ს და პროკურატურას შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და მას განესაზღვრა 3 წელი პირობითი მსჯავრი.</p>
გ.გ. <sup>24</sup>	დანაშაულის პროვოცირება, ფიზიკური ძალადობა	<p><b>1. დმი:</b> აღენიშნება მარჯვენა ხელის მტევანზე და მარცხენა ხელის მაჯაზე მცირე ზომის ექსკორიაციები.</p> <p><b>2. სასწრაფო დახმარების ექიმი:</b> მარჯვენა თვალბუდის არეში მოლურჯო სისხლნაჟღენთი, მარცხენა წვივის წინა ზედაპირზე ფუფხიანი ექსკორიაციები, მარჯვენა მტევნის ზედაპირზე ექსკორიაციები</p>	<p>1. გ.გ. ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს სსკ 187-ე და 353-ე მუხლის საფუძველზე. ოპერატიული მორიგის განმარტებით, ადმინისტრაციული წესით დაკავებული გ.გ. სამმართველოდან უნდა გადაეყვანათ დროებითი მოთავსების იზოლაციორში, რა დროსაც, როგორც გ.გ.-მ მას სახეში სილა გააჩნა, მაისური შემოახია და სამორიგეოს კარის მინა ჩაამტვრია. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დაკავებულს ხელზე ედო ხელბორ-</p>

23 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 7 ოქტომბრის N13/62784 ნერილის თანახმად, გამოძიება დაიწყო პოლიციელის მიერ დანაშაულის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე და საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

24 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 13 ოქტომბრის N13/64151 ნერილით ირკვევა, რომ დაკავებულის სხეულის დაზიანების ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

			<p>კილი. პოლიციის თანამშრომლებმა გ.გ. შებოჭეს და იქვე სამმართველოს შემოსასვლელში მდგარ რკინის სკამზე დასვეს. დაკავებული კვლავ გახდა აგრესიული, წამოდგა და წიხლის კვრით სკამი გატეხა. ის კვლავ შებოჭეს.</p> <p>2. თვალზედის არეში დაზიანების დოკუმენტირება მხოლოდ სასწრაფო დახმარების ექიმმა მოახდინა.</p> <p>იზოლატორში შესახლები-სას გამოძახების გარდა, სასწრაფო კიდეც ორჯერ გამოიძახეს. ბრალდებულს აწუხებდა ტკივილი წელის და მუცლის არეში.</p> <p>3. დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლებს პროკურორთან არ გაუზზავნიათ შეტყობინება. ეს იმით ახსნეს, რომ ბრალდებულის განმარტებით, დაზიანებები მიღებული ჰქონდა დაკავებამდე და პრეტენზია არ გააჩნდა.</p> <p>4. ადვოკატის განმარტებით, გ.გ. გამოიწვიეს და შემდეგ სცემეს. აღნიშნულზე აღმკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს ისაუბრა კიდეც მოსამართლის წინაშე.</p> <p>5. იზოლატორში შესახლებამდე გ.გ. პოლიციის კონტროლის ქვეშ 9 საათზე მეტ ხანს იმყოფებოდა.</p>
<p>ი.ღ.<sup>25</sup></p>	<p>დანაშაულის პროვოცირება, ფიზიკური ძალადობა</p>	<p><b>1. დაკავების ოქმი:</b> მარჯვენა თვალზედის არეში აღენიშნება დაზიანება</p> <p><b>2. დაკავებულ პირთა აღრიცხვის ყურნალი:</b> თვალის არეში აღენიშნება სისხლჩაქცევა.</p>	<p>1. დაკავებული სამმართველოში შეყვანილია 03:00 საათზე, დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულია 10:20 საათზე, ანუ პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა 7 საათი და 20 წუთი.</p>

25 საქართველოს მთავარი პროკურატურის, 2015 წლის 6 ოქტომბრის, N13/62692 წერილის თანახმად, დაკავებულის სხეულის დაზიანების ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულია.

		<p><b>3. დმი:</b> მარჯვენა თვალბუ- დის არეში სისხლნაჟღენთი, მარცხენა მხარეს ქვედა ტუჩის არეში სილურჯე.</p>	<p>2. დაკავების ფაქტობრივ ადგილად დაკავების ოქმში მითითებულია ოზურგეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა მაშინ, როცა ი.ღ.-ს დაკავება რეალურად ბიძის სახლთან მოხდა. დაკავების ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ ი.ღ.-მ წინააღმდეგობა გაუწია შსს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომ- ლებს. ფიზიკური წინააღმ- დეგობის დაძლევისთანავე წარმოდგენილ იქნა შსს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში.</p> <p>3. ოზურგეთის სამხარეო მთა- ვარი სამმართველოს უფრო- სის მოადგილის განმარტებით, სალამოს საათებში სამმართველოს მიმართა მოქალაქემ, რომელიც აცხადებდა, რომ ი.ღ. ემუქრებოდა მას ტელე- ფონით. ვინაიდან ი.ღ. არ სარგებლობდა კარგი რეპ- უტაციით, პოლიციამ მოქა- ლაქის განცხადება რეალურ მუქარად აღიქვა და იმავე დღეს დაიწყო გამოძიება. გამოძიების დანყებიდან რამდენიმე საათში ოპერ- ატიული თანამშრომლები გაუშვეს ი.ღ.-ს მონშის სახით დასაკითხად სამმართველო- ში მოსაყვანად. ი.ღ. ბიძის სახლში იმყოფებოდა. დაძახე- ბაზე გამოვიდა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელებს (სსკ 353-ე მუხლი). ამის შემდგომ მის მიმართ გამოიყენეს ძალა, დააკავეს და წარმოადგინეს სამმართველოში.</p> <p>4. საბოლოოდ ი.ღ.-სთან შედ- გა საპროცესო შეთანხმება, რომელიც თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს.</p>
--	--	--	---

<p><b>ი.ს.<sup>26</sup></b></p>	<p>საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ფიზიკური ძალადობა</p>	<p>1. საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიზნით დროებითი მოთავსების იზოლაციურიდან გაყვანილს დაკავებულს სხეულზე დაზიანება არ აღენიშნებოდა, ხოლო უკან დაბრუნებისას ჰქონდა მას დაზიანება მარცხენა მკლავზე (უფრო ბეჭის არეში, ასე განმარტა იზოლაციური თანამშრომელმა) სისხლნაჟღერის სახით</p>	<p>1. დროებითი მოთავსების იზოლაციური თანამშრომლებს ი.ს.-მ განუცხადა, რომ დაზიანება მიიღო საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს და პრეტენზიები გააჩნდა პოლიციის თანამშრომლების მიმართ.</p> <p>2. სასამართლო სხდომამდე დაკავებულს ადვოკატი არ ჰყოლია.</p> <p>3. გამოძიებლის განმარტებით, მან სასჯელალსრულების N2 დაწესებულებაში შესახლებული ბრალდებული დაკითხა. ბრალდებულმა განაცხადა, რომ დაზიანების შესახებ აღლევების ნიადაგზე განაცხადა და რომ ამჟამად პრეტენზიები არ გააჩნია.</p> <p>4. საბოლოოდ ი.ს. მიმართ შედგა საპროცესო შეთანხმება.</p>
<p><b>მ.ს.<sup>27</sup></b></p>	<p>ფიზიკური ძალადობა</p>	<p><b>1. დაკავების ოქმი:</b> შუბლზე აღენიშნება ნაკანრი და ცხვირზე აღენიშნება სილურჯე, რომელიც მან მიიღო პოლიციისთვის წინააღმდეგობის განევის შედეგად.</p> <p><b>2. დმი:</b> 26 მარტი - შუბლზე აღენიშნება მცირე ზომის ნაკანრი ფუფხით. 27 მარტი - ორივე თვალზე აღენიშნება სისხლნაჟღერის და მარჯვენა თვალზე შესიება. დაკავებულმა განმარტა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას და დროებითი მოთავსების იზოლაციურში მიყვანამდე სახეზე იდებდა სველ ტილოს.</p>	<p>1. დაკავების ოქმში მითითებულია, რომ მ.ს. პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია (სსკ 353-ე მუხლი). ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა იარაღი ვაზნებით (სსკ 236-ე მუხლი). ოქმში მითითებული არ არის ძალის გამოყენების შესახებ.</p>

26 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 22 ოქტომბრის N13/65936 წერილის თანახმად, დაკავებულის სხეულის დაზიანებების ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

27 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 22 ოქტომბრის 13/65928 წერილის თანახმად, დაკავებულის სხეულის დაზიანების ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

<p><b>ვ.მ.</b> <sup>28</sup></p>	<p>ფიზიკური ძალადობა, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა</p>	<p><b>1. დაკავების ოქმი:</b> დაზიანება არ აღენიშნება.</p> <p><b>2. დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნი (სენაკის რაიონული სამმართველო):</b> სამმართველოში მიყვანისას დაზიანება არ აღენიშნება.</p> <p><b>3. დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნი:</b> ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გაყვანისას დაკავებულს აღენიშნებოდა დაზიანება თავის არეში.</p>	<p>1. თავის არეში დაზიანება დაკავებულმა სამმართველოს შენობაში მიიღო, სადაც ის თითქმის 2 საათი იმყოფებოდა.</p> <p>2. პოლიციის თანამშრომელთა განცხადებით, დაკავებულმა თავი მიარტყა სეიფს და მიიყენა თვითდაზიანება. დეტალების განმარტებისაგან თავი შეიკავეს.</p> <p>3. მიუხედავად თავზე სერიოზული ნახეთქი ჭრილობისა, ადმინისტრაციული წესით დაკავებული გაიყვანეს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე და მხოლოდ ხუთი საათისა და 30 წუთის შემდე მიიყვანეს საავადმყოფოში.</p>
<p><b>გ.ჯ. და გ.ბ.</b></p>		<p><b>1. დაკავების ოქმი:</b> გ.ჯ.-ს ზურგის არეში აღენიშნება ექსკორიაციები და სინითლე.</p> <p><b>2. დმი:</b> გ.ჯ.-ს ზურგზე აღენიშნება მრავლობითი ექსკორიაციები და სინითლე, მარცხენა თვალზე სილურჯე და მარჯვენა მაჯაზე სინითლე.</p> <p><b>3. სასწრაფო დახმარების ექიმი:</b> I გამოძახება - გ.ჯ. უჩივის ტკივილს, შეშუპება აქვს მარცხენა თვალის არეში, ასევე ექსკორიაციები აქვს ზურგზე. II გამოძახება - უჩიოდა ტკივილს ზურგის და ბეჭის არეში, ასევე საფეთქლის არეში, აგრეთვე უჩიოდა გულისრევის შეგრძნებას, თავბრუსხვევას. ბეჭის არეში აღენიშნებოდა მრავლობითი ჰემატომები, ასევე მარცხენა თვალბუდის</p>	<p>1. დაკავების საფუძველი: სსკ 353-ე მუხლი.</p> <p>2. გარეგნული დათვალიერების ოქმის მიხედვით, გ.ჯ.-ს განმარტებით, დაზიანება მიღებული აქვს დაკავებისას პოლიციის განყოფილებაში, თუმცა პოლიციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.</p>

28 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 22 ოქტომბრის N13/65925 წერილის თანახმად, დაკავებულის სხეულის დაზიანების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

		<p>არეში მცირე ზომის ჰემატომა. საჭიროებდა ნევროლოგის კონსულტაციას და სტაციონარულ მკურნალობას.</p> <p><b>4. დაკავების ოქმი:</b> გ.გ.-ს დაზიანება არ აღენიშნება.</p> <p><b>5. დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნი:</b> გ.გ.-ს დაზიანება არ აღენიშნება.</p> <p><b>6. დმი:</b> გ.გ.-ს ორივე თვალზე აღენიშნება სინითლე</p>	
--	--	---	--

ზემოთ, ცხრილში მოცემული შემთხვევებიდან, საქმის სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საყურადღებოა რამდენიმე შემთხვევა, მათ შორის გ.ა.-ს საქმე, რომლის მიმართაც მაღალი ალბათობით კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით გამოყენებული იყო ცეცხლსასროლი იარაღი. საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის 2015 წლის 7 ოქტომბრის N13/62784 წერილის თანახმად, 2015 წლის 13 მარტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N170130315801 საქმეზე, დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებისას პოლიციის თანამშრომელსა და გ.ა.-ს შორის გამართული ფიზიკური დაპირისპირების დროს, ბრალდებულმა შემთხვევით ხელი აუკრა პოლიციელს, რის შედეგადაც მის ხელში არსებული სამსახურებრივი იარაღიდან მოხდა შემთხვევითი გასროლა. წერილში აღნიშნულია, რომ ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის თანახმად, დასჯადია დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ჯანმრთელობის მხოლოდ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ამასთან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის ქმედებაში არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ნიშნები, საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. აღსანიშნავია, რომ საავადმყოფოში გადაყვანილი გ.ა. დროებითი მოთავსების იზოლატორში დაბრუნების გარეშე, გათავისუფლდა დაკავებიდან. ამასთან, გ.ა.-ს და პროკურატურას შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რის საფუძველზეც სასჯელის სახით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით.

საყურადღებოა ასევე ი.ღ.-ს შემთხვევა, სადაც ი.ღ.-ს მოწმის სახით დაკითხვა ოზურგეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 03:00 საათზე გადაწყვიტეს, რასაც როგორც პოლიციის თანამშრომლები განმარტავენ, ბიძის სახლში მყოფი ი.ღ.-ს წინააღმდეგობა მოჰყვა. ი.ღ.-ს დაკავება მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის საფუძველზე. საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის 2015 წლის 6 ოქტომბრის N13/62692 წერილის თა-



ნახმად, 2015 წლის 15 მარტს, ი.ღ.-მ ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ დამკავებელი პოლიციის თანამშრომლების მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, ი.ღ.-ს დაზიანების ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ფორმალური საჩივრის არარსებობის პირობებშიც პროკურატურამ უნდა დაიწყოს და ჩაატაროს გამოძიება ცალკე წარმოების ფარგლებში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ადმინისტრაციული წესით დაკავებული ვ.მ.-ს შემთხვევა, სადაც ვ.მ.-მ პოლიციის სამმართველოს შენობაში თავის არეში მიიღო ნახეთქი ჭრილობა, ამის შემდეგ ის გადაიყვანეს ნარკოლოგიურ შემონმებაზე და მხოლოდ 5 საათისა და 30 წუთის შემდეგ მიიყვანეს საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის 2015 წლის 22 ოქტომბრის N13/65925 წერილის თანახმად, 2015 წლის 6 მარტს, სენაკის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N068060315801 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სენაკის რაიონული სამმართველოს მუშაკების მიერ ვ.მ.-ს მიმართ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2015 წლის 19 მარტს, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ზემოხსენებულ საქმესთან მიმართებით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვ.მ.-ს მიერ დაზიანების მიღების შემდეგ, ის გადაიყვანეს ნარკოლოგიურ შემონმებაზე, ხოლო, სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის, 5 საათისა და 30 წუთის შემდეგ. აღნიშნული გარემოება კი შესაძლოა მიუთითებდეს პოლიციის მხრიდან დაკავებულის უფლებების დაცვის საკითხის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაზე ან უარეს შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობა შესაძლოა ყოფილიყო მის მიმართ ზეწოლის განხორციელების საშუალება.

ზემოთ აღწერილი შემთხვევების გარდა, საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის დროს შესწავლილი საქმეების სტატისტიკური ანალიზის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დაზიანებების შემთხვევები დროებითი იზოლაციების მიხედვით იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

N	იზოლატორი	დაკავებული მონიტორინგის დროისთვის	ანკეტების <sup>29</sup> რაოდენობა	მონიტორინგის ჩატარების დრო
1.	კახეთის რეგ.დმი (თელავი)	244	36 (14,7 %)	06.2015
2.	საგარეჯოს დმი	139	22 (15,8 %)	06.2015
3.	სიღნაღის დმი	105	5 (4,8 %)	06.2015
4.	ყვარლის დმი	217	21 (9,7 %)	06.2015
5.	იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვ. სვანეთის რეგ. დმი (ქუთაისი)	553	83 (15 %)	06.2015
6.	ლენტეხის დმი	8	–	06.2015
7.	ზესტაფონის დმი	184	19 (10 %)	06.2015
8.	ბაღდათის დმი	53	6 (11,3 %)	06.2015
9.	ჭიათურის დმი	92	21 (22,8 %)	06.2015
10.	სამტრედიის დმი	166	21 (12,6 %)	06.2015
11.	ამბროლაურის დმი	0	–	06.2015
12.	სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგ. დმი (ზუგდიდი)	217	24 (11 %)	07.2015
13.	ზუგდიდის დმი	359	31 (8,6 %)	07.2015
14.	სენაკის დმი	165	11 (6,7 %)	07.2016
15.	ფოთის დმი	101	10 (9,9 %)	07.2015
16.	ხობის დმი	83	9 (10,8 %)	07.2015
17.	ჩხორონწყუს დმი	89	8 (9 %)	07.2015
18.	მესტიის დმი	8	–	07.2015
19.	თეთრიწყაროს დმი	4	–	06.2015
20.	წალკის დმი	11	6 (54,5 %)	06.2015
21.	მარნეულის დმი	254	68 (26,8 %)	06.2015
22.	აჭარის და გურიის რეგ. დმი (ბათუმი)	1160	121 (10,4 %)	07.2015
23.	ქობულეთის დმი	148	25 (16,9 %)	07.2015
24.	ოზურგეთის დმი	77	13 (16,9 %)	07.2015
25.	ჩოხატაურის დმი	19	10 (52,6 %)	07.2015
26.	ლანჩხუთის დმი	53	0	07.2015

29 საქმის მასალებში არსებული საჭირო ინფორმაციის სისტემატიზებული ამოღების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფი იყენებდა ინფორმაციის დასაფიქსირებლად სპეციალურად შემუშავებულ ანკეტას.

27.	შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგ. დმი (გორი)	361	67 (18,5 %)	08.2015
28.	ხაშურის დმი	242	50 (20,7 %)	08.2015
29.	ბორჯომის დმი	63	25 (39,7 %)	08.2015
30.	ახალციხის დმი	113	27 (23,9 %)	08.2015
31.	ახალქალაქის დმი	19	1 (5,3 %)	08.2015

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ იმ დროებითი იზოლატორებიდან, სადაც 2015 წლის 1 იანვრიდან მონიტორინგის ჩატარების დროისთვის 50 დაკავებულ პირზე მეტი იმყოფებოდა, ყველაზე მეტი საყურადღებო შემთხვევა მონიტორინგის ჯგუფმა აღმოაჩინა ბორჯომის, მარნეულის, ახალციხის, ჭიათურის და ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ამ იზოლატორებში გამოვლენილი დაზიანების შემთხვევების პროცენტული შეფარდება დაკავებულ პირთა რაოდენობასთან 20%-ს აღემატება. ამის შემდგომ, მცირე პროცენტული სხვაობით მოდის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური (გორის) დროებითი მოთავსების იზოლატორი, ასევე ქობულეთის, ოზურგეთის, საგარეჯოს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვ. სვანეთის რეგიონალური (ქუთაისი) და კახეთის რეგიონალური (თელავი) დროებითი მოთავსების იზოლატორები.

შეგროვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაკავების ოქმში 419 შემთხვევაში არის სხეულის დაზიანების შესახებ მითითება, ხოლო გარეგნული დათვალიერების ოქმში - 716 შემთხვევაში. შესაბამისად, 297 შემთხვევაში დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია გარეგნული დათვალიერების ოქმში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დაკავებისას სხეულის დათვალიერებისა და დაზიანებათა დოკუმენტირების ხარვეზებით, თუმცა ამავდროულად ჩნდება მყარი ვარაუდი, რომ შესაძლოა დაკავებულმა დაზიანება პოლიციის კონტროლის ქვეშ მიიღო. ანალოგიურად, კვლევამ აჩვენა, რომ 418 შემთხვევაში გარეგნული დათვალიერების ოქმში სხეულის უფრო მეტი დაზიანება აღწერილი, ვიდრე დაკავების ოქმში და დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნშია.

პოლიციის თანამშრომელთა განმარტებით, დაკავების ოქმში დაზიანების სრულყოფილად აღწერაზე უარყოფითად მოქმედებს საკმარისი განათების არარსებობა და სხეულის დათვალიერების წესი. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იყო, თუ რა გავლენას ახდენდა საკმარისი განათების არსებობა/არარსებობა დაკავების ოქმში დაზიანების აღწერაზე. დადგინდა, რომ მხოლოდ შემთხვევათა ერთ მესამედში მოხდა პირის დაკავება დღის შუქზე. ასევე გაირკვა, რომ იმ შემთხვევების ერთ მესამედში, სადაც დაზიანების შესახებ მითითებულია მხოლოდ გარეგნული დათვალიერების ოქმში, პირის დაკავება მოხდა დღის შუქზე. აღსანიშნავია, რომ კვლევამ გამოავლინა 50 შემთხვევა, როდესაც პირის დაკავება მოხდა დღის შუქზე, ხოლო თავის, სახის და თვალბუდის არეში დაზიანებები მითითებულია მხოლოდ იზოლატორის თანამშრომლების მიერ შედგენილ გარეგნული დათვალიერების ოქმში. ამ 50 შემთხვევა-

ში, თუ პირს დაკავებისას აღენიშნებოდა დაზიანება, ის აუცილებლად უნდა დაეფიქსირებინა დამკავებელ პოლიციელს.

კვლევა აჩვენებს, რომ იმ 297 შემთხვევიდან, სადაც დაკავების ოქმში დაზიანება მითითებული არ არის, 236 შემთხვევაში (79,5 %) პირის დაკავება მოხდა ადმინისტრაციული წესით, ხოლო 61 შემთხვევაში (20,5 %) - სისხლის სამართლის წესით, რაც ადმინისტრაციული წესით დაკავების შესახებ დამუშავებული ანკეტების საერთო რაოდენობის 52,2 %-ს, ხოლო სისხლის სამართლის წესით დაკავების შესახებ დამუშავებული ანკეტების 20,8 %-ს შეადგენს. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავების შემთხვევებში დაკავების ოქმში დაზიანების არაღწერის ასეთი მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთ მიზეზს ადმინისტრაციული დაკავების ოქმში სხეულის დაზიანების შესახებ შესაბამისი გრაფის არარსებობა წარმოადგენს. იმ შემთხვევებში, სადაც ადმინისტრაციული დაკავების ოქმში მითითებულია სხეულის დაზიანების შესახებ, როგორც წესი, ასეთი ჩანაწერი განხორციელებულია შენიშვნის გრაფაში.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა დაზიანებათა ლოკალიზაცია. მონაცემები<sup>30</sup> იზოლატორებში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმის მიხედვით იხილეთ, ქვემოთ ცხრილში:

ლოკალიზაცია	N	%
თავის არეში	14	1,9
სახის არეში	82	11,4
თვალბუდის არეში	39	5,4
სხეულის სხვადასხვა ნაწილში (თავის, სახისა და თვალბუდის არის გარდა)	263	36,7
თავისა და სახის არეში	7	1
თავისა და თვალბუდის არეში	4	0,5
თავის არეში და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში (სახის და თვალბუდის არის გარდა)	20	2,8
თავის, სახის და თვალბუდის არეში	2	0,3
თავისა და სახის არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ნაწილებში	12	1,7
თავისა და თვალბუდის არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ნაწ.	1	0,1
სახისა და თვალბუდის არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ნაწ.	51	7,1
სახისა და თვალბუდის არეში	31	4,3
სახის არეში და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში (თავის და თვალბუდის არის გარდა)	136	19
თვალბუდის არეში და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში (თავისა და სახის არის გარდა)	41	5,7

30 კვლევის მიზნებისთვის მოხდა დაზიანებათა ლოკალიზაციის განზოგადება და დაჯგუფება. ვინაიდან კვლევის განსაკუთრებულ ფოკუსს თავის, სახის და თვალბუდის არეში დაზიანება წარმოადგენდა, ეს ნაწილები ცალკე გამოიყო.

თავის, სახის და თვალბუდის არეში, ასევე სხეული სხვადასხვა ნაწილებში	13	1,8
	<b>სულ: 716</b>	

ცხრილში მოცემული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ შემთხვევათა 63,3%-ში, დაკავებულ პირს დაზიანება აღენიშნება, ცალ-ცალკე და ერთად, თავის, სახის და თვალბუდის მიდამოში. თავის არეში დაზიანება (ცალკე და სხვა დაზიანებებთან ერთად) 63 შემთხვევაში ფიქსირდება. სახის არეში დაზიანება (ცალკე და სხვა დაზიანებებთან ერთად) გვხვდება 334 შემთხვევაში. თვალბუდის არეში დაზიანება (ცალკე და სხვა დაზიანებებთან ერთად) ფიქსირდება 182 შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ დაზიანება თავის არეში (ცალკე და სხვა დაზიანებებთან ერთად) დაკავებისას დაკავებულმა პირმა, მისივე განმარტებით, მიიღო 16 შემთხვევაში, სახის არეში - 59 შემთხვევაში, თვალბუდის არეში - 31 შემთხვევაში.

კვლევის ფარგლებში შემონმდა, ხდება თუ არა გარეგნული დათვალეერების ოქმში დაზიანების წარმოშობის დროის შესახებ მითითება. იხ. ქვემოთ, ცხრილი:

დაზიანების მიღების დრო	
დაკავებამდე	581
დაკავებისას	116
დაკავების შემდეგ	11
ჩანაწერი არ არის	32
	<b>სულ: 740</b>

კვლევის ფარგლებში შემონმდა 740 შემთხვევიდან, რამდენ შემთხვევაში გააჩნდა დაკავებულ პირს პრეტენზია პოლიციის მიმართ და რამდენ შემთხვევაში არ იყო ჩანაწერი პრეტენზიის არსებობა-არარსებობასთან დაკავშირებით. აღმონდა, რომ პოლიციის მიმართ პრეტენზია დაკავებულმა პირმა გამოთქვა 69 შემთხვევაში, დაკავებულს პრეტენზია არ ჰქონდა 626 შემთხვევაში, ხოლო 45 შემთხვევაში იზოლატორებში შედგენილი გარეგნული დათვალეერების ოქმი არ შეიცავდა ჩანაწერს პოლიციის მიმართ პრეტენზიის შესახებ.

დაზიანების მიღების დრო	პრეტენზია პოლიციის მიმართ			ჯამი
	გააჩნია	არ გააჩნია	ჩანაწერი არ არის	
დაკავებამდე	9	543	29	581
დაკავებისას	50	57	9	116
დაკავების შემდეგ	8	3	0	11
ჩანაწერი არ არის	2	23	7	32
ჯამი	69	626	45	740

სხეულის დაზიანების ლოკალიზაციის, დაზიანების მიღების დროისა და პოლიციის მიმართ პრეტენზიის შესახებ მონაცემების კროსტაბულაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ 8 შემთხვევაში პირს დაზიანებები აღენიშნება სხეულის სხვადასხვა ნაწილში და აღნიშნავს, რომ პოლიციის მიმართ პრეტენზია გააჩნია, მაგრამ დაზიანებები მიიღო დაკავებამდე.

დაზიანების დაკავებისას მიღების შემთხვევაში, დაზიანების ლოკალიზაცია და დაკავებული პირის მიერ პრეტენზიის გამოთქმის შესახებ ინფორმაცია (გარეგნული დათვალიერების ოქმის მიხედვით) იხილეთ, ქვემოთ ცხრილში:

დაზიანების ლოკალიზაცია	პრეტენზია გააჩნია	პრეტენზია არ გააჩნია	მითითებული არ არის	ჯამი
თავის არეში	1	2	0	3
სახის არეში	4	6	0	10
თვალბუდის არეში	3	3	0	6
სხეულის სხვა ნაწ. (თავის, სახის და თვალბუდის გარდა)	15	15	4	34
თავისა და თვალბუდის არეში	0	1	0	1
თავის არეში და სხეულის სხვა ნაწ. (სახის და თვალბუდის გარდა)	2	2	1	5
თავის და სახის არეში, ასევე სხეულის სხვა ნაწილებში	1	2	0	3
თავის და თვალბუდის არეში, ასევე სხეულის სხვა ნაწ.	0	1	0	1
სახის და თვალბუდის არეში, ასევე სხეულის სხვა ნაწ.	3	6	1	10
სახის და თვალბუდის არეში	2	3	0	5
სახის არეში და სხეულის სხვა ნაწილებში	16	10	2	28
თვალბუდის არეში და სხეულის სხვა ნაწილებში	1	3	1	5
თავის, სახის და თვალბუდის არეში, ასევე სხეულის სხვა ნაწილებში	2	1	0	3
	<b>სულ: 50</b>	<b>სულ: 55</b>	<b>სულ: 9</b>	<b>სულ: 114</b>

ზემოთ მოცემული ცხრილის ანალიზი ცხადყოფს, რომ 55 შემთხვევაში პირს სხეულზე არაერთი დაზიანება აღენიშნება, რომელიც მისი განმარტებით, დაკავებისას მიიღო, თუმცა მას პოლიციის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია. ცხრილიდან ასევე ირკვევა, რომ დაკავებისას დაზიანების მიღების 9 შემთხვევაში, გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებული არ არის, აქვს თუ არა დაკავებულს პოლიციის მიმართ პრეტენზია.

აღსანიშნავია, რომ შემონმების დროს დაფიქსირდა 11 შემთხვევა, როდესაც დაკავებული პირები დაზიანების წარმომავლობის დროდ მიუთითებდნენ დაკავების შემდგომ პერიოდს. მათგან 9 დაკავებულს დაზიანებები მიყენებული ჰქონდათ თავის, სახისა და თვალბუდის არეში, ხოლო, 2 დაკავებულს – სხეულის სხვადასხვა ნაწილებში. აღნიშნული პირებიდან მხოლოდ 8 დაკავებულმა განაცხადა, რომ პრეტენზია გააჩნდა პოლიციის მიმართ, ხოლო, 3-მა დაკავებულმა პოლიციის მიმართ პრეტენზია არ დააფიქსირა.

ზემოთ მითითებული მონაცემების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულებს, მათივე განმარტებით, 3 შემთხვევაში დაზიანება მიყენებული აქვთ დაკავების შემდგომ, ხოლო 55 შემთხვევაში – დაკავებისას, სახის და თვალბუდის არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ნაწილებში, მათ პოლიციის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია. ასეთი განმარტება ნაკლებ დამაჯერებელია. სავარაუდოდ ხსენებულ შემთხვევებში სახეზეა თვითცენზურა შიშის, სტრესისა და გაურკვევლობის გამო, რადგან თავისუფლების პირველ ეტაპზე დაშინების, ზენოლის, შეურაცხყოფის, სხვა სახის არასათანადო მოპყრობის საფრთხე ყველაზე მაღალია და ამ დროს პირი განსაკუთრებით მონყვლად მდგომარეობაში იმყოფება.

კვლევის ფარგლებში ასევე შემონმდა დაკავების გარემოებები. ამ შემონმების მიზანს წარმოადგენდა, დადგენილიყო შესწავლილ შემთხვევებში პირის დაკავებას ხომ არ უსწრებდა ამ პირის მხრიდან მოქალაქეების შეურაცხყოფა, მათთან ფიზიკური დაპირისპირება, ასევე პოლიციის თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ფიზიკური წინააღმდეგობის განწევა, მათი სიტყვიერი შეურაცხყოფა და ხომ არ გამოიყენა პოლიციამ ძალა.

კვლევამ, დაკავების ოქმებზე დაყრდნობით, სხვა მოქალაქეებთან ფიზიკური დაპირისპირების მხოლოდ 11 შემთხვევა გამოავლინა. დაკავებულის მხრიდან მოქალაქეების სიტყვიერ შეურაცხყოფას 44 შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, პოლიციის შეურაცხყოფას კი - 171 შემთხვევაში. მონაცემების ანალიზიდან პოლიციის მიმართ მოქალაქეების აგრესიის გამოვლენის ტენდენცია იკვეთება. უმისამართო გინების 209 შემთხვევა დაფიქსირდა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის საფუძველზე დაკავების შესწავლილი 179 შემთხვევიდან მხოლოდ 5 შემთხვევაში იკვეთება სხვა მოქალაქესთან ფიზიკურად დაპირისპირების შედეგად დაზიანების მიღების მაღალი ალბათობა. 15 შემთხვევაშიც შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოქალაქეების სიტყვიერ შეურაცხყოფას წინ უსწრებდა ფიზიკური დაპირისპირება, რაც ოქმში არ არის მითითებული. პოლიციის შეურაცხყოფის 51 შემთხვევაში, ვინაიდან დაკავების ოქმი არ მიუთითებს ისეთ გარემოებაზე, რამაც შეიძლება წარმოშვას დაზიანების დაკავებამდე მიღების

ალბათობა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაზიანების მიყენება მოხდა პოლიციის თანამშრომლებთან კონტაქტის შემდეგ.

პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის და პოლიციის თანამშრომლისათვის წინააღმდეგობის განხორციელების 227 შემთხვევიდან, დაკავების ოქმის თანახმად, პოლიციის თანამშრომელს დაკავებულმა სიტყვიერი შეურაცხყოფა 74 შემთხვევაში მიაყენა. ამ შემთხვევებში პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების და შესაბამისად ძალის გადამეტების ალბათობაც მაღალია. აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დროს ინტერვიუებულ პოლიციელებს მწვავედ განიცდიდნენ იმ ფაქტს, რომ სამართალდამრღვევები მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ დედის გინება ქართველი კაცისთვის ძნელი ასატანია, მათ ამ ყოველივეს თმენა უწევდათ.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა, თუ რა დაზიანებები აღენიშნებოდა დაკავებულ პირს უმისამართო გინების, პოლიციის თანამშრომლებისთვის შეურაცხყოფის მიყენების და პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევებში. მონაცემები გარეგნული დათვალიერების ოქმის მიხედვით იხილეთ ქვემოთ, ცხრილში:

დაზიანების ლოკალიზაცია	უმისამართო გინება	პოლიციის თანამშრომლების შეურაცხყოფა
თვალბუდის არეში	4	1
სახის არეში	0	1
თავისა და თვალბუდის არეში	0	1
თავის, სახის და თვალბუდის არეში	0	1
სხეულის სხვადასხვა ნაწილებში (გარდა თავის, სახის და თვალბუდის არისა)	3	5
თავის არეში და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში (სახისა და თვალბუდის არის გარდა)	1	1
თავის და სახის არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ნაწილებში	1	1
თვალბუდის და სახის არეში, ასევე სხეულის სხვადასხვა ნაწილებში	5	3
თვალბუდისა და სახის არეში	2	1
სახის არეში და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში (თავისა და თვალბუდის არის გარდა)	4	2
თვალბუდისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში (გარდა თავისა და სახის არისა)	1	2
სხეულის სხვადასხვა ნაწილებში, მათ შორის თავის, სახისა და თვალბუდის არეში	0	1

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილის ანალიზი აჩვენებს, უმისამართო გინების, პოლიციის თანამშრომლების შეურაცხყოფის და ძალის გამოყენების შემთხ-



ვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში დაკავებულებს დაზიანებები აღნიშნებათ თავის, სახისა და თვალბუდის არეში. ამასთან, უმისამართო გინების და პოლიციის მიერ ძალის გამოყენების 21 შემთხვევიდან დაკავების ოქმში დაზიანება მითითებული არ არის 10 შემთხვევაში, ხოლო პოლიციის თანამშრომლების შეურაცხყოფის 20 შემთხვევიდან - 9 შემთხვევაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება ვარაუდი, რომ შესაძლოა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონოდა არასათანადო მოპყრობას.

კვლევის ფარგლებში შემონმდა დამუშავებული 740 შემთხვევიდან, დაკავების ოქმის თანახმად, რამდენ შემთხვევაში ჰქონდა დაკავებული პირის მხრიდან დაუმორჩილებლობის ან პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწევას ადგილი. კვლევამ დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის განწევის 227 შემთხვევა (30,7 %) გამოავლინა, ხოლო ასეთის მითითებას არ შეიცავს შესწავლილი 513 ოქმი (69,3 %). აქედან დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის განწევის შესახებ მითითება დაკავების ოქმში ყველაზე ხშირად გვხვდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების (80 შემთხვევა - 35,2 %) და სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის საფუძველზე პირის დაკავების შემთხვევებში (43 შემთხვევა - 18,9 %). ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია ცალკე 173-ე მუხლის შესაბამისად დაკავების შემთხვევაშიც (69 შემთხვევა - 30,4 %).

კვლევის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე პირის დაკავების 177 შემთხვევიდან 80 შემთხვევაში (45,2 %) დაკავების ოქმში აღნიშნულია დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის განწევის შესახებ. ცალკე 173-ე მუხლის საფუძველზე პირის დაკავების 160 შემთხვევიდან - 69 შემთხვევაში (43,1 %), ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის საფუძველზე პირის დაკავების 50 შემთხვევიდან - 43 შემთხვევაში (86 %).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის განწევის შესახებ დაკავების ოქმში მითითების 227 შემთხვევიდან 3 შემთხვევაში (1,3 %) არის სრული აღწერა, თუ რაში გამოიხატა დაუმორჩილებლობა/წინააღმდეგობის განწევა, 4 შემთხვევაში ოქმი შეიცავს ნაწილობრივ აღწერას (1,8 %), შემთხვევათა 96,9 %-ში პოლიციის თანამშრომლები ასეთ აღწერას არ ახდენენ.

740 შემთხვევიდან ძალის გამოყენების ფაქტის შესახებ მითითებულია მხოლოდ 46 შემთხვევაში (6,2 %), 27 შემთხვევაში (3,6 %) აღნიშნულია, რომ ძალის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო 667 შემთხვევაში (90,2 %) ძალის გამოყენების შესახებ დაკავების ოქმში მითითება არ არის. ძალის გამოყენების შესახებ მითითების 46 შემთხვევიდან, დაკავების ოქმში ძალის გამოყენების მეთოდი სრულად აღწერილია მხოლოდ 2 შემთხვევაში (4,3 %), 3 შემთხვევაში (6,5 %) ოქმი შეიცავს ნაწილობრივ აღწერას, ხოლო 41 შემთხვევაში (89,2 %) ოქმში არაფერია ნათქვამი ძალის გამოყენების მეთოდის შესახებ.

იმ შემთხვევათა რაოდენობა, როდესაც დაკავების ოქმში მითითებულია დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის და ძალის გამოყენების შესახებ, 37-ს (16,3 %) შეადგენს, ხოლო იმ შემთხვევათა რაოდენობა, სადაც აღნიშნულია დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის თაობაზე, მაგრამ ძალის გამოყენების ფაქტი და-

კავების ოქმიდან არ ირკვევა - 189-ს (83,3 %). 1 შემთხვევაში პოლიცია უთითებს, რომ ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობას/წინააღმდეგობას, მაგრამ ძალა არ გამოუყენებია. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის საფუძველზე პირის დაკავების 50 შემთხვევიდან 44 შემთხვევაში (88 %) დაკავების ოქმში ძალის გამოყენების შესახებ მითითება არ არის. ამ შემთხვევებში ძალის გამოყენების ალბათობა მაღალია, თუმცა, როგორც ჩანს, პოლიციის თანამშრომლები ძალის გამოყენების შესახებ მითითებას ერიდებიან. აღნიშნულის საპირისპიროდ, დაფიქსირდა 9 შემთხვევა, როდესაც დაკავების ოქმში აღნიშნულია, რომ დაუმორჩილებლობას/წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ოქმი შეიცავს მითითებას ძალის გამოყენების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ 2015 წელს მწვავედ დგას პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის საკითხი და შემფოთებულია იმ ფაქტით, რომ უმეტეს შემთხვევებში, იკვეთება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისთვის პოლიციის თანამშრომელთა წინასწარი, მიზანმიმართული მზადება და მისი განხორციელება, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, რაც წამების დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია.

ასევე შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის მიერ 2015 წელს საქართველოს მთავარი პროკურორისთვის გაგზავნილი 11 წინადადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის საფუძველზე და ეს მაშინ, როცა სახალხო დამცველის წინადადებებში მითითებული გარემოებები შეიცავს წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებს. სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს პროკურატურას, რომ მსგავს შემთხვევებში გამოძიება დაიწყოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პოლიციის მიერ დაკავებული პირების ისეთი სამართლებრივი დაცვის გარანტიების უგულვებლყოფა, როგორიცაა უფლებების განმარტება, ოჯახთან და ადვოკატთან დაკავშირება. ასევე განსაკუთრებით საყურადღებოა საანგარიშო პერიოდში, როგორც ეს დაკავების ოქმებშია მითითებული, პოლიციის მიმართ მოქალაქეების აგრესიის გამოვლენის ტენდენცია, რა დროსაც პოლიციის თანამშრომელთა არასაკმარისი კვალიფიკაციის პირობებში, მაღალია მათი მხრიდან ძალის გამოყენების და შესაბამისად ძალის გადამეტების ალბათობაც.

## რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, ასევე, ადამიანის უფლებათა დარღვევის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, სათანადო სწავლების, ანგარიშვალდებულების გაზრდის და მკაცრი ზედამხედველობის გზით

## რეკომენდაციები საქართველოს მთავარ პროკურორს

- უზრუნველყოს პოლიციის მხრიდან დაკავებული პირების მიმართ ნამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტების ეფექტური გამოძიება, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილ შესწავლას
- პოლიციის მხრიდან დაკავებულ პირთა მიმართ ნამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, გამოძიება დაიწყოს და ჩატარდეს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით

### 3. არასათანადო მოპყრობისგან დასვის ძირითადი ბარანგიები

#### 3.1. დაკავებულის ინფორმირება უფლებების შესახებ

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5(2) მუხლის მიხედვით, ყველა დაკავებულ პირს დაკავებისთანავე მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს დაკავების საფუძვლები და მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები. აქედან გამომდინარე, დაკავებულს უნდა მიენოდოს კონკრეტული ინფორმაცია ზუსტი დეტალებით, იმისათვის რომ მას შეეძლოს თავისი დაკავების კანონიერების საკითხი სადავო გახადოს შესაბამის ორგანოში კონვენციის 5(4) მუხლის საფუძველზე. ამ მუხლის მიზნებისათვის დაკავებულს ინფორმაცია უნდა მიენოდოს მარტივი, არატექნიკური ენით, რათა მისთვის გასაგები იყოს დაკავების საფუძვლები და წარდგენილი ბრალდებები.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პოზიციის თანახმად, პოლიციის მიერ დაკავებისას პირებს დაუყოვნებლივ და ნათლად, მათთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოთ მათი უფლებების შესახებ. ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაკავების პირველსავე ეტაპზე პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს სისტემატურად უნდა დაურიგდეთ სტანდარტული ფორმა, რომელშიც გასაგებად იქნება აღწერილი მათი ყველა უფლება. გარდა ამისა, დაკავებულ პირებს უნდა ეთხოვოთ, ხელი მოაწერონ უფლებების გაცნობის დამადასტურებელ დოკუმენტს.<sup>31</sup>

საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულია დაკავებული პირისათვის მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება<sup>32</sup>, თუმცა საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ქუჩიდან პირთა თანხმობის გარეშე პოლიციის ავტომობილში ან პოლიციის განყოფილებაში „გასაუბრების“ შემთხვევები, რა დროსაც მათ არ მიენოდებოდათ არანაირი ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. თუკი ეს ხდებოდა „გამოკითხვის“ ჩასატარებლად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გაცემა ხდება ნებაყოფლობით და გამოკითხვის დაწყებამდე პირს უნდა განემარტოს თავისი უფლებები.<sup>33</sup> წამების საკითხებში გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა მიიჩნია, რომ პირის გადაყვანა „გასაუბრებისთვის“ მისი გამოხატული და თავისუფალი თანხმობის გარეშე არა მხოლოდ ზღუდავს პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, არამედ ზრდის წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკსაც.<sup>34</sup>

31 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 16, პუნქტი 44, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [ბოლოს ნანახია 25.03.2016]

32 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 38(1-2); საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 245(1)

33 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 113(1-2)

34 წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის საკითხებში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, 2015, პარ. 43, ხელმისაწვდომია გაეროს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე: [http://ap.ohchr.org/documents/dpage\\_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3](http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3) [ბოლოს ნანახია 26.03.2016].

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პირის „გასაუბრებისთვის“ პოლიციის ავტომობილსა თუ განყოფილებაში გადაყვანის პრაქტიკა ქმნის უკანონო დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკს. პირისათვის თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ შემთხვევაში მას დაუყოვნებლივ და გასაგებად უნდა ეცნობოს უფლებების შესახებ.<sup>35</sup>

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული შემონმების შედეგად დადგინდა, რომ ზოგიერთი პოლიციის სამმართველოში პირთა შემოყვანის დროს უსწრებს მათი ფაქტობრივი დაკავების დროს, რაც ბადებს ეჭვს, რომ ამ პირთა მიმართ მოხდა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რადგან სამმართველოში შემოყვანისას ისინი ოფიციალურად დაკავებული არ ყოფილან და დიდი ალბათობით მათთვის არ განუმარტავთ არანაირი უფლება.

კახეთის სამხარეო სამმართველოში პოლიციის თანამშრომლებმა განმარტეს, რომ სამმართველოში შემოსვლის დროის წინსწრება დაკავების დროსთან, გამონვეულია იმ ფაქტით, რომ პირი სამმართველოში მოიყვანეს ნებაყოფლობით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე<sup>36</sup> მუხლის შესაბამისად გადამონმების მიზნით, ხოლო მათი გადაყვანა ნარკოლოგიურ შემონმებაზე მოხდა მხოლოდ დაკავების ოქმის შედგენის შემდეგ.<sup>37</sup>

უკანონო დაკავების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახის შეზღუდვა თუ დაკავება, რომელიც პირს უზღუდავს თავისუფალ გადაადგილებას თუნდაც შედარებით მცირე პერიოდით, განიხილება თავისუფლების აღკვეთად.<sup>38</sup> აქედან გამომდინარე, თუკი პირი მოექცევა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ, რომელთაც იგი მიჰყავთ პოლიციის შენობაში, ეს უკვე განიხილება თავისუფლების აღკვეთად და აუცილებელია პირს თავიდანვე განემარტოს, თუ რა პროცედურული უფლებებით სარგებლობა შეუძლია მას.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იზოლაციაში წარმოდგენილი პირების პირადი დათვალეობების, გამოკითხვისა და სანიტარული დამუშავების შემდეგ პასუხმისმელი მორიგე ან მისი დავალებით სხვა მორიგე მათ აცნობებს და შესაძლებლობის შემთხვევაში ხელზე გადასცემს იზოლაციაში მოქმედ შინაგანანგესს, ასევე მათ საპროცესო უფლება-მოვალეობების ნუსხას, რის შემდეგაც მათ ათავსებენ საკნებში.<sup>39</sup>

35 ნამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 6, პუნქტი 37, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [ბოლოს ნანახია 25.03.2016].

36 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 45: ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნა ან შენახვა ანდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება.

37 ამ საკითხზე იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების“ თავი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3512.pdf> [ბოლოს ნანახია 06.04.2015].

38 გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს უკანონო დაკავების შესახებ სამუშაო ჯგუფის ანგარიში (2012 წლის 24 დეკემბერი) პარ. 55, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: [http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session22/A.HRC.22.44\\_en.pdf](http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session22/A.HRC.22.44_en.pdf) [ბოლოს ნანახია 26.03.2016].

39 შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანება; დანართი N3; მუხ. 3(4).

მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული პირისათვის საპროცესო უფლება-მოვალეობების ნუსხის ასლის გადაცემა იზოლატორის თანამშრომელთა აბსოლუტური ვალდებულება არაა, მონიტორინგის ჯგუფთან საუბრისას იზოლატორების ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ პირის საკანში განთავსებამდე მას აცნობენ უფლება-მოვალეობებს გასაგებ ენაზე, აწერილებენ ხელს და ერთ ასლს აძლევენ საკანში შესატანად.

ჯგუფის წევრებმა რამდენიმე იზოლატორში დააფიქსირეს, რომ დაკავებული პირისათვის გადასაცემი უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი არასრული იყო და არ შეიცავდა იმ უფლებებს, რომლითაც პირმა უნდა ისარგებლოს უშუალოდ იზოლატორში ყოფნის დროს. რიგ შემთხვევებში, დაკავებული პირები ამბობდნენ, რომ მათთვის არავის განუმარტავს გასეირნებისა და შხაპის მიღების უფლება, რის გამოც მათ ვერ ისარგებლეს ამ უფლებით.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ იზოლატორში მიყვანილ ყველა პირს მკაფიოდ და მისთვის გასაგებად უნდა განემარტოს არა მხოლოდ პროცესუალური უფლებები, არამედ ყველა ის უფლება და ასევე მოვალეობები, რაც მას უშუალოდ იზოლატორში ყოფნისას აქვს. ვინაიდან ამ უფლებების განმარტება, როგორც წესი, ხდება დაკავებულის იზოლატორში მისვლისთანავე, როდესაც პირი აღელვებულია და შესაძლოა სიღრმისეულად ვერ აღიქვამდეს მის უფლებებს და ისე მოაწეროს ხელი, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ უფლებების ჩამონათვალი მას გადაეცეს საკანში შესატანადაც, რათა მან შემდგომ შედარებით მშვიდ გარემოში შეძლოს საკუთარი უფლება-მოვალეობების ხელახლა გაცნობა.

## 3.2. ოჯახის ინფორმირება დაკავების შესახებ, ადვოკატისა და ექიმის ხელმისაწვდომობა

### 3.2.1. ოჯახის ინფორმირება

წამების წინააღმდეგ კომიტეტის ხაზს უსვამს ოჯახის ინფორმირების უფლების მნიშვნელობას.<sup>40</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც მიუთითებს დაკავებული პირის მიერ თავისი დაკავების შესახებ ინფორმაციის მესამე პირთათვის დაუყოვნებლივ მიწოდების უფლებაზე. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ეს უფლება შეიძლება გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს პოლიციის მიერ გამოძიების წარმოების კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა, ამგვარი გამონაკლისები ნათლად უნდა განიმარტოს, მკაცრად განისაზღვროს დროში და მათი დაშვებისას შესაბამისი დაცვის გარანტიები უნდა იქნას გათვალისწინებული (მაგ.: დაკავების შესახებ შეტყობინების ნებისმიერი დაგვიანების ფაქტი, მიზეზების მითითებით, წერილობითი სახით უნდა იქნას აღრიცხული, და საჭიროებს დასტურს პოლიციის ზემდგომი პირისგან ან პროკურორისგან, რომელიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ საქმესთან).<sup>41</sup> აღსანიშნავია, რომ

40 გაერო-ს წამების წინააღმდეგ კომიტეტის ზოგადი კომენტარი N2, პარ. 13, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www2.ohchr.org/english/bodies/cat/docs/CAT.C.GC.2.CRP.1.Rev.4.en.pdf> [ბოლოს ნანახია 25.03.2016]

41 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 15, პუნქტი 43, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [ბოლოს ნანახია 25.03.2016].

საერთაშორისო სამართალი არ მოითხოვს დაკავებულის მიერ თავისი ოჯახის წევრების ან მესამე პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას პირადად (თუკი ამან შეიძლება დააბრკოლოს საქმის გამოძიება), არამედ შესაძლებელია ეს პოლიციელმა გააკეთოს.<sup>42</sup> მოცემული უფლების მიზანია, დაკავებული პირის ოჯახი (ან მესამე მხარე) დროულად იყოს ინფორმირებული დაკავების ფაქტისა და დაკავებული პირის ადგილსამყოფელის შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირის დაკავებიდან არა უგვიანეს 3 საათისა პროკურორმა ან მისი დავალებით გამოძიებელმა უნდა შეატყობინოს დაკავებული პირის ოჯახის წევრებს ან მესამე პირებს დაკავების შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია დაკავებული პირის უფლება, სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს.

პოლიცია, ჩვეულებრივ, დაახლოებით 2-3 საათში ბრალდებულს აძლევს ოჯახის წევრებთან ან ადვოკატთან დაკავშირების უფლებას. პოლიციის მიერ ოჯახის წევრების ან ადვოკატისთვის დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა განსხვავებულია. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომელი ბრალდებულს უფლებას აძლევს, ოჯახის წევრს მისი საკუთარი ტელეფონით (მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაამოწმებს, რომ პირი, რომელსაც ბრალდებული ურეკავს, ნამდვილად მისი ოჯახის წევრია) დაუკავშირდეს, ანდა პოლიციის თანამშრომელი თავად რეკავს ბრალდებულის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე და აცნობებს ოჯახს.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში, როგორც წესი, იზოლატორის მორიგე თანამშრომელი ატყობინებს გამოძიებელს და ის ურეკავს დაკავებულის ოჯახის წევრს და აწვდის ინფორმაციას, რაზეც დგება სატელეფონო შეტყობინების ოქმი, თუმცა, მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ ზუგდიდის რეგიონულ და ჩხორონწყუს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მორიგე თანამშრომლებმა არ იცოდნენ ამ ვალდებულების შესახებ. ზუგდიდის მორიგე თანამშრომლის განცხადებით, თუკი პირი 2-3 დღე იმყოფება იზოლატორში მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ატყობინებენ ოჯახს, ხოლო ჩხორონწყუს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელი აცხადებდა, რომ მათ ოჯახისათვის შეტყობინების ვალდებულება არ აქვთ.

სანგარიშო პერიოდში შსს ქობულეთის მთავარ სამმართველოში დაფიქსირდა რ.ტ.-თვის ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირების უფლების სავარაუდო შეზღუდვა. რ.ტ.-სათვის არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის გამოძიების მოთხოვნით სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ასევე წალენჯიხის რაიონული სამმართველოს ჯვრის პოლიციის განყოფილებაში, სადაც დაკავებული პირი დ.ფ. სავარაუდოდ დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, რაც მოიცავდა ოჯახის წევრებისათვის დაკავშირების უფლების

42 Monitoring Police Custody: A Practical Guide (Association for the Prevention of Torture, 2013) გვ. 127.

შეზღუდვასაც. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა ასევე წინადადებით მიმართა მთავარ პროკურატურას.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ პოლიციის განყოფილებებში, დაკავებულთათვის მინიჭებული დაცვის ფუნდამენტური გარანტიები, გამყარებული იქნება თუ თითოეული დაკავებულისთვის ცალ-ცალკე ინარმოება ერთიანი და ზედმინევენიტი ჩანანერი, რომელშიც აისახება მისი პატიმრობის ყველა ასპექტი და მათთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები (თავისუფლების აღკვეთის დრო და საფუძვლები, როდის განემართა უფლებები, თუ როდის დაუკავშირდა ოჯახს/საკონსულოს და ადვოკატს და როდის მოინახულეს მათ). გარდა ამისა, ადვოკატს უნდა ხელი მიუწვდებოდეს აღნიშნულ ჩანანერებზე.<sup>43</sup>

აღსანიშნავია, რომ არც პოლიციის სამმართველოში და არც დროებითი მოთავსების იზოლაციორებში არ წარმოებს რეესტრი, თუ რამდენმა პირმა მოითხოვა ოჯახის ინფორმირების უფლებით სარგებლობა, რამდენმა ისარგებლა, ვინ დაუკავშირდა დაკავებული პირის ახლობლებს, რა ინფორმაცია მიანოდა და ა.შ. რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მაშინაც კი როდესაც დაკავებული პირი ითხოვს, რომ მის ოჯახის წევრებს ეცნობოთ დაკავების შესახებ, ეს პოლიციის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული, რადგან ამ უფლებით სარგებლობის დოკუმენტირება არ ხდება რაიმე ერთიანი, სისტემატიზებული რეესტრის სახით, აქედან გამომდინარე ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაკავებული პირი ვერ სარგებლობს აღნიშნული უფლებით, რადგან მისი ოჯახის წევრები ან ახლობლები სატელეფონო კავშირით ხელმისაწვდომი არ იყვნენ, ძნელია დადგენა, პოლიციის თანამშრომლებმა რეალურად განახორციელეს ზარი და ვერ დაუკავშირდნენ დაკავებულის ახლობლებს თუ მათი მხრიდან თვითნებურად მოხდა პირისათვის ამ უფლების შეზღუდვა.

დროებით მოთავსების იზოლაციორებში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში აღრიცხვიანობის სისტემის გაუმჯობესება შესაბამისი რეესტრების დახვეწის გზით გათვალისწინებულია ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით,<sup>44</sup> შესაბამისად სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ რეესტრების დახვეწა უნდა მოიცავდეს ასევე დაკავებული პირის მხრიდან ოჯახისა თუ ადვოკატის ინფორმირების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირებასაც.

### 3.2.2. ადვოკატის ხელმისაწვდომობა

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის განმარტებით, ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება ვრცელდება არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი

43 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 7, პუნქტი 40, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [ბოლოს ნანახია 25.03.2016].

44 ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა, პარ. 1.2.8.



ბრალდებით დაკავებულ პირებზე, არამედ ნებისმიერ პირზე, რომელიც ვალდებულია პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდეს ან დარჩეს.<sup>45</sup>

წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი, 2015 წლის მარტში, საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღნიშნავს, რომ ზოგადად ადვოკატის ხელმისაწვდომობის მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა და დაკავების ადგილებში პირებს ეძლევათ ადვოკატთან კონფიდენციალურად გასაუბრების შესაძლებლობა.<sup>46</sup> თუმცა მიუთითებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დაკავებულის მხრიდან ადვოკატის ხელმისაწვდომობის თუ სხვა პროცესუალური უფლებით სარგებლობის მოთხოვნის გამო პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.<sup>47</sup>

პოლიციის განყოფილებაში ადვოკატის ყოფნა დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა, განსაკუთრებით დაკავების პირველ საათებში, რათა არასათანადო მოპყრობის დაფიქსირების შემთხვევაში, მან დაკავებულ პირს განუმარტოს საჩივრის წარდგენისა და უფლების დაცვის სხვა მექანიზმების შესახებ.<sup>48</sup> ადვოკატი უნდა ესწრებოდეს დაკავებულის მიმართ განხორციელებულ ყველა საგამოძიებო მოქმედებას. ეს ერთის მხრივ, საგრძნობლად შეამცირებს რისკს, რომ დაკავებული პირი დაექვემდებაროს არსათანადო მოპყრობას, ხოლო მეორეს მხრივ, მისი დასწრება დაკითხვისას თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებებზე პოლიციისთვისაც მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუკი პოლიციის წინააღმდეგ გაჟღერდება დაუსაბუთებელი ბრალდება არასათანადო მოპყრობის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაკავებულის და ადვოკატის შეხვედრა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გარეშე მიმდინარეობდეს, ისე, რომ მათ არ მიეცეთ საუბრის მიყურადების შესაძლებლობა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების მიხედვით დამცველთან შეხვედრა ხდება იზოლაციის საგამოძიებო ოთახში დამცველისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სურვილის მიხედვით. შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს სხვების დაუსწრებლად, შეხვედრის რაოდენობისა და დროის განუსაზღვრელად.<sup>49</sup>

სახალხო დამცველს აქამდეც აღუნიშნავს,<sup>50</sup> რომ ადვოკატის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაკავების მომენტიდან უმოკლეს ვადაში, რადგან დაშინების, ზენოლის, შეურაცხყოფისა და სხვა სახის არასათანადო

45 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 6, პუნქტი 37, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [ბოლოს ნანახია 25.03.2016]. გვ. 13, პარ. 41.

46 წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის საკითხებში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, 2015, პარ. 71, ხელმისაწვდომია გაეროს ოფიციალურ ვებზე შემდეგ მისამართზე: [http://ap.ohchr.org/documents/dpage\\_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3](http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3) [ბოლოს ნანახია 26.03.2016].

47 იქვე, პარ. 42.

48 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 13; პუნქტი 41, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [ბოლოს ნანახია 25.03.2016].

49 შსს მინისტრის 2010 წლის 01 თებერვლის N108 ბრძანება, დანართი #3, მუხ. 8(2).

50 სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში; გვ. 208; იხ. ბმული <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf> [ბოლოს ნანახია 26.03.2016].

მოპყრობის საფრთხე ყველაზე მაღალია სწორედ თავისუფლების აღკვეთის პირველ ეტაპზე, როდესაც პირი განსაკუთრებულად მონყვლადია.

მონიტორინგის ჯგუფმა შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორების შემონ-მებისას აღმოაჩინა, რომ თელავის დმი-ში დაკავებულ გ.მ.-მ სიღნაღის რაიონულ სამმართველოში მოითხოვა ადვოკატი და ოჯახის წევრებთან დაკავშირება, რა-საც პოლიციელთა მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, ხოლო მასთან ერთად და-კავებული ნ.ა. სავარაუდოდ დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას და მან ვერ ისარგებლა ადვოკატის ყოლის უფლებით. ჯგუფის მიერ თელავის დროები-თი მოთავსების იზოლატორში მონახულებულმა ხუთმა პირმა განაცხადა, რომ პოლიციაში ყოფნის დროს მათ არ მისცემიათ ექიმის და ადვოკატის მომსახურე-ბით სარგებლობის უფლება.

სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ გ.დ.-ს საქმეზე დადგინდა, რომ იგი ქ. თბილისში დაკავების მომენტიდანვე სავარაუდოდ დაექვემდებარა არასათანა-დო მოპყრობას, კერძოდ ცემას, შემდეგ იგი გადაიყვანეს ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში, მისთვის არ განუმარტავთ უფლებები, სამართალ-წარმოების პირველ ეტაპზე მან ვერ ისარგებლა ადვოკატის დახმარებით და იმყ-ოფებოდა დაუცველ მდგომარეობაში. აღნიშნულ საქმეზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთა-ვარ პროკურატურას.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება გარანტირე-ბულია, როგორც ადმინისტრაციულ<sup>51</sup> ისე სისხლის სამართლის<sup>52</sup> პროცესში, მონიტორინგის დროს გამოვლინდა ტენდენცია, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები თითქმის არასოდეს სარგებლობენ ადვოკატის დახმარე-ბით.

დაკავებული პირის მიერ ადვოკატის დახმარებაზე უარის თქმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ფინანსური სახსრებია. დაკავებულები ფიქრობენ, რომ ად-ვოკატის დაუყოვნებლივ აყვანა დამატებით დიდი ხარჯი იქნება მათი ოჯახები-სათვის და ხშირ შემთხვევაში ადვოკატის დახმარებით მხოლოდ სასამართლო პროცესზე სარგებლობენ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება არა თუ უზრუნველყოს დაკავებული პირი ადვოკატზე ხელმისაწვდომობით, არამედ თუკი პირის მიერ არჩეული ან სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი ვერ შეძლებს ეფექტიანი წარმომადგენლობის განხორციელებას, ჩაერიოს და უზრუნველყოს დაკავებუ-ლი პირის მიერ ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტიანი სარგე-ბლობა.<sup>53</sup>

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით პირისათვის უფასო იურიდიული დახმარების განევა ხდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალ-ისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე ამ კანონით დადგენილი წესით, თუ ბრალ-

51 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; მუხ. 255.

52 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; მუხ. 38(5).

53 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე გიუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (Güveç v. Turkey), N70337/01, პარ. 130-131.

დებული, მსჯავრდებული ან/და გამართლებული გადახდისუუნაროა.<sup>54</sup> ამავე კანონით იურიდიული დახმარების ადვოკატის დასანიშნად განსაზღვრულია მაქსიმუმ ორ დღიანი ვადა, თუკი პირი ან მისი ახლობელი ადვოკატის გამოყოფის თხოვნით მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს. იგივე ორ დღიანი ვადა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ბრალდებულის ფულის უქონლობის გამო, საგამოძიებო უწყება ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართავს.

იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების სწრაფი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით პირის დაკავების მომენტში, სამართლიანი სასამართლოს და კანონის უზენაესობის დაცვის მთავარი გარანტიაა. ადვოკატის ადრეულ ეტაპზე ჩართვა უზრუნველყოფს ამ უფლებების დაცვას და წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს. ადვოკატზე დროული ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ასევე გათვალისწინებულია ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით.<sup>55</sup>

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ არსებული რეგულაციების, კერძოდ ორ დღიანი ვადის, პირობებში ფაქტობრივად გამოირიცხება დაკავებული პირის მიერ დაკავების მომენტიდან უმოკლეს ვადაში ადვოკატის უფლებით სარგებლობა, თუკი მას საკუთარი სახსრებით არ შეუძლია დაიქირავოს დამცველი.

გარდა სახელმწიფოს ხარჯით დანიშნული ადვოკატისა, რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები დაკავებულ პირებს უწევენ პრო ბონო იურიდიულ დახმარებას, მაგრამ ძირითადად თბილისსა და დიდ ქალაქებში, შესაბამისად რეგიონებში ამ კუთხით პრობლემურია არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან უფასო იურიდიული დახმარების მიღება.

დამატებით, პრობლემურია დაკავებულის მიერ ადვოკატის მოთხოვნის ფაქტის დოკუმენტირება, როდესაც დაკავებული პირი ითხოვს ადვოკატთან დაკავშირებას, არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რომელიც საოქმო ჩანაწერის ან სხვა რეგისტრირებული დოკუმენტის სახით აღწერდა ნამდვილად დააკავშირეს პირი ადვოკატს, თუ პოლიციის მხრიდან თვითნებურად ეთქვა უარი ამ უფლებით სარგებლობაზე რაიმე გამოგონილი მოტივით. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ადვოკატის უფლებით სარგებლობის ყოველი მოთხოვნა იყოს დოკუმენტირებული და წარმოებდეს რაიმე სახის რეესტრი, რომელშიც ყოველი ასეთი მოთხოვნა და მასზე რეაგირება აღინიშნება.

### 3.2.3. ექიმის ხელმისაწვდომობა

პირს დაკავებისთანავე უნდა აღმოეჩინოს საჭირო სამედიცინო დახმარება, რაც გულისხმობს კვალიფიციური ექიმის მომსახურებას ყოველგვარი დაყოვნების

54 საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, მუხ. 21(1).

55 ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა, პარ. 1.2.1.

გარეშე. დამოუკიდებელი სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება განმტკიცებულია გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა<sup>56</sup> და ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ.<sup>57</sup> როდესაც პირი ითხოვს ექიმის მომსახურებას, პოლიციის მხრიდან არ უნდა მოხდეს ამ მოთხოვნის უგულვებელყოფა. დაკავებულ პირს უნდა მიეცეს საკუთარი სურვილით ექიმის არჩევის უფლება, დამატებით იმ სამედიცინო შემონმებისა, რომელიც მას პოლიციის დაწესებულებაში მისვლისას ჩაუტარდება.<sup>58</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მესამე მუხლი გულისხმობს დაკავებულის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას, მათ შორის ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოს დაკავებული ადეკვატური სამედიცინო დახმარებით.<sup>59</sup> მნიშვნელოვანია, რომ დაკავებულ პირს დაკავების მომენტიდანვე შეეძლოს სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა, რაც ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკს. ასევე, სამედიცინო შემონმებისას პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა აღინეროს დეტალურად და შემონმების შედეგები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს დაკავებული პირისა ან მისი ადვოკატისათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებული პირის მიყვანისთანავე ხდება მისი გარეგნული დათვალიერება, რომელიც ხორციელდება ცალკე ოთახში მხოლოდ იზოლატორის უფლებამოსილი პირის მიერ სხვა პირების თანდასწრების გარეშე. დათვალიერების დროს დაკავებულ პირს გამოკითხავენ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ასევე შეისწავლიან მის სხეულზე არსებულ გარეგან დაზიანებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუკი დაკავებული პირი უჩივის ჯანმრთელობას ან მას აღენიშნება აშკარა ავადმყოფობის ნიშნები, დაუყოვნებლივ მოხდება სამედიცინო ბრიგადის გამოძახება, რომელიც დაადგენს არის თუ არა შესაძლებელი პირის განთავსება საკანში. თუკი სამედიცინო პერსონალის დასკვნით, დაკავებული პირის იზოლატორში მოთავსება არ შეიძლება, მაშინ პირი დაუყოვნებლივ იგზავნება სამკურნალო დაწესებულებაში.<sup>60</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში სულ 241 პირი იქნა დაკავების შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანილი. 2015 წელს დაკავებულთა მხრიდან, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში (სამსახური) (ქ. გორი), ადგილი ჰქონდა სუიციდის ერთ მცდელობას, რაც იზოლა-

56 გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი კომენტარი N2, პარ.13, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: [http://www2.ohchr.org/english/bodies/cat/docs/CAT.C.GC.2.CRP.1.Rev.4\\_en.pdf](http://www2.ohchr.org/english/bodies/cat/docs/CAT.C.GC.2.CRP.1.Rev.4_en.pdf) [ბოლოს ნანახია 25.03.2016].

57 გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N20, პარ. 11 .

58 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 15; პუნქტი 42, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [ბოლოს ნანახია 25.03.2016].

59 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე კუდვა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudła v. Poland) N30210/96 (დიდი პალატა) პარ. 94; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საქმეზე კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kalashnikov v. Russia), N47095/99, პარ. 95.

60 შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანება, დანართი N3, მუხლი 3(1-3).

ტორის თანამშრომლების მხრიდან დროულად იქნა აღკვეთილი, ადგილზე გამოძახებულ იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, მაგრამ მისი სტაციონარში გადაყვანის საჭიროება არ დამდგარა.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული პირის შესახლებისას ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება. სასწრაფო დახმარების ექიმი დაკავებულ პირს უტარებს სამედიცინო შემოწმებას. სახალხო დამცველი მიესალმება ამ პრაქტიკას, ვინაიდან თვლის, რომ სასწრაფო დახმარების ექიმი არ ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავის საქმიანობაში მისგან დამოუკიდებელია. მიუხედავად აღნიშნულისა, მონიტორინგის ჯგუფის მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორების შემოწმებისას გამოიკვეთა შემდეგი არსებითი ხასიათის პრობლემები:

- რიგ შემთხვევებში (ძირითადად რეგიონებში) სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა აგვიანებს მოსვლას, ხოლო დაკავებული პირი არ შეჰყავთ იზოლატორში მანამ, სანამ ექიმი არ მოვა.
- ხშირ შემთხვევაში სასწრაფოს დახმარების ექიმები არასრულყოფილად აღწერენ დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას. მათი ჩანაწერები ხშირად არაინფორმაციულია და არ ასახავს რეალობას.
- დაკავებულის პირველადი სამედიცინო შემოწმება, როგორც წესი, ხდება დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა თანდასწრებით იმ მიზეზით, რომ სასწრაფოს ექიმს ეშინია დაკავებულთან მარტო დარჩენა. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ამ დროს დამკავებელი და პირის იზოლატორში წარმომდგენი პირი იქვე შორიახლოს იმყოფება, რაც ექიმთან გასაუბრებისას დაკავებული პირის გახსნილობაზე (დაზიანების წარმოშობის რეალური მიზეზის დასახელებაზე, პოლიციის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირებაზე) უარყოფით ზეგავლენას ახდენს.
- დაკავებულის სამედიცინო შემოწმების დოკუმენტირებისას არ არსებობს ერთიანი სტანდარტიზებული ფორმა, რომელიც დეტალურად აღწერს დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შესაბამისად ექიმების მხრიდან არ ხდება დაზიანებების სრული აღწერა.
- ხშირ შემთხვევაში, დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმისა და სასწრაფო დახმარების ექიმის ჩანაწერები არ ემთხვევა ერთმანეთს.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ყველა სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისა და სხვა არასამედიცინო პერსონალის მოსმენისა და ვიზუალური დაკვირვების გარეშე, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც ექიმი თავად ითხოვს გამონაკლისის დაშვებას, თუმცა ეს არ უნდა იქცეს მუდმივ პრაქტიკად და იმ შემთხვევაში როდესაც ექიმს ეშინია მარტო შესვლა დაკავებულთან, საჭიროა შემუშავდეს უსაფრთხოების სხვა ალტერნატიული ზომები, რადგან დაკავებული პირის დათვალიერებისას პოლიციის თანამშრომლის ადგილზე ყოფნა შესაძლოა მისი ჯანმრთელობის მდგომარე-

ობის, ისევე როგორც დაზიანების წარმოშობის არასრული დოკუმენტირების მიზეზი გახდეს.

ასევე სახალხო დამცველი ხაზს უსვამს დაზიანების დოკუმენტირებისას ყოვლისმომცველი და ერთიანი სტანდარტის გამოყენების მნიშვნელობას, რომელიც შესაბამისობაში იქნება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელოსთან (ე.წ. სტამბოლის პროტოკოლი).

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დახურულ დაწესებულებაში პირის სამედიცინო შემონმებისას შედგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- შემონმებული პირის მიერ მიწოდებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სამედიცინო შემონმებისთვის (მათ შორის, მის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებას)
- სამედიცინო გამოკვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნების სრულ აღწერას
- ექიმის დასკვნებს ზემოაღნიშნულ პუნქტებთან მიმართებით, რომელიც უნდა მიაწოდებდეს პირის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ობიექტურ სამედიცინო დასკვნებთან შესაბამისობის ხარისხზე.

მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და განუხილველი სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა არსებობდეს სპეციალური ფორმები, რომელიც საშუალებას იძლევა ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს ინფორმაცია დაზიანების შესახებ. ამასთან, სასურველია დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეთოდით.<sup>61</sup>

სასწრაფო დახმარების ბრიგადის ექიმების მიერ დაზიანებების დოკუმენტირებასთან დაკავშირებით შესწავლილ 740 საქმიდან, კვლევის შედეგად გამოვლინდა 264 შემთხვევა, როდესაც გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებულია დაზიანება, ხოლო სასწრაფო დახმარების ბრიგადის ექიმი დაზიანების შესახებ არ უთითებს; 67 შემთხვევა, როდესაც გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებულია დაზიანება, ხოლო ექიმი აცხადებს, რომ დაკავებულ პირს დაზიანება არ აღენიშნება; 3 შემთხვევაში ექიმი აღწერს დაზიანებას, ხოლო გარეგნული დათვალიერების ოქმში აღნიშნულია, რომ დაკავებულ პირს დაზიანება არ აღენიშნება; 91 შემთხვევაში გარეგნული დათვალიერების ოქმში და ექიმის ჩანაწერებში დაზიანების ლოკალიზაცია არ ემთხვევა.

კვლევამ აჩვენა, რომ იმ შემთხვევებიდან, სადაც ექიმი არ უთითებს დაზიანების შესახებ 21 შემთხვევაში, გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, დაკავებულ პირს დაზიანება აღენიშნებოდა თავის არეში, 123 შემთხვევაში - სახის არეში, ხოლო 59 შემთხვევაში თვალბუდის არეში (ცალ-ცალკე და ერთად). თუნდაც

61 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74.

დაკავებულს ტანზე არ გაეხადა, რაც სრულყოფილი შემონმების აუცილებელი კომპონენტია, ექიმს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღმოეჩინა დაზიანებები თავის, სახისა და თვალბუდის არეში. იმ შემთხვევებიდან, სადაც ექიმი აღნიშნავს, რომ დაკავებულ პირს დაზიანება არ აღენიშნება, გარეგნული დათვალეერების ოქმის თანახმად, 5 შემთხვევაში დაკავებულ პირს დაზიანება აღენიშნება თავის არეში, 25 შემთხვევაში - სახის არეში, 22 შემთხვევაში - თვალბუდის არეში.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია შემთხვევები დროებითი მოთავსების იზოლაციორების მიხედვით, როდესაც სასწრაფო დახმარების ექიმი საერთოდ არ უთითებს დაზიანებების არსებობა-არარსებობის შესახებ (არ არის ჩანანერი), მაშინ როცა გარეგნული დათვალეერების ოქმში მითითებულია დაზიანება და მეორე შემთხვევაში, როდესაც გარეგნული დათვალეერების ოქმში აღწერილია დაზიანება, თუმცა სასწრაფო დახმარების ექიმი უთითებს, რომ დაკავებულს დაზიანება რომ არ აღენიშნება.

იზოლაციორი	არ არის ჩანანერი	არ აღენიშნება
საგარეჯოს დმი	4	1
წალკის დმი	2	2
მარნეული დმი	52	0
ქუთაისის დმი	22	9
ჭიათურის დმი	4	1
ზესტაფონის დმი	6	2
სამტრედიის დმი	4	0
ბათუმის დმი	34	9
ქობულეთის დმი	7	2
ოზურგეთის დმი	3	1
ჩოხატაურის დმი	9	0
ზუგდიდის დმი	15	3
ზუგდიდის რეგიონალური დმი	4	4
სენაკის დმი	3	1
ხობის დმი	1	1
ფოთის დმი	0	3
ჩხორონწყუს დმი	2	2
გორის დმი	45	6
ხაშურის დმი	13	9

ბორჯომის დმი	7	6
ახალქალაქის დმი	1	0
ახალციხის დმი	11	1
ყვარლის დმი	7	1
სიღნაღის დმი	2	2
თელავის დმი	6	1
<b>სულ</b>	<b>264</b>	<b>67</b>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სახალხო დამცველის 2015 წლის რეკომენდაციების<sup>62</sup> საპასუხოდ, დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთათვის დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2015 წლის ოქტომბერში, შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტში შეიქმნა სამედიცინო მომსახურების სამსახური, სადაც ჯამში დასაქმდება 27 ექიმი, რომლებიც მოვალეობას შეასრულებენ დეპარტამენტის ყველაზე დატვირთულ 8 იზოლატორში. (6 რეგიონული და 2 თბილისის).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მუშაობს რამდენიმე სპეციალური ჯგუფი:

- სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს დაწესებულებაში მიღებისას პიროვნების სამედიცინო პერსონალის მხრიდან დათვალიერების ფორმის შემუშავებაზე;
- სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ორი სამართლებრივი აქტის პროექტზე: (1) ერთი ეხება შიმშილობის მართვას დროებითი მოთავსების იზოლატორებში და (2) მეორე, იზოლატორში პირის არსებული ჯანმრთელობის ამსახველი დოკუმენტების ასლების, მისი გადაყვანის შემთხვევაში, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულებისათვის გადაცემის ვალდებულებას;
- სამუშაო ჯგუფი, რომელიც ადგილობრივი ექსპერტის ჩართულობით მუშაობს იზოლატორების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ინსტრუქციების შემუშავებაზე;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე გეგმავს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარებას შემდეგ თემებზე: სტამბულის პროტოკოლის მიხედვით დაზიანებების დოკუმენტირება, დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჯანსაღი გარემოს შექმნა და დაავადებათა პრევენცია, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე.<sup>63</sup>

62 სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში; გვ. 218, იხ. ბმული <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf> [ბოლოს ნანახია 26.03.2016].

63 შსს სამინისტროს წერილი 15.01.2016.



აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის ადრინდელი რეკომენდაციების მიზანი იყო დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების განწევა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექიმის მიერ, რაც დაკავებულ პირს მისცემდა საშუალებას ექიმისათვის ღიად და შიშის გარეშე დაეფიქსირებინა ყველა დაზიანება ან ჩივილი, რაც მას დაკავების ან მის შემდეგ პერიოდში შეიძლება ჰქონოდა. აქედან გამომდინარე, იზოლატორებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დასაქმებული ექიმების ყოფნა ამ მიზნის მიღწევას ეჭვის ქვეშ აყენებს, რადგან სამედიცინო მომსახურების განწევისას იზოლატორში მყოფი ყველა პირი (როგორც იზოლატორის თანამშრომლები, ასევე ექიმიც) შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება, რამაც დაკავებულ პირში შესაძლოა გამოიწვიოს შიშისა და უიმედობის განცდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არაჯეროვნად იქნება აღწერილი და პოლიციის მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტი რეაგირების გარეშე დარჩება.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ იზოლატორებში შსს-ს სამედიცინო პერსონალის განთავსება ერთის მხრივ უზრუნველყოფს სწრაფ და დროულ სამედიცინო მომსახურების განწევას, მაგრამ მეორეს მხრივ ამ პერსონალის მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის ხარისხი საეჭვოა, რამაც შესაძლოა სამომავლოდ დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირებას ხელი შეუშალოს. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაკუთრებული შესწავლის საგანი მომავალში სწორედ შსს-ს სამედიცინო პერსონალის საქმიანობა და მათი დამოუკიდებლობის ხარისხის განსაზღვრა იქნება.

## რეკომენდაციები

### საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- შეწყდეს მოქალაქეებთან ე.წ. „გასაუბრების“ პრაქტიკა, როდესაც რეალურად პოლიციელები პირს თავისუფლებას უზღუდავენ
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა დაკავებულ თუ სხვაგვარად თავისუფლება აღკვეთილ პირს დაყოვნების გარეშე განემარტოს მისი საპროცესო უფლებები
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა იზოლატორში მიყვანილ ყველა პირს მკაფიოდ და მისთვის გასაგებად განემარტოს არა მხოლოდ პროცესუალური უფლებები, არამედ ყველა ის უფლება და მოვალეობა, რაც მას უშუალოდ იზოლატორში ყოფნისას აქვს
- ყველა დაკავებულს გადაეცეს, ან მისთვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი გახდეს, უფლება-მოვალეობების ჩამონათვალის ასლი საკანში გასაცნობად

- განხორციელდეს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატი-სათვის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ყველა შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნას დაკავებულ პირთათვის დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება
- ყოველი სამედიცინო შემთხვევისას მოხდეს დაკავებული პირის სხეულზე არსებული ყველა დაზიანების სრულყოფილი აღწერა და დოკუმენტირება სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო პერსონალის მუდმივად განთავსების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს ექიმთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

## წინადადება საქართველოს პარლამენტს

- დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა იმგვარად, რომ შემცირდეს დაკავებული პირებისათვის უფასო იურიდიული დახმარების მიღების მაქსიმალური ორ დღიანი ვადა, რათა ისინი სამართალწარმოების პირველივე ეტაპიდან უზრუნველყოფილი იყვნენ ადვოკატის მომსახურებით.

## 4. პროსედურული გარანტიები

### 4.1. აუდიო-ვიდეო ჩანაწერები

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ პოლიციის განყოფილებებში, დაკავებულთათვის მინიჭებული დაცვის ფუნდამენტური გარანტიები, გამყარებული იქნება თუ თითოეული დაკავებულისთვის ცალ-ცალკე ინარმოება ერთიანი და ზედმინევენიტი ვიდეო ჩანაწერი, რომელშიც აისახება მისი პატიმრობის ყველა ასპექტი და მათთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები.<sup>64</sup>

პოლიციის შესახებ კანონის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პოლიცია უფლებამოსილია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, ფორმის ტანსაცმელზე, გზასა და შენობების გარე პერიმეტრზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამონტაჟოს/განათავსოს, აგრეთვე გამოიყენოს სხვის მფლობელობაში არსებული დამონტაჟებული ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკა დანაშაულის პრევენციის, აგრეთვე პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნებისათვის.

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, პირის, ნივთის ან სატრანსპორტო საშუალების სპეციალური საპოლიციო კონტროლი ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ჩადენილია ან ჩადენილი იქნება დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა. სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელებისას პოლიციელი აღჭურვილი უნდა იყოს ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული ჩართული ვიდეოგადამღები ტექნიკით.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად სამხრე ვიდეოკამერებით აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ხორციელდება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ. ჩანაწერების შენახვის ვადა მოწესრიგებულია შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის N53 ბრძანებით, რომლის მიხედვითაც ჩანაწერის შენახვის ვადა დამოკიდებულია ტექნიკური საშუალებების მახასიათებლებზე, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს.<sup>65</sup> აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელს ვიდეოჩანაწერის გაკეთების უფლება აქვს, მაგრამ არა ვალდებულია.<sup>66</sup>

მნიშვნელოვანია, რომ სამხრე ვიდეოკამერებით და მანქანის ვიდეო რეგისტრატორებით აღიჭურვონ არა მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, არამედ დეტექტივ-გამომძიებლები და უზნის ინსპექტორ-გა-

64 იხ. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები (CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2015), პარ. 36, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/en/docsstandards.htm> [ბოლოს ნანახია 29.03.2016].

65 შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 21 იანვრის N153298 წერილი.

66 აღნიშნული საკითხი განხილულია საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის „სამართლიანი სასამართლოს“ თავში, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3512.pdf> [ბოლოს ნანახია 06.04.2016].

მომძიებლებიც. სახალხო დამცველმა 2015 წელს 11 წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რათა გამოძიება დაწყებულიყო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დაკავებული პირების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. უმეტეს შემთხვევაში დაკავებული პირები მიუთითებენ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკურ და სიტყვიერ ზეწოლაზე დაკავების მომენტიდან, ასევე მიუთითებდნენ პოლიციის ავტომანქანაში განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე. აღნიშნულის მაგალითია გ.ძ.-ს საქმე, სადაც ბრალდებული მიუთითებს, რომ მისთვის დაკავების დროს არ განუმარტავთ უფლებები, პირდაპირ დაუწყეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, რაც პოლიციის ავტომანქანაშიც გაგრძელდა. პოლიციის ავტომანქანაში ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე საუბრობს ასევე ბრალდებული ო.რ.

აღსანიშნავია პოლიციის მიერ სამხრე კამერების გამოყენებასთან დაკავშირებით 2012 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული ორი ექსპერიმენტი, ერთი კალიფორნიის შტატის ქალაქ რიალტოში<sup>67</sup> და მეორე არიზონას შტატის ქალაქ მესაში.<sup>68</sup> აღნიშნულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ სამხრე კამერების გამოყენება ხელს უწყობს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების, ასევე დაკავებული პირების მხრიდან წინააღმდეგობის განხილვის შემცირებას.

რიალტოში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა შემდეგი:

- ხალხი უფრო მეტად ემორჩილებოდა სოციალურ ნორმებს და უკეთესად იქცეოდნენ მას შემდეგ, რაც იგებდნენ რომ მათი ქმედებები იწერება. კამერის დაკვირვების პირობებში, ისინი უფრო მეტად რწმუნდებოდნენ რომ მათი მხრიდან ნებისმიერი მიუღებელი საქციელი აღიბეჭდებოდა ფირზე;
- კამერის „ნეიტრალური მესამე თვალის“ მიერ გამოწვეული „თვითგაცნობიერების“ ეფექტი გავლენას ახდენს პოლიციელთა და სავარაუდო დამრღვევთა ფსიქოლოგიაზე და აიძულებს მათ, რომ არ გაუწიონ წინააღმდეგობა პოლიციას (დამრღვევების შემთხვევაში) და არ გამოიყენონ გადამეტებული და არასაჭირო ძალა (პოლიციის შემთხვევაში);
- კამერის მიერ ყველაფრის დაფიქსირება ამცირებს პოლიციის მიერ არასათანადო ქცევის რისკს, რადგან პოლიციელმა იცის, რომ მისი მოქალაქესთან ნებისმიერი სახის ინტერაქცია ჩაინერება და შეუმჩნეველი არ დარჩება;
- ექსპერიმენტის დროს შემცირდა როგორც პოლიციის მიერ ძალის გამოყენების მაჩვენებელი, ასევე მოქალაქეების მხრიდან წარდგენილი საჩივრების რაოდენობაც;
- ვიდეორჩანაწერები განიხილება მნიშვნელოვან მტკიცებულებად თუკი საქმის განხილვა სასამართლოში გაგრძელდება.

67 კვლევის შედეგები იხილეთ შემდეგ მისამართზე: <https://www.policeone.com/use-of-force/articles/8218374-7-findings-from-first-ever-study-on-body-cameras/> [ბოლოს ნანახია 23.03.2016].

68 კვლევის შედეგები იხილეთ შემდეგ მისამართზე: <http://journalistsresource.org/studies/government/criminal-justice/body-cameras-police-interact-with-public> [ბოლოს ნანახია 23.03.2016].

მესაში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა შემდეგი:

- პოლიციელები, რომლებიც არ ატარებდნენ სამხრე კამერებს, 9.8%-ით მეტ „ადგილზე დაკითხვას“ აწარმოებდნენ და 6.9%-ით მეტ დაკავებას ახორციელებდნენ, ვიდრე ის პოლიციელები, რომელთაც კამერები ქონდათ სხეულზე დამაგრებული;
- პოლიციელები, რომლებიც ატარებდნენ სამხრე კამერას 23.1%-ით უფრო მეტად იყენებდნენ სასამართლოში გამოცხადების სანქციას ვიდრე ის პოლიციელები, რომლებიც არ ატარებდნენ კამერას;
- პოლიციელები, რომლებიც ატარებდნენ სამხრე კამერას 13.5%-ით უფრო მეტად ცდილობდნენ ხალხთან ინტერაქციას, ვიდრე კამერის გარეშე მოძრავი პოლიციელები.

2015 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა პოლიციის სამმართველოების უმეტესობაში შიდა პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის არარსებობა. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,<sup>69</sup> შიდა პერიმეტრზე ვიდეო-მეთვალყურეობა არ არის გლდანი-ნაძალადევის მე-8 განყოფილებაში, მცხეთის რაიონულ და თიანეთის რაიონულ სამმართველოებში, ვაზიანის, თელეთისა და გომბორის პოლიციის განყოფილებებში, შულავერის, ალგეთის, კაჩაგანისა და სადახლოს პოლიციის განყოფილებებში, თამარისის განყოფილებაში, წალკის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, სუფსის განყოფილებასა და ლანჩხუთის სამმართველოში. აღსანიშნავია, რომ კახეთის და თეთრიწყაროს რაიონის პოლიციის არცერთ განყოფილებასა და სამმართველოში არ არის შიდა პერიმეტრზე ვიდეოკამერები. ამასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების გარდა არცერთ სამმართველოსა და განყოფილებაში არ მიმდინარეობს შიდა პერიმეტრის ვიდეო-მეთვალყურეობა.

მას შემდეგ, რაც დაკავებულ პირს შეიყვანენ შენობაში, შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ სად და რა პირობებში იმყოფება ეს პირი პოლიციის სამმართველოში და ხომ არ დაექვემდებარა ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას. აუცილებელია პოლიციის სამმართველოების შენობების სათვალთვალ კამერებით აღჭურვა და ვიდეოჩანანერის შენახვა გონივრული ვადით, რაც დაკავებული პირის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის დამატებით გარანტიას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს სახალხო დამცველის მიერ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დაკავებული პირების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გაცემული 11 რეკომენდაციიდან 10 ეხებოდა დაკავებული პირის მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტებს, რომელიც განხორციელდა პოლიციის სამმართველოებში. აქვე, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მოცემულ საქმეებში მითითებული სამმართველოების უმეტესობაში, კერძოდ, გლდანი-ნაძალადევის N8 განყოფილებაში, ზესტაფონის, ბაღდათის, წალენჯიხის, ქობულეთის რაიონულ სამმართველოებში, ასევე, ქუთაისის პოლიციის მე-4 განყოფილებაში, არ ხორციელდება ვიდეო-მეთვალყურეობა.

69 შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2016 წლის 4 მარტის N555482 წერილი.

ვიდეორჩანაწერი შესაძლოა იყოს უფლების დაცვის საკმაოდ ეფექტიანი გარანტია როგორც დაკავებული პირისათვის, ასევე პოლიციისთვის. როგორც წესი ვიდეორჩანაწერი კეთდება პოლიციის დაწესებულებებში არსებული ზოგადი მდგომარეობის დაკვირვების, ასევე დაკავებულის დაკითხვის მიზნით. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი კომენტარის მიხედვით პრევენციის ახალი მეთოდები, მაგ. როგორიცაა ყველა დაკითხვის ვიდეოგადაღება, გამოცდილია და მისი ეფექტიანობა დადგენილია.<sup>70</sup> აუდიო-ვიდეო ჩანერის მნიშვნელობის თვალსაზრისით საინტერესოა ვ.ბ.-ს საქმე.

2015 წლის 3 აგვისტოს ბრალდებული ვ.ბ. წაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონის მთავარ სამმართველოში შემოწმების მიზნით. ბრალდებულის გადმოცემით, შსს ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში მისვლისთანავე აიყვანეს მეოთხე სართულზე სამმართველოს უფროსის ოთახში, სადაც მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ვ.ბ.-ს თქმით, აღნიშნულის შემდეგ გადაიყვანეს ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე პოლიციის განყოფილებაში, სადაც ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომლის სახელი და გვარი არ იცის, თუმცა ამოცნობა შეუძლია მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ასევე, ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას - ემუქრებოდა ლიკვიდაციით, ცოლის და დის გაუპატიურებით, ხოლო შემდეგ სხვა პოლიციის თანამშრომლებთან ერთად მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა 2015 წლის 5 აგვისტოს N15-8/6351 რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2015 წლის 17 აგვისტოს პროკურატურიდან მიღებული N13/52215 პასუხის თანახმად, ბრალდებულ ვ.ბ.-ს სისხლის სამართლის საქმეს დართული იყო პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში ყოფნისას გადაღებული ვიდეომასალა, სადაც ბრალდებული სამართლდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ემუქრებოდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი მათ არ უცემიათ, აუცილებლად უჩივლებდა და განაცხადებდა, რომ პოლიციელებმა სცემეს.

2014 წელს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა პოლიციის ყველა სამმართველო აღჭურვილი ყოფილიყო შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებით. შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2016 წლის 4 მარტს მიღებული N555482 წერილის თანახმად, 2014 -2015 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის შეძენილი იქნა ვიდეოკამერები, რომელთა მონტაჟი დაგეგმილია 2016 წელს.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია, პირის დაკავებიდან იმ მომენტამდე, სანამ იგი იმყოფება პოლიციის კონტროლის ქვეშ, ყველა შემთხვევაში მოხდეს სრული პროცესის ვედეო-ჩანერა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი მოთავსების იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის მე-9<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად,

<sup>70</sup> გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი კომენტარი N2, პარ.14, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: [http://www2.ohchr.org/english/bodies/cat/docs/CAT.C.GC.2.CRP.1.Rev.4\\_en.pdf](http://www2.ohchr.org/english/bodies/cat/docs/CAT.C.GC.2.CRP.1.Rev.4_en.pdf) [ბოლოს ნანახია 25.03.2016].

იზოლატორებში ვიდეო მეთვალყურეობის წარმოება დასაშვებია იზოლატორში მოთავსებული პირების და იზოლატორის პერსონალის უსაფრთხოების, დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის აღკვეთის, იზოლატორებში სამართალდარღვევების პრევენციის, აგრეთვე იზოლატორების მუშაობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით. ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელება დასაშვებია იზოლატორის დერეფნებში, ხოლო საკნებში ვიდეოგადაღება ნებადართულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული იზოლატორში მოთავსებული პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დროებითი მოთავსების იზოლატორებში, გარდა ფოთის და მესტიის დროებითი მოთავსების იზოლატორებისა, ვიდეო-მეთვალყურეობა ხორციელდება ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში. მონოდებული ინფორმაციის თანახმად, ვიდეოკამერები განთავსებულია იზოლატორების მთელ პერიმეტრსა და კორიდორებში, წინასწარი დაკავების საკნების, საგამოძიებო ოთახების და სანიტარული კვანძების გარდა. არცერთი იზოლატორის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ხორციელდება ვიდეოკამერებით მეთვალყურეობა.

დროებითი მოთავსების იზოლატორების ვიდეო-მეთვალყურეობა ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების მიერ, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ოთახიდან, სიგნალის პირდაპირი ტრანსლირების რეჟიმში და ვიდეო-ჩანაწერების შენახვა არ ხორციელდება.<sup>71</sup> დაკავებული პირის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდეს მიმდინარე ვიდეო მეთვალყურების ჩანწერა და ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა. საქმეების შემთხვევაში, ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის.

## რეკომენდაციები შინაგან საქმეთა მინისტრს

- პოლიციის ყველა სამმართველოს შენობაში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დამონტაჟდეს სათვალთვალ კამერები
- უზრუნველყოს ყველა შემთხვევაში პოლიციის მიერ პირის დაკავებიდან მისი დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე, მათ შორის დაკავების, უფლებების გაცნობის, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ტრანსპორტირების პროცესის უწყვეტი ვიდეო-გადაღება.
- განისაზღვროს საპატრულო პოლიციელის მიერ მოქალაქესთან კომუნიკაციის დამყარების დროს სამხრე ვიდეოკამერის გამოყენებით შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება და განხორციელებული ჩანაწერების შენახვის წესი და ვადები.

71 შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული 2016 წლის 21 იანვრის N153298 პასუხი.

- განისაზღვროს დეტექტივ-გამომძიებლების და უზნის ინსპექტორ-გამომძიებლების მიერ მოქალაქესთან კომუნიკაციის დამყარების დროს სამხრე ვიდეოკამერის გამოყენებით შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება და განხორციელებული ჩანაწერების შენახვის წესი და ვადები.
- უზრუნველყოფილი იქნას დროებითი მოთავსების იზოლატორებში მიმდინარე ვიდეო მეთვალყურეობის ჩანერა და ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა
- უზრუნველყოფილი იქნას ყველა ვიდეო-ჩანაწერის გონივრული ვადით შენახვა.

## 4.2. დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოება

2015 წლის მანძილზე განხორციელებული ვიზიტების დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთა საქმეები, პოლიციის სამმართველოებსა და განყოფილებებში არსებული ჟურნალები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები და ხარვეზები, რომლის გამოსწორებაც აუცილებელია დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოებისთვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანების თანახმად<sup>72</sup>, იზოლატორის სრულფასოვანი გამართული მუშაობისათვის წარმოებს სარეგისტრაციო-საიდენტიფიკაციო და სხვადასხვა დანიშნულების ჟურნალები, ელექტრონული სისტემები და დოკუმენტაციები, კერძოდ, ა) იზოლატორში მოთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზა; ბ) იზოლატორში მოთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნი; გ) იზოლატორში მოთავსებულ პირთა სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ჟურნალი; დ) შემოსული და გასული კორესპონდენციების ჟურნალები; ე) ამანათების მიღება-გადაცემის ჟურნალი; ვ) დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმი; ზ) ბადრაგირებას დაქვემდებარებულ პატიმართა სია; თ) საგუშაგო ფურცელი; ი) პირადი დათვალიერების ოქმი. კ) საარქივო ბარათი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 აგვისტოს, N605 ბრძანების, N6 დანართით დამტკიცებულია შინაგან საქმეთა ორგანოებში „დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნის“ ფორმა, ხოლო ამავე ბრძანების N7 დანართით „საპურობილეში (დროებითი მოთავსების იზოლატორში) გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალი“.

<sup>72</sup> დანართი 3 - დროებითი მოთავსების იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქცია, მუხ. 5.



საყურადღებოა, რომ მოცემული ჟურნალების შემონმების პროცესში, პოლიციის სამმართველოებისა და განყოფილებების თანამშრომლები სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ეკითხებოდნენ, თუ როგორ უნდა შეეცნოთ კონკრეტული გრაფები. აღმოჩნდა, რომ შსს ორგანოების თანამშრომლები ჟურნალებს სხვადასხვაგვარად ავსებენ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შსს ორგანოების პოლიციის სამმართველოებისა და განყოფილებების ჟურნალების შევსებაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ინსტრუქტაჟი „დაკავებულ პირთა აღრიცხვისა“ და „საპყრობილეში (დროებითი მოთავსების იზოლატორში) გადაყვანილ პირთა“ აღრიცხვის ჟურნალების სრულყოფილი წარმოების უზრუნველსაყოფად.

წლის მანძილზე განხორციელებული მონიტორინგების დროს დადგინდა, რომ აღნიშნული ჟურნალები, ხშირ შემთხვევაში, არასრულყოფილად და არასწორად იყო შევსებული. კერძოდ, რიგ შემთხვევებში ვერ დგინდება, რა დროს იქნა პირი დაკავებული პოლიციის თანამშრომლის მიერ, გაურკვეველია დაკავებულის სამმართველოში შეყვანის თარიღი/დრო, ასევე შემდგომში რა ბედი ეწია დაკავებულს; არეულია ჟურნალებში არსებული ნუმერაცია, არ არის მითითებული, სად და რა ვითარებაში მოხდა სამართალდარღვევა, ზოგ შემთხვევებში კი, გრაფები ჟურნალებში საერთოდ არ არის შევსებული. ჟურნალების შევსების ხარვეზები დაფიქსირდა მარნეულის, ნალენჯიხის, ხობის, ზესტაფონის, ტყიბულის, ქუთაისის, ბათუმის, ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, გორის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, თერჯოლის, ამბროლაურის, ლანჩხუთის, ონის, შუახევის, ქედის, წყალტუბოს, ხაშურის, ასპინძის, თელავის, სიღნაღის, ხელვაჩაურის, ქარელის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ნალკის, ბაღდათის, ყვარლის, სამტრედიის, ჭიათურის, საჩხერის, ლენტეხის, ვანის, ოზურგეთის, ქობულეთის, ზუგდიდის, სენაკის, ნინოწმინდის, ფოთის, მესტიის, ხულოს, ჩოხატაურის რაიონულ სამმართველოებისა და ბაკურიანის, ბარაღეთისა და ვალეს პოლიციის განყოფილებაში წარმოებულ ჟურნალებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული ვიზიტების დროს, დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა პოლიციის განყოფილებებსა და სამმართველოებში არ წარმოებს შესულ პირთა აღრიცხვის სპეციალური ჟურნალები. ასე, მაგალითად მოწმის სახით პირის პოლიციის სამმართველოში/განყოფილებაში გამოცხადების შემთხვევაში არ ხდება მისი შენობაში შესვლის ფაქტის დაფიქსირება ერთიანი ფორმის ჟურნალში. მნიშვნელოვანია, რომ დეტალურად აღირიცხებოდეს პოლიციის განყოფილებასა და სამმართველოებში შესულ მოქალაქეთა შესვლის თარიღი (დროის მითითებით), მისვლის მიზანი და შენობის დატოვების თარიღი და დრო.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია სისხლის სამართლის წესით და ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა დაკავების ოქმის ფორმები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, ამ კოდექსში მითითებულ რომელ საფუძველზეა დაკავებული, დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ბრალდებული, მისი პოლიციის დანესებულებაში ან სხვა სამარ-

თალდამცავ ორგანოში მიყვანის ზუსტი დრო, ამ კოდექსით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა, აგრეთვე შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამოც შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე.

აღსანიშნავია, რომ წლის მანძილზე განხორციელებული ვიზიტების დროს შემონმდა, რამდენად სრულყოფილად ხდება სამართალდამცავი პირების მიერ ოქმების შევსება და დადგინდა, რომ ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, ხშირ შემთხვევაში, არ ივსება სრულყოფილად. კერძოდ, სრულყოფილად არ მიეთითება, თუ რა ვითარებაში მოხდა პირის დაკავება, ჰქონდა თუ არა ადგილი წინააღმდეგობის განევას, იქნა თუ არა გამოყენებული იძულების პროპორციული ზომა და რა ფორმით, განხორციელდა თუ არა დაკავება მშვიდ ვითარებაში, წინააღმდეგობის განვეის გარეშე.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი 740 შემთხვევის თვისებრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულ პირთა მხრიდან დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის განვეის 227 (30,7%) შემთხვევა გამოვლინდა, ხოლო ასეთის შესახებ მითითებას არ შეიცავს შესწავლილი 513 (69,3 %) ოქმი. ასევე გაირკვა, რომ დაუმორჩილებლობის/წინააღმდეგობის განვეის შესახებ დაკავების ოქმში მითითების 227 შემთხვევიდან 3 შემთხვევაში (1,3 %) არის სრული აღწერა, თუ რაში გამოიხატა დაუმორჩილებლობა/წინააღმდეგობის განვეა, 4 შემთხვევაში ოქმი შეიცავს ნაწილობრივ აღწერას (1,8 %), შემთხვევათა 96,9 %-ში პოლიციის თანამშრომლები ასეთ აღწერას არ ახდენენ.

740 შემთხვევიდან ძალის გამოყენების ფაქტის შესახებ მითითებულია მხოლოდ 46 შემთხვევაში (6,2 %), 27 შემთხვევაში (3,6 %) აღნიშნულია, რომ ძალის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო 667 შემთხვევაში (90,2 %) ძალის გამოყენების შესახებ დაკავების ოქმში მითითება არ არის. ძალის გამოყენების შესახებ მითითების 46 შემთხვევიდან, დაკავების ოქმში ძალის გამოყენების მეთოდი სრულად აღწერილია მხოლოდ 2 შემთხვევაში (4,3 %), 3 შემთხვევაში (6,5 %) ოქმი შეიცავს ნაწილობრივ აღწერას, ხოლო 41 შემთხვევაში (89,2 %) ოქმში არაფერია ნათქვამი ძალის გამოყენების მეთოდის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების შესახებ შედგება ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომელშიც აღინიშნება ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი; ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; ცნობები დაკავებულის პიროვნების შესახებ; დაკავების დრო და საფუძველი. ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში მიეთითება.

პირის დაკავების შემდეგ, მისი ფიზიკური დათვალეირების დროს, ძალადობის ნებისმიერი კვალი, რომელიც შესაძლებელია გამოენვია ნამებას ან არასათანადო მოპყრობას, აუცილებლად უნდა იქნას შესაბამისი წესით აღწერილი და დოკუმენტირებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც პირი სხეულის დაზიანებას იღებს დაკავებისას ან პოლიციის თანამშრომლების კონტროლს ქვეშ ყოფნის პერიოდში, ყოველი ასეთი დაზიანება

წარმოშობს მყარ პრეზუმფციას, რომ დაკავებული დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.<sup>73</sup>

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, როდესაც ხდება პირის დაკავება, რომელსაც დაკავებამდე დაზიანებები არ აღენიშნებოდა, ხოლო შემდეგ მას აღენიშნება დაზიანებები, სახელმწიფოს ვალდებულებაა წარმოადგინოს ჯეროვანი ახსნა-განმარტება, თუ რამ გამოიწვია ეს დაზიანებები, წარმოადგინოს მტკიცებულებები, როგორ მოხდა ამ დაზიანებების მიღება, რაც გააქარწყლებს დაზარალებულის ჩვენებას. აღნიშნული განმარტების სახელმწიფოს მიერ წარმოუდგენლობა იწვევს კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას.<sup>74</sup>

2015 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მთავარ პროკურატურაში გაგზავნილი წინადადების თანახმად,<sup>75</sup> განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ პოლიციის სამმართველოში შეყვანის დროს, როგორც შესაბამის დოკუმენტებშია აღნიშნული, გ.კ.-ს, რ.ტ.-ს და გ.გ.-ს სხეულზე რაიმე დაზიანების კვალი არ აღენიშნებოდათ, ხოლო დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანისას, ბრალდებულებს გარეგნულად მრავლობითი დაზიანებები გააჩნდათ. პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებულთა მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტს მეტ დამაჯერებლობას სძენს ის გარემოება, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ შედგენილ არც ერთ შესაბამის დოკუმენტში არ ფიქსირდება გ.კ.-ს და გ. გ.-ს მიერ ფიზიკური წინააღმდეგობის განხორციელების ფაქტი, მაშინ როდესაც ორივე დაკავებულს სხეულზე არაერთი მნიშვნელოვანი ხასიათის დაზიანება აღენიშნებოდათ.

დაკავების ოქმში, შსს დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნში და გარეგნული დათვალიერების ოქმში დაზიანებების თანხვედრის შესახებ ინფორმაცია იხილეთ, ქვემოთ, ცხრილში.

დაზიანება	რაოდენობა	ხვედრითი წილი
მითითებულია დაკავების ოქმში, დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნში და გარეგნული დათვალიერების ოქმში	134	18,9%
მხოლოდ დაკავების ოქმში	11	1,6%
შსს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნებსა და დაკავების ოქმში	2	0,3%
მხოლოდ შსს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნებში	0	0

73 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე კოლიბაბა მოლდავეთის წინააღმდეგ (Colibaba v. Moldova), საქმე N29089/06.

74 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე გოჰან ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ, (Gokhan Yildirim v. Turkey), საქმე N31950/05.

75 გ.გ.-ს, გ.კ.-ს, რ.ტ.-ს და ბ.მ.-ს მიმართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის და სხვა შესაძლო კანონდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, წერილის ნომერი 11-3/9735.

შსს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნებსა და გარეგნული დათვალიერების ოქმში	22	3,1%
მხოლოდ გარეგნული დათვალიერების ოქმში	276	38,9%
დაკავების ოქმში და გარეგნული დათვალიერების ოქმში	33	4,7%
დაკავების ოქმში და გარეგნული დათვალიერების ოქმში, შსს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნებში შემოწმება ვერ მოხერხდა	231	32,6%
სულ	709	

ზემოთ, ცხრილში მითითებული მონაცემებიდან ჩანს, რომ 298 შემთხვევაში (42 %) დაკავების ოქმში დაზიანება მითითებული არ არის.<sup>76</sup>

დაზიანებათა რაოდენობის თანხვედრა იხილეთ, ქვემოთ, ცხრილში.

დაზიანება	რაოდენობა	სვედრითი წილი
უფრო მეტი დაზიანება დაკავების ოქმში	26	3,5 %
უფრო მეტი დაზიანება დაკავების ოქმში და შსს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნებში	10	1,3 %
უფრო მეტი დაზიანება შსს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნებში	4	0,5 %
უფრო მეტი დაზიანება შსს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნებსა და გარეგნული დათვალიერების ოქმში	7	0,9 %
უფრო მეტი დაზიანება გარეგნული დათვალიერების ოქმში	418	56,2 %
უფრო მეტი დაზიანება დაკავების ოქმში და გარეგნული დათვალიერების ოქმში	42	5,6 %
სულ დამუშავებული ანკეტების რაოდენობა	740	

იმ 418 შემთხვევიდან, სადაც გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებულია უფრო მეტი დაზიანება, 289 შემთხვევაში (69,1 %) პირი დაკავებული იყო ადმინისტრაციული წესით, ხოლო 129 შემთხვევაში (30,9 %) - სისხლის სამართლის წესით (ადმინისტრაციული წესით დაკავების ყველა შემთხვევის 63,6 %, სისხლის სამართლის წესით დაკავების - 44,8 %). ამჟამად ჩანს, რომ დაზიანების აღწერის სრულყოფილების კუთხით პრობლემა უფრო მწვავეა.

<sup>76</sup> ამ 298 შემთხვევიდან ადმინისტრაციული დაკავების - 237 შემთხვევა (79,5 %); სისხლის სამართლის წესით დაკავების - 61 შემთხვევა (20,5 %). ადმინისტრაციული წესით დაკავების ყველა შემთხვევის 52,2 %, სისხლის სამართლის წესით - 20,8 %.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იყო, თუ რა გავლენას ახდენდა საკმარისი განათების არსებობა/არარსებობა დაკავების ოქმში დაზიანების აღწერაზე. დადგინდა, რომ მხოლოდ შემთხვევათა ერთ მესამედში მოხდა პირის დაკავება დღის შუქზე. ასევე გაირკვა, რომ იმ შემთხვევების ერთ მესამედში, სადაც დაზიანების შესახებ მითითებულია მხოლოდ გარეგნული დათვალიერების ოქმში, პირის დაკავება მოხდა დღის შუქზე. აღსანიშნავია, რომ კვლევამ გამოავლინა 50 შემთხვევა, როდესაც პირის დაკავება მოხდა დღის შუქზე, ხოლო თავის, სახის და თვალბუდის არეში დაზიანებები მითითებულია მხოლოდ გარეგნული დათვალიერების ოქმში. ამ 50 შემთხვევაში, თუ პირს დაკავებისას აღენიშნებოდა დაზიანება, ის აუცილებლად უნდა დაეფიქსირებინა დამკავებელს.

კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა, რომ 740 შესწავლილი საქმის მასალებიდან, 45 შემთხვევაში გარეგნული დათვალიერების ოქმის შესაბამის გრაფაში, დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელმა არ მიუთითა, ჰქონდა თუ არა დაკავებულ პირს პრეტენზია პოლიციის მიმართ. ყველაზე მეტი ხარვეზი ამ კუთხით დაფიქსირდა მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორში.<sup>77</sup> გარდა ამისა, 32 შემთხვევაში გარეგნული დათვალიერების ოქმებში მითითებული არა არის დაზიანების მიღების დრო.<sup>78</sup>

2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა დაკავებულ პირთა შესახებ დოკუმენტაციის სრულყოფილად შევსებისათვის. როგორც 2015 წელს განხორციელებული მონიტორინგების საფუძველზე დადგინდა, კვლავ ხარვეზებით ივსება დაკავებისა და გარეგნული დათვალიერების ოქმები, პოლიციის სამმართველოებში არსებული ყურნალები და სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაცია. გარდა ამისა, ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმა არასრულყოფილია.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, ადმინისტრაციული დაკავების ოქმის, პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის ოქმის, საჯარიმო ქვითრის, სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვის, ახსნა-განმარტებისა და ცნობის ფორმების შევსებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“, 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N625 ბრძანების თანახმად, დამტკიცებულია ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმა.<sup>79</sup> აღნიშნული ოქმი არ მოითხოვს დაკავების ოქმის შედგენის დროის<sup>80</sup>, დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებებისა და იმის აღნიშვნას, თუ რა ვითარებაში მოხდა პირის დაკავება (ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის განევას, გამოყენებული იყო თუ არა იძულების პროპორციული ზომა, რა ფორმით, ან განხორციელდა თუ არა დაკავება მშვიდ ვითარებაში, წინააღმდეგობის განევის გარეშე), როგორც ეს არის სისხლის სამართლის წესით დაკავების ოქმში.

77 18 შემთხვევა.

78 10 შემთხვევაში აჭარისა და გურიის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში შევსებულ გარეგნული დათვალიერების ოქმებში.

79 დანართი N9.

80 იგულისხმება რომელ საათზე მოხდა დაკავება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმის სრულყოფა, მასში ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის ჩამატების გზით და ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების, პოლიციის სამმართველოებისა და განყოფილებების თანამშრომელთა გადამზადება, სწავლება.

## რეკომენდაციები შინაგან საქმეთა მინისტრს

- დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოების მიზნით, უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სწავლება
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის შესაბამისი ინსპექტირების გზით, დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოების უზრუნველსაყოფად
- შევიდეს ცვლილება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, ადმინისტრაციული დაკავების ოქმის, პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის ოქმის, საჯარიმო ქვითრის, სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვის, ახსნა-განმარტებისა და ცნობის ფორმების შევსებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“, 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N625-ე ბრძანებაში და N9 დანართით დამტკიცებულ ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო, დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერა, რა ვითარებაში მოხდა დაკავება, ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის განევას, გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების პროპორციული ზომა და რა ფორმით
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა პოლიციის სამმართველოსა და განყოფილებისთვის შემუშავდეს ერთიანი ყურნალის ფორმა, სადაც მოხდება ვიზიტორთა აღრიცხვა

## წინადადება საქართველოს პარლამენტს

- შევიდეს ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მეხუთე ნაწილში, იმ მიზნით, რომ ადმინისტრაციული დაკავების ოქმში შესატან ინფორმაციას დაემატოს: ოქმის შედგენის დრო, დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერა, რა ვითარებაში მოხდა დაკავება, ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის განევას, გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების პროპორციული ზომა და რა ფორმით.

### 4.3. საჩივრები

ნამების წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ საჩივრის სწრაფი და მიუკერძოებელი განხილვის უფლება. აღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში რეალიზება შეუძლებელია დაკავებული პირების შესაბამისი საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურების უზრუნველყოფის გარეშე. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება შექმნან ისეთი ქმედითი სისტემა, სადაც დაკავებულ პირებს შეეძლებათ საჩივრების შეტანა მათდამი პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ. საჩივრების განხილვის ეფექტიანი მექანიზმი უზრუნველყოფს დაკავებული პირების უფლებების პატივისცემას და წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიას არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანებით დამტკიცებული, დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, იზოლატორების ადმინისტრაციას ევალება დაკავებული პირის [...] საჩივრების წარდგენის უფლების უზრუნველყოფა.

ამავე დებულების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იზოლატორის ადმინისტრაციის საპროცესო მოვალეობაა დაკავებულის საჩივრები და შუამდგომლობანი გაუგზავნოს გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახალხო დამცველს, ადმინისტრაციისათვის მათი ჩაბარებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა.

ამავე ბრძანებით დამტკიცებული, დროებითი მოთავსების იზოლატორის შინაგანანესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იზოლატორში მოთავსებულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს იზოლატორის მოსამსახურეთა ქმედებები ზემდგომ ორგანოში, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი რეაგირებისათვის.

საჩივრის განხილვის პროცედურების ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია საჩივრების შეტანისა და განხილვის მარტივი და ნათელი პროცედურების არსებობასთან. მნიშვნელოვანია, რომ პროცედურები გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს როგორც დაკავებული პირების, ისე სამართალდამცავი ორგანოებისთვის. აღნიშნული პროცედურა აერთიანებს რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს. ეს პირველ რიგში გულისხმობს საჩივრების განხილვის მექანიზმის არსებობის შესახებ დაკავებულ პირთა ინფორმირებულობას, დაკავების ადგილების ადმინისტრაციის მხრიდან საჩივრებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას, საჩივრების შესაბამის რეგისტრაციასა და მათზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას.

გაეროს ნამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ეფექტიან საკანონმდებლო, ადმინისტრაცი-

ულ, სასამართლო და სხვა ღონისძიებებს მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან ასაცილებლად.“

ამავე კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის და მათ მიერ ასეთი საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლებას. მიიღება ზომები საჩივრის ან ნებისმიერი მოწმის ჩვენებების გამო მომჩივნის და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისაგან დასაცავად.“

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პატიმრების ინფორმირებას და სტანდარტის სახით, ადგენს, რომ პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ მათი უფლებების შესახებ.<sup>81</sup> კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ „პატიმართა უფლებებს არ ექნება დიდი მნიშვნელობა, თუ პატიმრებს არ ეცოდინებათ მათი არსებობის შესახებ.“<sup>82</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანებით დამტკიცებული, დროებითი მოთავსების იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იზოლატორში წარმოდგენილი პირების პირადი დათვალიერების, გამოკითხვისა და სანიტარული დამუშავების შემდეგ პასუხიძეგებელი მორიგე ან მისი დავალებით სხვა მორიგე მათ აცნობებს და შესაძლებლობის შემთხვევაში, ხელზე გადასცემს იზოლატორში მოქმედ შინაგანაწესს, ასევე მათ საპროცესო უფლება-მოვალეობების ნუსხას, რის შემდეგაც მათ ათავსებენ საკნებში.

საანგარიშო პერიოდში დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჩატარებული შემონმების შედეგად ირკვევა, რომ იზოლატორის ადმინისტრაცია დაკავებულ პირებს აცნობს ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ, რომელიც ასევე, მოიცავს საჩივრით მიმართვის უფლებაზე ინფორმაციას, თუმცა გამოვლინდა ცალკეული ხარვეზები დაკავებულთა ინფორმირებასთან დაკავშირებით, რაც დეტალურად მიმოხილულია უფლებების შესახებ დაკავებულის ინფორმირების შესახებ ქვეთავში.

საჩივრის შეტანის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარეშე დაკავებული პირი ვერ შეძლებს საჩივრის შეტანის უფლების რეალიზებას. საჩივრის შეტანის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა მოიცავს წერილის დასაწერად აუცილებელი საშუალებებით მომარაგებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდასთან დაკავშირებული დამატებითი წესები და პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული პატიმრობის აღსრულების ადგილის დაწესებულების ნებისმიერი ქმედება და

81 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, [CPT/Inf (92) 3] პარა. 37.

82 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი CPT, ანგარიში თურქეთის შესახებ, [CPT/Inf (99) 2] პარ. 26.



გადაწყვეტილებები ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში. ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს უფლება აქვს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით დაფუძნებულ ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო უფლებადამცველ ინსტიტუტებს. განცხადებების, საჩივრების და სხვა სახის მიმართვების შესადგენად იზოლაციის ადმინისტრაცია ვალდებულია ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს მოთხოვნის შემთხვევაში მიცეს საწერი კალამი და ფურცელი.

აღსანიშნავია, რომ არ არის განერილი შესაბამისი პროცედურა, რომელიც დროებითი მოთავსების იზოლაციურებში მყოფი პირების კონფიდენციალური საჩივრებით მიმართვის უფლებას უზრუნველყოფს. იზოლაციურებში ჩატარებული შემონმბების დროს გაირკვა, რომ დაკავებულ პირებს იზოლაციის თანამშრომლების ქმედებასთან დაკავშირებით, ზემდგომი ორგანოსთვის საჩივრით არ მიუმართავთ. იზოლაციის თანამშრომლების განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ დაკავებული პირი მოითხოვს საჩივრის გაგზავნას, ის უნდა გაიგზავნოს ელექტრონულ პროგრამის მეშვეობით, რაც გულისხმობს საჩივრის სკანირებას და ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვას. აღნიშნული კი, გამორიცხავს დაკავებული პირის მიერ კონფიდენციალურად საჩივრის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ იზოლაციურებში მოთავსებულ პირებს, უფლებების შესახებ ინფორმირებისას განუმარტავენ, რომ მათ უფლება აქვთ დაუკავშირდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, ცხელ ხაზზე (სატელეფონო ნომერი 126). თუმცა, აღსანიშნავია, რომ გენერალურ ინსპექციასთან სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იზოლაციის ადმინისტრაციის ტელეფონიდან, რომელიც ამ მიზნით, სარგებლობასთვის დროებით უნდა გადასცეს იზოლაციის თანამშრომელმა. ამასთან, იზოლაციის თანამშრომელმა უნდა გააკონტროლოს, რომ იზოლაციურში მყოფი პირი ნამდვილად გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე რეკავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის უზრუნველყოფილი გენერალური ინსპექციისთვის კონფიდენციალურად და შესაბამისად, უსაფრთხოდ (რეპრესიებისგან დაცვის პირობებში) ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა.

იზოლაციურში მოთავსებული პირების არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს ადმინისტრაციის მიერ დაკავებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის პროცედურა. აღსანიშნავია, რომ დაკავებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ პროკურორს შეტყობინება იზოლაციის უფროსის შეხედულებისამებრ და ამ პროცედურის მარეგულირებელი კონკრეტული წესი დადგენილი არ არის და გაურკვეველია, კონკრეტულად რა შემთხვევაში ეგზავნება შეტყობინება პროკურორს. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პროკურატურის მიერ სათანადოდ არ ხდება დროებითი მოთავსების იზოლაციურებიდან გაგზავნილი დაკავებული პირების პრეტენზიების შესწავლა და გამოძიების ჩატარება.

შესაბამისად, ეფექტური სამართლებრივი დაცვის გარანტიის არსებობისათვის, აუცილებელია, შესაბამისი ნორმატიული აქტით გაიწეროს მკაფიო რეგულირება იმის შესახებ, რა შემთხვევაში უნდა გაიგზავნოს შეტყობინება პროკურორთან, დაკავებული პირის სხეულის დაზიანების შესახებ.

დაკავებულ პირს მის მიმართ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა ეძლევა იზოლატორში მიღებისას. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ 2015 წლის განმავლობაში დაკავებულმა პირებმა პოლიციის მიმართ პრეტენზია დააფიქსირეს 168 შემთხვევაში.

საჩივრით მიმართვის უფლება ასევე გულისხმობს იმას, რომ არასათანადო მოპყრობის შესახებ დაკავებულ პირთა საჩივრების გამოძიება უნდა აკმაყოფილებდეს როგორც მინიმუმ შემდეგ კრიტერიუმებს 1. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; 2. ზედმინვენიტობა; 3. სისწრაფე; 4. კომპეტენცია; 5. გამჭვირვალობა 6. მსხვერპლის მონაწილეობა. სახელმწიფომ ზემოაღნიშნული ელემენტების დაცვით უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, რომლის მიზანი მართლმსაჯულების განხორციელებაა.<sup>83</sup>

შემონმების შედეგებმა ცხადყო, რომ პროკურატურის მიერ სათანადოდ არ ხდება დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან დაკავებული პირების პრეტენზიებთან დაკავშირებით საკითხის შესწავლა და გამოძიების ჩატარება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, იზოლატორებში მოთავსებული კონკრეტული პირების სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით, გაგზავნილ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირების შესახებ.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დროებითი მოთავსების იზოლატორებში და პოლიციის სამმართველოებში განხორციელებული შემონმების დროს, პოლიციის თანამშრომლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შემონმების შედეგად გამოავლინა რამდენიმე საყურადღებო საქმე, სადაც დაკავებული პირები სავარაუდოდ გახდნენ პოლიციის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი და ამის შესახებ შეტყობინება გაგზავნილი იყო პროკურატურაში.<sup>84</sup> აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხებით ირკვევა, რომ 7 შემთხვევიდან მხოლოდ 2 შემთხვევაში დაიწყო გამოძიება დამოუკიდებელ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებიც შეწყდა იმის საფუძველზე, რომ არ დადასტურდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი. ხოლო დანარჩენ 5 შემთხვევაში, პროკურორი შემოიფარგლა მხოლოდ დაკავებული პირის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მისი გამოკითხვით და მათ მიმართ განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ცალკე გამოძიება არ დაწყებულა. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში

83 ნამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 14-ე ზოგადი მოხსენება, CPT/Inf (2004) 28, 2013 წ. პარ. 31-36, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-14.htm>>, [ბოლოს ნანახია 29.03.2016].

84 აღნიშნული დაკავებული პირები შემონმების დროისთვის იზოლატორში არ იმყოფებოდნენ.

ებულ შემთხვევაში გამოძიების შეწყვეტის არგუმენტაციას პროკურატურამ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ დაკავებულმა პირებმა გამოკითხვისას უარყვეს მათ მიმართ რაიმე უკანონო ქმედების განხორციელების ფაქტი და განაცხადეს, რომ პოლიციის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდათ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ყველა შემთხვევაში უნდა დაწყებულიყო გამოძიება დამოუკიდებელ სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის დაკავებული პირების მხრიდან ფორმალური საჩივრის არარსებობის პირობებშიც.

უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმის შექმნა, რომლის მანდატიც იქნება სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებულ პირთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტების ეფექტიანი გამოძიება.

## რეკომენდაციები

### საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- უზრუნველყოს დაკავებულ პირთა სათანადო ინფორმირება საჩივრის წარდგენის უფლების შესახებ
- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში კონფიდენციალური საჩივრის მექანიზმის დანერგვა
- შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გაინეროს მკაფიო ინსტრუქცია, დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებული პირების შესახლებისას, მათ სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებების თაობაზე მთავარ პროკურატურაში შეტყობინების გაგზავნის შესახებ

### საქართველოს მთავარ პროკურორს

- დაკავებულ პირთა მიმართ პოლიციის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მათ შორის დაკავებული პირის ფორმალური საჩივრის არარსებობის პირობებშიც, გამოძიება დაიწყოს ცალკე წარმოებად და აწარმოოს საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა.

#### 4.4. ინსპექცია და მონიტორინგი

სხვადასხვა სახის შიდა და გარე ინსპექციის წარმოება თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა.

გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო სისტემატურად განიხილავს წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, რომლებიც ეხება იმ პირთა დაკითხვას, აგრეთვე პატიმრობაში ყოლის და მოპყრობის პირობებს, რომლებიც ნებისმიერი ფორმით დააპატიმრეს, დააკავეს ან საპატიმროში მოათავსეს მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, რათა არ დაუშვან წამების რაიმე შემთხვევა.“

პოლიციის დანესებულებათა შემონმება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის საქმეში და, უფრო ზოგადად, ხელს შეუწყობს თავისუფლების აღკვეთის დამაკმაყოფილებელი პირობების უზრუნველყოფას. სრული ეფექტიანობისათვის, ზემოაღნიშნული დამოუკიდებელი სტრუქტურის ვიზიტები უნდა იყოს რეგულარული და მოულოდნელი; ვიზიტების დროს შესაძლებელი უნდა იყოს დაკავებულ პირებთან კონფიდენციალურად გასაუბრება. გარდა ამისა, ამ სტრუქტურამ უნდა შეამოწმოს დაკავებულ პირთა მოპყრობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.<sup>85</sup>

საქართველოს პოლიციის შიდა ინსპექციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანებით დამტკიცებული გენერალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მიხედვით, გენერალური ინსპექციის ამოცანებია სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი, ასევე, სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

2015 წლის განმავლობაში გენერალურმა ინსპექციამ განახორციელა 22 447 სამსახურებრივი შემონმება,<sup>86</sup> რომელთა საფუძველზეც დაინერა 3055 დასკვნა და დაკისრებულ იქნა 2630 დისციპლინური სახდელი.

დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები და რაოდენობა:<sup>87</sup>

85 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 29.03.2016].

86 შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი 09.01.2016, MIA 61600048372.

87 შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი 29.01.2016, 224058.

N	დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები	რაოდენობა
1	სარეკომენდაციო ბარათები	396
2	შენიშვნა	720
3	სასტიკი საყვედური	639
4	საყვედური	578
5	სამსახურიდან დათხოვნა	161
6	რიგგარეშე სამ განწესამდე დანიშვნა	112
7	თანამდებობიდან ჩამოქვეითება	13
8	მორიგი დათხოვნის უფლების ჩამორთმევა	11
	სულ	2630

მოქალაქეთა უფლებების დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით განხორციელებული სამსახურებრივი შემონმების შედეგად, 172 შემთხვევაში დადასტურებულ იქნა გადაცდომის ფაქტი, რის გამოც დაკისრებულ იქნა შემდეგი დისციპლინური სახდელები: შენიშვნა - 19; საყვედური - 44; სასტიკი საყვედური - 68; თანამდებობიდან ჩამოქვეითება - 5; დათხოვნა - 36.

დაკავებულ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტზე განხორციელებული სამსახურებრივი შემონმების შედეგად გადაცდომის ფაქტი დადასტურდა 2 შემთხვევაში, აქედან 1 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სამსახურებრივ ხარვეზს, ხოლო მე-2 შემთხვევაში გამოვლინდა სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი და გულგრილი დამოკიდებულების ფაქტი, ორივე შემთხვევის გამო დაკისრებულ იქნა დისციპლინური სახდელი - საყვედური.

მოქალაქეთა უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ, განცხადება/საჩივრის საფუძველზე განხორციელდა 1599 სამსახურებრივი შემონმება, საიდანაც შემონმების შედეგად დადასტურებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის 45 ფაქტი. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა გენერალური ინსპექციის მიერ საქმის წარმოების პროცესში კანონის უზენაესობის პრინციპის დარღვევისა და კანონით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევა, რაც დეტალურად მიმოხილულია ამ ანგარიშის თავში – შრომის უფლები (ქვეთავი – გენერალური ინსპექციების მუშაობაში არსებული ხარვეზები).

მოქალაქეთა უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული შემონმების შედეგად დადგენილ იქნა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან გადაცდომის 31 ფაქტი.

გარდა სამსახურებრივი შემონმებისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია საქართველოს მთავარი

პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადაცემულ სისხლის სამართლის საქმეებზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში ჩაატაროს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

საანგარიშო პერიოდში გენერალურ ინსპექციაში გამოძიება მიმდინარეობდა 42 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული საქმეებიდან მოქალაქის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული იყო 7 საქმე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება - 1 საქმე; ქურდობა - 2 საქმე; გაუპატიურება - 1 საქმე; ხულიგნობა - 1 საქმე; თაღლითობა - 2 საქმე). დასახელებული საქმეებიდან ერთი შეწყდა განრიდებით, ორი სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებულ იქნა სისხლის სამართლებრივი დევნა, საიდანაც ერთ საქმეზე დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო მეორე საქმე გამოძიების ეტაპზეა. გამამართლებელი განაჩენი არცერთ საქმეზე არ დამდგარა.

ამასთანავე, პროკურატურის მიერ გენერალური ინსპექციისათვის გამოსაძიებლად გადაცემული საქმეების საფუძველზე, სამინისტროს სისტემის 23 თანამშრომელი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში შემდეგი დანაშაულებისათვის: ქურდობა - 9; თაღლითობა - 2; მითვისება ან გაფლანგვა - 3; ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება - 1; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება - 2; იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა - 1; დანაშაულის შეუტყობინებლობა - 1 და ქრთამის აღება - 4 ფაქტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი დანაშაულის შესახებ მოპოვებული ცნობები იგზავნება საქართველოს მთავარ პროკურატურაში. თუ აღნიშნული ცნობები უკავშირდება პოლიციელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, მათ შორის მოქალაქეთა ცემა-წამებას და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის სხვაგვარ ფაქტებს, ამ საქმეებს იძიებს პროკურატურა. გენერალური ინსპექციაში საგამოძიებოდ დაქვემდებარებულია ძირითადად ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი კონტროლის, შემონიშნების და მონიტორინგის დროს გამოვლენილი დანაშაულის ნიშნების შესახებ გადაგზავნილი ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო პროკურატურაში და გამოძიებისთვის დაექვემდებარა გენერალურ ინსპექციას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული საგამოძიებო ორგანოების სისტემის პირობებში, სახალხო დამცველი მიესალმება ზემოხსენებული სისხლის სამართლის საქმეების პროკურატურის მიერ წარმოების ფაქტს, თუმცა უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი

იყოს გამოძიებისადმი სანდოობის მაღალი დონე და ეფექტიანი გამოძიების წარმოება.

რაც შეეხება დროებითი მოთავსების იზოლატორებში შიდა მონიტორინგის საკითხს, აღნიშნული ფუნქცია დაკისრებული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლება დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტს, რომლის ქვემდებარეობაშიც ასევე, შედიან დროებითი მოთავსების იზოლატორები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N1006 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტის ამოცანას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დაკავებულ ან/და ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ პირთა დროებითი მოთავსების იზოლატორში (შემდგომში – იზოლატორი) მოთავსება და მათი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, დეპარტამენტში ფუნქციონირებს მონიტორინგის სამსახური, რომელიც კონტროლს უწევს იზოლატორში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვას; ახორციელებს იზოლატორის მოსამსახურეთა მიერ იზოლატორში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგს; ახორციელებს იზოლატორში მოთავსებულ პირთა საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების მონიტორინგს; კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებას ახდენს მიღებული განცხადებების, ინფორმაციის ან/და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ შესაძლო დარღვევებზე.

როგორც საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, არსებული პრაქტიკით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახური პერიოდულად შემოწმებას ატარებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში. მონიტორინგის სამსახური შემოწმებისას ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე: დისციპლინური მდგომარეობა, საქმის წარმოება, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და სარემონტო სამუშაოები.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მონიტორინგის სამსახურის შემოწმების პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის საკითხის სათანადო შესწავლას, ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილი შესასწავლი საკითხები წარმოადგენს იზოლატორების საქმიანობის უფრო ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მხარეს. შესაბამისად, აუცილებელია შემოწმებისას გათვალისწინებულ იქნას ისეთი საკითხების შესწავლა, როგორც არის დაკავებული პირების მიმართ პოლიციის მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების ხარისხი და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობა.

რაც შეეხება გარე მონიტორინგს, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და მე-19 მუხლების თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი და მისი სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირი (მათ შორის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი) უფლებამოსილი არი-

ან დროებითი მოთავსების იზოლაციორებში და პოლიციის სამმართველოებში შემონმება ჩაატარონ იქ მყოფი დაკავებული პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

ამ მხრივ, დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მონიტორინგის მიმდინარეობისას სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები დაუბრკოლებლად დაიშვებოდნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლაციორებში. ვიზიტის ფარგლებში ყველა სამმართველოსა და იზოლაციორის თანამშრომლები კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სრულად თანამშრომლობდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან და ხელს უწყობდნენ მათ მონიტორინგის სრულყოფილ განხორციელებაში.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, იმ ფაქტს, რომ აუცილებელია პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ჰქონდეს დაუბრკოლებელი წვდომა იზოლაციორებში და პოლიციის სამმართველოებში არსებულ ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემებზე.

### **რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს**

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის მეთოდოლოგია დაიხვეწოს, იმ მიზნით, რომ იზოლაციორების შემონმებისას გათვალისწინებულ იქნას დაკავებული პირების მიმართ პოლიციის მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების ხარისხის და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობა;
- უზრუნველყოს სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაუბრკოლებელი წვდომა იზოლაციორებში და პოლიციის სამმართველოებში არსებულ ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემებზე.



## 5. დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მდგომარეობა

2015 წელს საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებდა 37 დროებითი მოთავსების იზოლატორი. 2015 წლის ივნისიდან 2015 წლის სექტემბრის ჩათვლით სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მონიტორინგი განახორციელეს შინაგან საქმეთა სამინისტროს 31 დროებითი მოთავსების იზოლატორში. მონიტორინგი განხორციელდა 2015 წლის ივნისიდან სექტემბრის თვის ჩათვლით შემდეგ რეგიონებში: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო და ზემო სვანეთი. მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ იზოლატორის თანამშრომლებს და შეამოწმეს 2015 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით და პენიტენციური დაწესებულებებიდან მოპოვებული მონაცემებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ დროებით მოთავსების იზოლატორებში 2015 წლის მანძილზე შესახლებულ იქნა 16 416 პირი. თითოეულ დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა შესახლების მონაცემები მითითებულია ცხრილში.

N	იზოლატორის დასახელება	დაკავებულ პირთა რაოდენობა	N	იზოლატორის დასახელება	დაკავებულ პირთა რაოდენობა
1	თბილისის N1 დმი	417	20	ლენტეხის დმი	16
2	თბ. და მც. მთიანეთის დმი	5556	21	ზესტაფონის დმი	330
3	მცხეთის დმი	379	22	ბაღდათის დმი	64
4	დუშეთის დმი	29	23	ჭიათურის დმი	146
5	თელავის დმი	503	24	სამტრედიის დმი	325
6	საგარეჯოს დმი	224	25	ამბროლაურის დმი	25
7	სიღნაღის დმი	189	26	ზუგდიდის რეგ. დმი	366
8	ყვარლის დმი	359	27	ზუგდიდის დმი	661
9	გორის დმი	581	28	სენაკის დმი	288
10	ხაშურის დმი	325	29	ხობის დმი	143
11	ბორჯომის დმი	118	30	ფოთის დმი	219
12	ახალციხის დმი	214	31	ჩხორონწყის დმი	162
13	ახალქალაქის დმი	36	32	მესტიის დმი	16
14	რუსთავის დმი	356	33	ბათუმის დმი	2039
15	თეთრიწყაროს დმი	34	34	ქობულეთის დმი	355

16	წალკის დმი	29	35	ოზურგეთის დმი	153
17	გარდაბნის დმი	0	36	ლანჩხუთის დმი	82
18	მარნეულის დმი	545	37	ჩოხატაურის დმი	28
19	ქუთაისის დმი	1104	სულ		16416

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებულ იქნა 17 087 პირი, შესაბამისად, 2015 წელს გასულ წელთან შედარებით შეინიშნება დაკავებულ პირთა რაოდენობის კლება.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებული პირების საყოფაცხოვრებო პირობები უნდა შეესაბამებოდეს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.

„პოლიციის განყოფილებაში ყველა საკნის ფართი გათვლილი უნდა იყოს პირთა იმ რაოდენობაზე, რომელიც ჩვეულებრივ იქ თავსდება, საკნებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი განათება (ე.ი. რომელიც იძლევა კითხვის საშუალებას, ძილის პერიოდის გამოკლებით) და ვენტილაცია. სასურველია, საკნებში იყოს ბუნებრივი განათება. გარდა ამისა, საკნებში უნდა იყოს დასვენების პირობები (მაგალითად, იატაკში ჩამონტაჟებული სკამი ან ძელსკამი), ხოლო პირები, რომელთაც უნევთ საკანში ღამის გათევა, უნდა უზრუნველყონ სუფთა ლეიბითა და თეთრეულით. დაკავებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა სუფთა და ღირსების შეუღალახავ პირობებში, ასევე შხაპის მიღების საშუალება. საკვები, უნდა მიენოდოთ ყოველდღიურად, შესაბამისი განრიგის მიხედვით, ნოყიერი საჭმლის ჩათვლით, სულ მცირე დღეში ერთხელ (ე.ი. რაიმე უფრო ნოყიერი, ვიდრე „სენდვიჩი“).“<sup>88</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანანესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბრძანების თანახმად, იზოლატორში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური და საერთო პირობები არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსეული არსებობის უფლებას, მის პატივსა და ღირსებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, პირადი ცხოვრების პატივისცემის ინტერესებს.<sup>89</sup> ამავე ბრძანების თანახმად, იზოლატორების ადმინისტრაციას ევალება: საკნების ბუნებრივი და ხელოვნური განათების, გათბობის და ვენტილაციის უზრუნველყოფა; საკნებში სათანადო სანიტარული პირობების უზრუნველყოფა; საკნებში ჰიგიენის სათანადო დონეზე დაცვის უზრუნველყოფა.

საქართველოს რეგიონებში არსებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პრობლემები, რის

88 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი, პარაგრაფი 42, ხელმისაწვდომია: <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf> [ნანახია: 26.03.2016].

89 დანართი 1-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულება, მუხ. 4.

საილუსტრაციოდ, წარმოგიდგინთ რამდენიმე დროებითი მოთავსების იზოლატორის შესახებ არსებულ მონაცემებს:

## ლენტეხის დროებითი მოთავსების იზოლატორი

ლენტეხის დროებითი მოთავსების იზოლატორი განთავსებულია პოლიციის სამმართველოს შენობაში და გამოყოფილია რკინის გისოსებით და ხის კარით. სულ ორი საკანია. თითოეული გათვლილია ორ ადამიანზე. საკნების ფართობი შეადგენს 4.3მ<sup>2</sup> და 4.4 მ<sup>2</sup> კვადრატულ მეტრს. საკნებში არ არის ფანჯრები, ხელოვნური ვენტილაცია, გათბობის სისტემა, წყალი, სანიტარული კვანძი, მაგიდები და სკამები. დაკავებული პირები საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ პოლიციის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი, საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძით. იზოლატორს დაკავებულებისთვის არ გააჩნია სასეირნო ეზო.

## სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორი

სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულებს ათავსებენ სამ საკანში, რომელთა ფართი 10მ<sup>2</sup> - 12,8მ<sup>2</sup> მერყეობს. საკნებში დგას სამ ადგილიანი რკინის საწოლები. საკნებში ხელოვნური ვენტილაცია და განათება საკმარისია. ბუნებრივი და ხელოვნური განათება არ არის დამაკმაყოფილებელი. საკნებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი. იზოლატორის თანამშრომლების გადმოცემით, ხელ-პირის დასაბანად დაკავებული პირები გაჰყავთ საკნის გარეთ საერთო სარგებლობის აბაზანაში, ხოლო სასმელ წყალს აწვდიან ბოთლებით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების ვიზიტის დროს,<sup>90</sup> შემონმდა იზოლატორის პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგების საკითხი და აღმოჩნდა, რომ იზოლატორში არ იყო საპნის მარაგი. სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორს გააჩნია დაკავებულთა სასეირნო ეზო.

## სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორი

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში არის 3 საკანი, 2 ოთხ ადგილიანი და 1 ორ ადგილიანი. საკნების ფართი მერყეობს 10მ<sup>2</sup> - 11,3მ<sup>2</sup>. საკნებში არის რკინის საწოლები და 1 რკინის მაგიდა 2 სკამით. საკნებში არსებულ ფანჯრებს ორმხრივი გისოსები აქვს, შიდა მხრიდან კი აკრულია დახვრეტილი ლითონის ფირფიტა, რაც ხელს უშლის საკნების ბუნებრივ განათებას და განიავებას. საკნებში არის სინესტე. იგრძნობა მძაფრი სპეციფიკური სუნი. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია.

90 2015 წლის 7 ივლისი.

## გორის (შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონალური) დროებითი მოთავსების იზოლატორში არის 5 საკანი. საკნების ფართი მერყეობს 11მ<sup>2</sup> - 12მ<sup>2</sup>. საკნებში არის ცენტრალური ვენტილაცია და გათბობა. საკანში არ არის პირსაბანი. სანიტარული კვანძი ნახევრად იზოლირებულია. საპირფარეოს ჩასარეცხი წყლის მარეგულირებელი მოთავსებულია იზოლატორის დერეფანში, შესაბამისად წყლის გაშვებას დაკეტვას იზოლატორის მორიგე ოფიცერი არეგულირებს. იზოლატორს აქვს სასაეირო ეზო, თუმცა წვიმიან ამინდში გასეირნება შეუძლებელია, ვინაიდან ეზო არ არის გადახურული. ვიზიტის დროს<sup>91</sup> შემონმდა ჰიგიენური საშუალებების მარაგი და გაირკვა, რომ იზოლატორში არ ჰქონდათ სუფთა პირსახოცები და ერთჯერადი თეფშები. იზოლატორის უფროსის განმარტებით, იმ დროს, როდესაც არ არის ერთჯერადი თეფშების მარაგი, დაკავებულებისათვის საკვების მიწოდება ხდება თაბახის ფურცლებით. მონიტორინგის დროს იზოლატორში აღმოჩენილი იქნა ვადაგასული მშრალი სუპი.

## სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორი

სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულთა განთავსებისთვის ფუნქციონირებს 2 საკანი, ფართით 6,3მ<sup>2</sup>. საკნებში არის 1 რკინის მაგიდა 2 სკამით. საკნებში არ არის სანიტარული კვანძი. საჭიროების შემთხვევაში დაკავებული პირები სარგებლობენ საკნის გარეთ არსებული საერთო სარგებლობის საპირფარეოთი. ბუნებრივი განათება და განიავება არასაკმარისად ხდება, ვინაიდან ფანჯრებს ფარავს რკინის დარაბები და რკინის ცხაურები. ხელოვნური განათება და ვენტილაცია არაადაამკმყოფილებელია. იზოლატორში დაკავებულებისთვის არ არის გათვალისწინებული სასაეირნო ეზო.

## საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორი

საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორში არის სამ ადგილიანი 4 საკანი, რომელთა ფართი 9 მ<sup>2</sup> - 9,65მ<sup>2</sup> მერყეობს. საკნებში არის 3 ადგილიანი რკინის საწოლები მატრასით. დგას ერთი მაგიდა. სკამის მაგივრობას ეწევა საკანში არსებული საწოლები. საკნებში არის სინესტე, არასაკმარისია ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. ფანჯრებზე დამონტაჟებულია გახვრეტილი ლითონის ფურცლები, რაც ზღუდავს საკნებში სინათლის შემოსვლას და ბუნებრივ განიავებას. საკნებში არის ცენტრალური გათბობა. დაკავებული პირები სარგებლობენ საკნის გარეთ არსებული საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძით და საშხაპე ოთახით. იზოლატორს არ აქვს სასაეირნო ეზო.

91 2015 წლის 17 სექტემბერი.

## თეთრინყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორი

თეთრინყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორი განთავსებულია თეთრინყაროს რაიონული სამმართველოს პირველ სართულზე. იზოლატორში არის ორი 2 ადგილიანი საკანი, რისი ფართი  $11\text{მ}^2 - 11,25\text{მ}^2$  მერყეობს. საკნებში არის 1 რკინის მაგიდა და 2 სკამი. ფანჯრებზე აკრულია დახვრეტილი ლითონის ფირფიტა, რაც ზღუდავს საკნებში ბუნებრივი განათების და ჰაერის შეღწევას. საკნების გათბობა ხდება სავენტილაციო სისტემიდან შემომავალი თბილი ჰაერით. საკნებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი. იატაკიდან 5სმ-ით ზევით, გამოდის წყლის მილი, რომელიც გამოიყენება საპირფარეშოს ჩასარეცხად. წყლის ნაკადის რეგულირდება საკნის გარედან თანამშრომლების მიერ. ვიზიტის დროს, იზოლატორში არ იყო ერთჯერადი თევზები და ჭიქები.

## ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორი

ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორში 3 საკანია, სადაც ფართი  $7\text{მ}^2 - 7,1\text{მ}^2$  მერყეობს. საკნებში ინდივიდუალური საწოლების ნაცვლად ფიცარნავია. საკნებში არასაკმარისად ნიავედება. საკნებში არ არის სანიტარული კვანძი. დაკავებულები სარგებლობენ საკნის გარეთ არსებული საერთო საპირფარეშოთი. იზოლატორს აქვს  $56,470\text{მ}^2$  ფართის დაკავებულთა სასეირნო ეზო. საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძი, განთავსებულია სასეირნო ეზოსთან. სანიტარული კვანძის მოპირდაპირე მხარეს სასეირნო ეზოს უყურებს ვიდეო თვალი, რომლის კონტროლის არეში ასევე ხვდება საპირფარეშოს შიდა მხარეც, ვინაიდან აღნიშნულ სანიტარულ კვანძს ვერ ფარავს ამორტიზირებული კარი. კარს შიგნიდან არ აქვს საკეტი. აღნიშნული პრობლემის გამო დაუცველია საპირფარეშოთი მოსარგებლის პრივატულობა. საპირფარეშოში ხელოვნური განათება არ ფუნქციონირებს. აღნიშნულ იზოლატორს საშხაპე არ გააჩნია. სასეირნო ეზო გადახურული არ არის და აღნიშნულის გამო, წვიმის დროს გასეირნება შეუძლებელია.

## ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორი

ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორში 5 საკანია. საკნების ფართი  $6,7\text{მ}^2 - 19,9\text{მ}^2$  მერყეობს. საკნები 2 და 3 ადგილიანია. საკნებში ბუნებრივი განათება და განიავება არ ხდება, ვინაიდან დალუქულია საკნის ფანჯრები. ხელოვნური ვენტილაცია არასაკმარისია. ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელია. არადამაკმაყოფილებელია საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა (საჭიროებს სველი წესით დასუფთავებას). საკნებში სანიტარული კვანძი არ არის. დაკავებულებისთვის ცალკე სასეირნო ეზო არ აქვთ. ადმინისტრაციის გადმოცემით, სასეირნოდ გაყვანა ხდება პოლიციის შენობის შიდა ეზოში. იზოლატორი საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

## ლანჩხუთის დროებითი მოთავსების იზოლატორი

ლანჩხუთის დროებითი მოთავსების იზოლატორში არის სამი 2 ადგილიანი საკანი. საკნების ფართობი 2 მ<sup>2</sup>-3მ<sup>2</sup> მერყეობს. საკნებში არის 2 რკინის საწოლი მატრასით, ერთი მაგიდა და ორი სკამი. საკნებში სინესტეა. არასაკმარისია ვენტილაცია. საკნებში ატმოსფერული ნალექებისგან დაზიანებულია და ნესტიანია ქერი. იზოლატორის ხელმძღვანელთან საუბრისას გაირკვა, რომ ატმოსფერული ნალექების დროს სახურავიდან ჩამოდის წყალი. საკნებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი. საკნებში არ არის გათბობა. იზოლატორში არის დაკავებულთა სასეირნო ეზო.

## ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორი

ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორში არის 4 სამ ადგილიანი საკანი. საკნების ფართობი 11,1მ<sup>2</sup>. საკნებში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობა, ბუნებრივი განათება არაადამაკმაყოფილებელია. საკნებში არსებული სავენტილაციო სისტემა, მუშაობს ხმაურით, რაც შემანუხებელია დაკავებულთათვის. საკნებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი აზიური ტიპის ფეხსადგომით. საკნის შიგნით არის ჩამრეცხი მილის მარეგულირებელი. საკანში არ არის ხელსაბანი. იზოლატორში მოწყობილია გადახურული სასეირნო ეზო.

## ბორჯომის დროებითი მოთავსების იზოლატორი

ბორჯომის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულთა მოთავსებისათვის გამოიყენება 4 საკანი. აქედან 2 საკანი ერთადგილიანია, 2 საკანი ორ ადგილიანი. საკნების ფართი მერყეობს 5,4 მ<sup>2</sup>-6,5 მ<sup>2</sup>. საკნებს არ აქვს ფანჯარა. საკნებში არ არის ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. საკნებში არ არის გათბობა, იზოლატორის უფროსის განმარტებით, საკნები დერეფანში არსებული გამათბობლით თბება. საკნებში არის ნესტი, ზოგიერთ ადგილას კედლები ნაწილობრივ ჩამოშლილია. ზოგადად, საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. საკნებში არ არის სანიტარული კვანძი, დაკავებული პირები სარგებლობენ საკნის გარეთ არსებული საერთო სველი წერტილით. დაკავებულებისთვის ცალკე სასეირნო ეზო არ აქვთ. ადმინისტრაციის გადმოცემით, სასეირნოდ გაყვანა ხდება პოლიციის შენობის შიდა ეზოში.

## ბათუმის (აჭარისა და ბურიის რეგიონალური) დროებითი მოთავსების იზოლატორი

ბათუმის (აჭარისა და გურიის რეგიონალური) დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულთათვის განკუთვნილია 2 და 3 ადგილიანი 10 საკანი. საკნების ფართობი 8,5მ<sup>2</sup>-14,3მ<sup>2</sup> მერყეობს. საკნებში არის რკინის საწოლები მატრასით. იატაკზე დამონტაჟებულია 1 მაგიდა ორი სკამით. საკნებში ვენტილაცია არასაკ-

მარისია და შეინიშნება სინესტე. უჰაერობის გამო, საკნების კარებზე არსებული მცირე ზომის სარკმელი მუდმივად ღიაა. ხელოვნური განათება საკმარისია. არასაკმარისია ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. საკნებში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობა. საკნებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი. 8 საკანში საპირფარეოს ჩასარეცხი წყლის ონკანი მოთავსებულია საკნის გარეთ და წყლის გამოშვება დამოკიდებულია იზოლატორის მორიგე ოფიცერზე. დანარჩენ 2 საკანში წყლის გამხსნელ-ჩამკეტი საკნის შიგნით არის და დაკავებული არეგულირებს. წყლის ჩამრეცხი მილი საპირფარეოს ფეხ-სადგომიდან ზევით 1მ. დამონტაჟებული. აღნიშნული მოუხერხებელი და არაპიგიენურია, როგორც საპირფარეოს ჩასარეცხად, ასევე ხელ-პირის დასაბანად.

### **მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორი**

მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა განთავსებისთვის გამოყოფილია 6 საკანი. საკნები სამ ადგილიანი. საკნების ფართი 12,00მ<sup>2</sup> - 12,2მ<sup>2</sup> მერყეობს. საკნებში არის 1 მაგიდა დაფიქსირებულ მდგომარეობაში, რაც განთავსებულია სანოლებს შორის. საკნებში არსებულ მცირე ზომის ფანჯრებზე დამონტაჟებულია რკინის გისოსები და ბადე, რის გამოც საკნებში ბუნებრივი განათება და ვენტილაცია არასაკმარისია. ცენტრალური სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სათანადო ვენტილაციას. საკნებში არსებული სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული. სანიტარული კვანძი გამოყოფილია მცირე ზომის კედლით, რისი სიგანეა 1მ.5სმ. სიგრძე 1,96 სმ., სადაც ფუნქციონირებს აზიური ტიპის საპირფარეო. საპირფარეოს ფეხით სადგომიდან 30 სანტიმეტრზე აქვს წყლის მილი, რაც ჩამრეცხის ფუნქციას ასრულებს. საკანში მყოფი პირი საპირფარეოს ჩამრეცხვისთვის საჭირო წყლის გამოშვებისთვის იზოლატორის თანამშრომელს მიმართავს, ვინაიდან წყლის რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ საკნის გარეთ არსებული მოწყობილობით. იზოლატორს აქვს შიდა სასაქონლო ეზო, სადაც დაკავებულ პირებს ასეირნებენ. საკნებში არ არის ხელსაბანი.

### **ჭიათურის დროებითი მოთავსების იზოლატორი**

ჭიათურის დროებითი მოთავსების იზოლატორში არის 4 საკანი, აქედან 3 ორ ადგილიანია და 1 ერთ ადგილიანი. საკნების ფართობი 8,6მ<sup>2</sup> - 9,5მ<sup>2</sup> მერყეობს. საკნებში არის ორ ადგილიანი რკინის საწოლი მატრასით, ერთი მაგიდა და ორი სკამი. საკნები თბება ცენტრალური გათბობის საშუალებით. საკნების ბუნებრივი განათება არასაკმარისია, ვინაიდან საკნებში არის მცირე ზომის 32x63 სარკმელი, რაც დაფარულია მეტალის ცხაურით. საკნებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი, თუმცა არ არის ხელსაბანი. დაკავებულს სასმელ წყალს აწვდიან იზოლატორის თანამშრომლები. გარდა ზემოთ განხილული პრობლემებისა, 2015 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში დაკავებულ

პირებს არ ქონდათ ჰიგიენის ნივთები. იზოლატორში დაფიქსირდა ხარვეზები ჰიგიენური ნივთებისა და თეთრეულის მომარაგებასთან დაკავშირებით.

სამეგრელო და ზემო სვანეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელებული ვიზიტის დროს<sup>92</sup> დაკავებულ პირს არ ჰქონდა პირადი ჰიგიენის ნივთები (ტუალეტის ქაღალდი, კბილის პასტა, კბილის ჯაგრისი) და თეთრეული.

თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში<sup>93</sup> მოთავსებულ დაკავებულებს არ ჰქონდათ თეთრეული და პირადი ჰიგიენის ნივთები.

თეთრინწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორში<sup>94</sup> არ იყო ერთჯერადი თეფშებისა და ჭიქების მარაგი.

გორის (შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონალური) დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფ პირებს<sup>95</sup> არ ჰქონდათ საპონი და პირსახოცი.

ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელებული ვიზიტის დროს<sup>96</sup> დადგინდა, რომ იზოლატორში არ იყო თეთრეულისა და პირადი ჰიგიენის ნივთების მარაგი.

ზემოაღნიშნული დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან არც ერთში არ არის იზოლირებული სანიტარული კვანძი. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ორ და მეტ ადგილიან საკნებში, სადაც დაკავებული პირი მარტო არ არის საკანში მოთავსებული და ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უწევს უცხო პირის თანდასწრებით.

როგორც 2015 წელს განხორციელებული ვიზიტების საფუძველზე გამოიკვეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში კვლავ პრობლემად რჩება საკნებში ცენტრალური გათბობის, ბუნებრივი განათების და ვენტილაციის, სანიტარული კვანძის სრული იზოლირების, საკნებში ხელსაბანის და საპირფარეოს ჩასარეცხი საშუალებების მონყობის საკითხები.

საკნებში ინდივიდუალური სანოლების ნაცვლად ფიცარნაგების არსებობა კვლავ პრობლემურია რუსთავის, წალკის, გარდაბნის და ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, თუმცა, როგორც განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები იზოლატორებში კვლავ დგას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 90 დღიდან შემცირდა 15 დღემდე, რაც უდავოდ პოზიტიურ ცვლილებად უნდა

92 2015 წლის 2 აგვისტო.  
93 2015 წლის 22 ივნისს განხორციელებული ვიზიტის დროს.  
94 2015 წლის 24 ივნისს განხორციელებული ვიზიტის დროს.  
95 2015 წლის 17 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს.  
96 2015 წლის 2 აგვისტო.



შეფასდეს, თუმიცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროებით მოთავსების იზოლატორებში ამჟამად არსებული მდგომარეობა შეუთავსებელია ადმინისტრაციული პატიმრობა მისჯილი პირების მოსათავსებლად.

## დაკავებულითა კვება

დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულებს მიენოდებათ სტანდარტული საკვები, პურის, ჩაის, პაშტეტის, საქონლის ხორცის კონსერვისა და მშრალი პაკეტის სუპის სახით. აღსანიშნავია, რომ რეგიონებში არსებული იზოლატორების უმრავლესობას არ მიენოდება დაკავებულების კუთვნილი პური. აღნიშნულ იზოლატორებს პურის მიწოდებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებებიც არ აქვთ გაფორმებული. არის შემთხვევები, როდესაც იზოლატორის თანამშრომლები იძულებულნი ხდებიან საკუთარი სახსრებით შეუძინონ პური დაკავებულებს. დაკავებულები ძირითადად იკვებებიან ამანათით შემოსული საკვები პროდუქტებით. გასათვალისწინებელია, რომ პირს შეიძლება არ ჰყავდეს ახლობლები, რომლებიც ამანათით საკვებს და პურს შეუფზავნიან. იზოლატორში შეიძლება ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირი 15 დღემდე ვადით იმყოფებოდეს. ხანგრძლივად დაკავებული პირისთვის მითუმეტეს მეტად მნიშვნელოვანია სათანადო კვება და საცხოვრებელი პირობები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ზოგიერთ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, არ ჰქონდათ ერთჯერადი თეფშები, რის გამოც დაკავებულებს შემთბარი საქონლის ხორცი თაბახის ფურცლებით მიენოდებოდათ. რიგ შემთხვევებში, სწორედ ამ მიზეზით, დაკავებულები უარს აცხადებდნენ ამგვარი ფორმით საკვების მიღებაზე. ასევე საყურადღებოა ის საკითხი, რომ ძროხის ხორცის გაცხელება რიგ შემთხვევებში კონსერვის ქილით ხდება, ვინაიდან იზოლატორებში არ არის ამისთვის გამოყოფილი სპეციალური ჭურჭელი. ჩხორონყუს დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელებული ვიზიტის დროს<sup>97</sup> აღმოჩნდა, რომ ძროხის ხორცის კონსერვს გაცხელების გარეშე ცივად სთავაზობდნენ დაკავებულებს, რაც ასევე დაუშვებელია.

## რეკომენდაციები შინაგან საქმეთა მინისტრს

- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობა, ასევე უზრუნველყოფილ იქნას საკნების ბუნებრივი განათება და განიავება
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდეს სანიტარული კვანძის სრული იზოლირება
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიქმნას პირობები ჰიგიენის დაცვისთვის ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში ლიკვიდირებულ იქნას ფიცარნაგები და ყველა დაკავებული უზრუნველყოფილ იქნას ინდივიდუალური საწოლით

97 2015 წლის 4 აგვისტო.

- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი დაკავებულები-სთვის უზრუნველყოფილ იქნას თეთრეული და პირადი ჰიგიენის დაცვისთვის აუცილებელი ნივთები
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორს მიენოდოს სათანადო რაციონის საკვები, პური და აღნიშნული პროდუქტების მოსამზადებელი და საკვების მისართმევად საჭირო ნივთები
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში უზრუნველყოფილ იქნეს იზოლატორის მორიგესთან დასაკავშირებელი ღილაკი
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში თითოეულ დაკავებულზე უზრუნველყოფილ იქნეს 4 მ<sup>2</sup>
- ყველა იზოლატორის სასაეირნო ეზოებში დამონტაჟდეს სკამები, გამოიყოს წვიმისა და მზისგან თავშესაფარი ადგილი; დაიდგას ნაგვის ურნები.